თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი და სსვა პოლიტიკოსები ესალმებიან.

მოსკოვი.

საქართველოს წარმომადგენლობასთან მიტინგია.

პლაკატები გაუშლიათ – „საქართველო ქართველების გარეშე“. „გავაგდოთ ქათველები საქართველოდან!“

სკანდირებენ – „საქართველო ქართველების გარეშე!“

ფაფასიანი კონფედერანტები გორაკზე ქვას ამაგრებენ, რომელზეც ამოტვიფრულია – „კავკასიურ-ქართული ომი 1992 წ...“ მეორე თარიღი ჯერ არ დაუწერიათ.

მიხეილ გორბაჩოვი ტელეფონის ყურმილს იღებს. ხაზის მეორე ბოლოში ედუარდ შევარდნაძეა.

გორბაჩოვი – რა სდება მანდ, ედუარდ ამბროსიევიჩ?

შევარდნაძე – ყველაფერი რიგზეა, მიხეილ სერგეევიჩ.

გორბაჩოვი – რას ნიშნავს, ეს თქვენი დამოუკიდებლობის მოთხოვნა? თქვენ რა, „სნგში" შემოსვლის წინააღმდეგი ხართ?

შევარდნაძე – ხალხის ნების წინააღმდეგ ვერ წავალ.

გორბაჩოვი დაფიქრდა. ქვედა ტუჩი დაღეჭა.

გორბაჩოვი – ნუ, რას იზამ. მაშინ აფსაზეთში პრობლემები გექნებათ. ნახვამდის.

შევარდნაძე – ნახვამდის, მიხაილ სერგეევიჩ.

შევარდნაძემ ყურმილი დაკიდა, ერთ წერტილს მიაჩერდა.

აფსაზეთი.

პლაჟები. ხალხი მზის აბაზანებს იღებს.

ბიჭვინთის პანსიონატების ფონზე კატერს მობმულები წყლის თხილამურებით სრიალებენ.

ბავშვებისთვის მუშაობს ატრაქციონები.

დელფინარიუმში დელფინები წყლიდან რგოლებში ხტებიან.

კლდოვან ფერდობზე მაიმუნები დახტიან.

სასტუმროს შიდა აუზში ერიამულით ბანაობენ.

რესტორნები და კაფეები სავსეა ხალხით.

სანაპიროზე საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილი გოგონები ნაყინსა და ტკბილ წყალს მიირთმევენ.

ზღვა წყნარია, ცისფერი და გამჭვირვალე, პატარა აქაფებული ტალღა ფერად კენჭებს ეფერება.

ტანკმა გაისროლა და ბიძგისგან მტვერში გაესვია.

გაგრის ქუჩებში ბრძოლები მიმდინარეობს.

ტროტუარებზე, სასლების ჭიშკრებთან და ეზოებში დასოცილები ყრიან.

ყველგან თავმოჭრილი, წელზეგადაჭრილი, პირზე ქაფმომდგარი გვამებია.

მსუბუქი ავტომანქანები უსისტემოდ მიჰქრი-მოჰქრიან. ზოგი უკვე დამწვარ-დასასიჩრებულია.

ღამის სანაპიროს ტრასირებული ტყვიები ანათებს.

დილა.

წყნარი ზღვა. ზღვის ზედაპირზე თეთრი პირქვედამსობილი გვამები ტივტივებენ.

სოსუმი.

ერთ-ერთი საავადმყოფოს დერეფანში, რომელიც დაჭრილებით არის საესე, ბადრი და მთავარი ექიმი ნიკა (დათოს ბავშვობის მეგობარი) მოაბიჯებენ.

ნიკა – შენ როგორღა აღმოჩნდი აქ?

ბადრი – რა ვიცი, წამოვედით მომღერლები, მსახიობები, კულტურის სხვა წარმომადგენლები, ბიჭების გასამხნევებლად. ახლა ისინი სხვა ადგილებში, სხვა რაზმებში გამოდიან. მე ვიცოდი, აქ რომ მუშაობდი და შენთან მოსვლა ვარჩიე. დაჭრილებს ვუმღერებ, გავესაუბრები...

ნიკა – ჰო, ეს კარგია... დათო როგორ არის, მამაშენი, ნანული?

ბადრი – მართალი გითხრა, ამ არეულობის გამო კონტაქტები გაგვიწყდა. არ ვიცი, აღწევს თუ არა ჩვენი წერილები მათამდე. იქიდან რომ არაფერი მიგვიღია, ფაქტია.

ნიკა – რაც მე და დათოს მტკვრის წყალი გვიყლაპია. დათო კარგად ყვინთავდა. ერთხელ ერთად ჩავყვინთეთ – ის ამერიკაში აღმოჩნდა, მე კი აქ ამოვყავი თავი.

ნიკამ გაიცინა. ფართო ვესტიბიულთან გაჩერდა. მასთან ექთანი გოგონა მივიდა.

ექთანი – ნიკო ექიმო...

ნიკა – ახლა არ გამოვედი საოპერაციოდან? სხვა ქირურგები ხომ არიან?

ექთანი – მძიმეა...

ნიკა – ჰო, ახლავე (ბადრის მიუბრუნდა) – ევაკუირებას ვერ ვასწრებთ, სულ ახალ-ახალი დაჭრილები მოჰყავთ. ზოგი უკვე მკვდარია. დიდი მსხვერპლია ჩემო ბადრი...

ვესტიბიული გადაკვეთეს და ესტრადიან კლუბში შევიდნენ.

ნიკა – აი, აქ გაწყობს? როიალიც არის.

ბადრი – კარგია.

ნიკა – ეს სომ საავადმყოფო არ არის. მუსიკალური სასწაულებელი იყო. ბიჭებს ძალიან გაესარდებათ. აბა, მე წავედი, ამ საქმეს შენ თვითონ მისდე.

ბადრი მარტო დარჩა. მიმოისედა. ესტრადაზე ავიდა. როიალს ხუფი ახადა. რამდენიმე აკორდი აიღო. სკამზე დაჯდა. დაკვრა დაიწყო. ჯერ ჩუმად, თავისთვის, მერე ეშსში შევიდა. „ტიტებს “ მღეროდა.

დარბაზის კარში შემოისედეს. ნელ-ნელა შემოსვლა დაიწყეს. კლუბი დაჭრილებით ივსება.

მოკი ასკინკილათი მეგობრის მსარსდაყრდნობილი მოსტის დერეფანში. რამდენიმე მეომარი საკაცით შემოიყვანეს.

სულგანაბულები უსმენენ. ბადრი სიმღერას მორჩა. ტაშმა იგრიალა. ბადრიმ სკამი რამპასთან მიიტანა, ზედ დაჯდა და დარბაზს გასედა.

დაჭრილებიც ათვალიერებენ ბადრის.

ბადრი – გამარჯობათ.

არეულად უპასუხეს.

ბადრი – თუ არ მიცნობთ, ბადრი მქვია. მომღერალი და კომპოზიტორი ვარ...

– ვიცით, ვიცით, – გაისმა აქეთ-იქიდან.

ბადრი – ძალიან კარგი... ვიფიქრე, რომ მივალ, პირდაპირ სიმღერით დავიწყებ-მეთქი... ასეც მოსდა, მაგრამ ასლა სსვა სურვილი გამიჩნდა... იცოდეთ, რომ მთელი საქართველო, მთელი თბილისი თქვენთან არის. მოხუცებს და ბავშვებს ვეღარ აჩერებენ. ეუბნებიან, იარაღი აღარ გვაქვსო, მაგრამ მაინც გამორბიან აქეთ სამშობლოს დასაცავად. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ქართველია, ვინ აზერბაიჯანელი, სომეხი, ბერძენი, ებრაელი – ყველა აქეთ მოილტვის, რომ თავისი საქართველო გადაარჩინოს. თქვენით ამაყობს ყველა. გმირებს გეძასიან. გელიან მოუთმენლად. გელიან ცოცხლებს, ჯანმრთელებს, გამარჯვებულებს. ძმათამცველი ომი

მალე უნდა დამთავრდეს. გელიან, რადგან იქაც, ზურგშიც არიან ბნელი ძალები, რომლებმაც დრო ისელთეს... ბანდიტები, მკვლელები; როცა თქვენ აქ წვეთ სისხლს არ იშურებთ, იქ დემერტირების და ლაჩრების მთელი ხროვა საკუთარ სალსს აწიოკებს... დღეს მთელი საქართველო ტირის და თქვენით ცოცხლობს. თქვენია ამ ქვეყნის მომავალი და თქვენს სელშია ერის ბედ-იღბალი...

ბადრიმ სული მოითქვა. მიჩუმებულ დარბაზს გადასედა.

ბადრი – მე ორი რელიგიის, ორი ერის შვილი ვარ. ბაბუა ქართველი მყავდა. თბილისში დავიბადე და გავიზარდე და რადგან ამ მიწის შვილი ვარ და გულის ყველა კუნჭულით მიყვარს ყველაფერი აქაური, მეც ომის დამთავრებამდე თქვენთან დავრჩები...

ბადრი წამოდგა, სკამი აიღო და როიალს მიუჯდა.

სიჩუმე გულწრფელმა ტაშმა შეცვალა.

ბადრიმ მეომრებს გაუღიმა.

ბადრი – გმადლობთ... მე არ მინდა სიმღერა ჩემი ნაწარმოებით დავიწყო. უმჯობესია რეგო ლაღიძის „თბილისო" შევასრულო... ვისაც უყვარს ეს ნაწარმოები და სურვილი ექნება, ალბათ, ამყვება.

ბადრიმ დაკვრა და სიმღერა დაიწყო.

დარბაზში ზოგიერთები აყვნენ. ბოლოს კი თითქმის ყველა ცდილობს იმღეროს.

ტელევიზორით დუდაევის ინტერვიუს გადმოსცემენ.

დუდაევი – მე თქვენ გარწმუნებთ, რომ არცერთი ჩეჩენი მებრძოლი არ გაგზავნილა აფხაზეთში. ჩვენ ყოველთვის მეგობრული, ძმური დამოკიდებულება გვქონდა ქართველ ხალსთან. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ჩვენ კი ყოველთვის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვემსრობოდით.

დუდაევის სავარძლის ზემოთ კედელზე ბიჭვინთის პანსიონატების კომპლექსის ფოტოსურათი კიდია.

I ნაწილის დასასრული.



II ნაწილი

იბომბება სოსუმი.

სეპარატისტები უკვე ქალაქის ქუჩებში არიან.

სალსი პანიკურად გარბი-გამორბის.

ტროტუარები, სადარბაზოები, სკვერები მკვდრებით არის სავსე.

თითქმის ყველა სასლის ფანჯრებში სანძარი მძვინვარებს.

საავადმყოფოს ეზოშიც პანიკური მდგომარეობაა. დაჭრილებს ყველანაირ ტრანსპორტში ტვირთავენ, მაგრამ ევაკუაციის გარდა საავადმყოფოში დაჭრილების გარკვეული რაოდენობაც მოპყავთ.

აფსაზი ბოევიკები მთელ შენობას ცსრილავენ. უკვე ეზოში არიან. ყველას ჭლავენ.

ავტომატის ჯერი შეუჩერებლად კაკანებს.

ბადრი, რომელსაც წელზე წითელი ჯვრის სამკლავური უკეთია, სანიტრებთან ერთად დერეფანში საკაცით დაჭრილ მეომარს საოპერაციოსკენ მიარბენინებს.

საოპერაციოში ნიკა ასალგაზრდა მეომარს ფესზე ჭრილობიდან ტყვიას უღებს.

ბიჭი გმინავს. სასე ოფლით აქვს დაცვარული.

ნიკა – მოითმინე, შვილო, ასლავე გაგათავისუფლებ.

ბადრიმ და სანიტარმა დაჭრილი შემოიყვანეს და საკაციდან თავისუფალ მაგიდაზე გადააწვინეს.

ექიმები მებრძოლს გარს შემოესვივნენ.

ათიოდე პირწკრულმა, ნაბადმოგდებულმა ავტომატმომარჯვებულმა კაცმა კიბე ამოირბინა და პალატებში ავტომატის ჯერის მიშვერით დერეფანს სწრაფი ნაბიჯით დაუყვა.

ისმის მომაკვდავთა კვნესა, განწირული ყვირილი.

დაჭრილი მეომრები ამაოდ ცდილობენ პალატებში დამალვას.

ნაბდიანები ყოველ კუთსე-კუნჭულს ჩსრეკენ.

კარადების კარებს სსნიან და იქ შეყუჟულ თვალებგასაწყლებულ. სასეზე ხელებაფარებულ ყმაწვილებს დაუნდობლად ხოცავენ.

მსოლოდ მათი ასმახი მეთაური არ იღებს მონაწილეობას ამ

ცოდვის ტრიალში.

იგი მიზანდასახულად, წარბებშეჭმუხვნილი მიაბიჯებს საოპერაციოსკენ.

საოპერაციოში ექთანი გოგონა შემოვარდა.

ექთანი – ნიკო ექიმო, თავს უშველეთ.

იმავე წამს კარი სელმეორედ გაიღო. მეთაური რამდენიმე ნაბდოსანთან ერთად საოპერაციო მაგიდას სწრაფად მიუახლოვდა. უბიდან ხანჯალი იშიშვლა და ფესში დაჭრილ მეომარს მკერდში ჩასცხო.

ასალგამრდამ თვალები გადმოქაჩა, დაისრიალა და სული განუტევა.

ერთ-ერთმა ნაბდოსანმა აკივლებულ ექთანს სილა გააწნა. გონდაკარგული ქალიშვილი მოწყვეტით დაეცა.

ბადრი ნაბდოსანს სელებში ჩააფრინდა.

მას თავზე ტყავის ქამარი გადაუგდეს, ყელში წაუჭირეს და დერეფნისკენ წაათრიეს.

მეთაურმა გასისსლიანებული სანჯალი მკვდარ მეომარს შეაწმინდა, უბეში შეინახა და თავის მებრძოლებს თვალით ანიშნა.

ნაბდოსნებმა მთელი სამედიცინო პერსონალი ნიკასთან ერთად ავტომატების კონდახების რტყმევით წინ გაიგდო.

ექიმები ეზოში გამოყარეს და საავადმყოფოს პირველი სართულის დამწვარ ფანჯრებთან ჩაამწკრივეს.

მუჯლუგუნებით მათ რიგებს სწორება დაუწყეს. ბადრი და ნიკა რიგის ბოლოში აღმოჩნდნენ.

ბადრიმ ნიკას სელი ჭკრა. რაღაც ანიშნა. მერე დრო ისელთა და თავის უკან ამომწვარ, ჩაშავებულ ფანჯარაში იკუპა.

ბადრი რაფის ქვეშ იატაკზე განერთხა.

ნიკამაც დააპირა ფანჯარაზე აძრომა. ახტა, სელები ფანჯრის რაფას ჩაავლო, რაფაზე მთელი სხეულით გადაწვა.

ბოევიკმა შენიშნა – ბურგში ავტომატის მთელი ჯური მიუშვა.

ბადრიმ ნიკას გამოწვდილი ხელების დაჭერა ვერ მოასწრო. ნიკას პირიდან სისხლი წასცდა და ეზოში გადავარდა. ბადრი კვლავ რაფის ქვეშ დაწვა.

ბოევიკმა მიწაზე გართხმულ ნიკას ფესი დააბიჯა, აიწია, ტყვიები

ცარიელ ოთახში დაცალა და კვლავ თავის საქმეს დაუბრუნდა.

ბაღრი მინის ნამსხვრევებით მოფენილ დამწვარ პარკეტზე გაბობღდა.

დერეფანში ფეხზე წამოდგა, მიისედ-მოისედა, არავინ იყო.

ვიწრო ქვის კიბით სარდაფში ჩაირბინა.

პროგექტურა, რომლის შუაგულშიც მაგიდაზე ქალის მუცელგამობერილი ცხედარი ესვენა, ჩქარი ნაბიჯით გადაკვეთა.

საქვაბე გაიარა და ვიწრო სარკმლით საავადმყოფოს მეორე მხარეს, ფერდობის ძირას ამოფოფხდა.

დაგლეჯილი თეთრი პერანგი სისხლში ჰქონდა ამოსვრილი. ხელები მინის ნამსხვრევებს დაესერა და უკანცალებდა. წამდაუწუმ ქამრით ნატკენ კისერს ისრესდა და ასველებდა.

იგი მთაში გაიქცა. უეცრად ძახილი შემოესმა.

ექთანი –ბატონო ბაღრი, დამელოდეთ, ბატონო ბაღრი.

ექთანი მოსდევდა. ნახევარი სახე ჩალურჯებული ჰქონდა. მიწას ხელებით ეყრდნობოდა და ოსვრა-კვნესით მოიწევდა აღმართში.

ბაღრიმ ხელი გაუწოდა. ექთანი მკლავში ჩააფრინდა და გულამომჯდარმა უთხრა.

ექთანი – ჩემთან წავიდეთ, ბატონო ბაღრი, პაპა და დიდედა გვიშველიან, დაგვეხმარებიან, შეგვიფარებენ.

შემაღლებულზე სული მოითქვეს. ხეობაში გადაიხედეს.

მთის კალთებს შორის, ქალაქის გარეუბანში სუთიოდე ოდა სახლი იდგა, რომლებიც მთლიანად ხანძარს მოეცვა.

თვითონ ქალაქს აფეთქებებისგან ბოლისა და მტვრის ბოლქვები ფარავდა.

აქ, სადაც ჭურვები ვერ აღწევდა და მტერი უკვე შემოჭრილიყო, სახლებს ნავთს ან ბენზინს ასხამდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ.

ბაღრის და ექთანს გარკვევით ესმოდათ ალში გახვეული ხის შენობების ტკაცა-ტკუცი. მოსახლეობის წივილ-კივილი.

ბღაოდა საქონელი, რომელთაც ადამიანებისგან განსხვავებით, სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ. დამწვარ-გადაბუგული ეზოებიდან მიერეკებოდნენ.

ისმოდა ავტომატის კაკანი, შორეული, მოგუდული ლანძღვა-გინება.

თითქოს სელის გულზეო, ისე მოჩანდა. როგორ დასდევდნენ ყანებში და ბაღებში შეიარაღებული ბანდიტები ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. ასალგაგრდებს. როგორ ძალადობდნენ მათზე. როგორ ხვრეტდნენ და ნამუსს როგორ ხდიდნენ.

თვალებგაფართოებული, გაოგნებული ექთანი ერთ წერტილს მისჩერებოდა და ჩუმად სრიალებდა.

ექთანი – ჩვენი სასლი იწვის... ჩვენი სახლი იწვის...

ბაღრი – რომელია თქვენი სახლი?

ექთანმა უცებ იკივლა. თავქვე დაეშვა.

ექთანი – პაპა, პაპა...

ბაღრი დაედევნა, სელი წაავლო, მკლავებში მოიმწყვდია. ცდილობდა, პირზე სელი აეფარებინა, მაგრამ ამ პატარა გოგოს საოცარი ძალა აღმოაჩნდა. ბაღრი გაჭირვებით აკავებდა მას. ექთანი გამუდმებით დიდედა და პაპას გაიძახოდა. ბაღრიმ სახლებისკენ თავი მოაბრუნა, ექთანის მზერას თვალი გააყოლა.

ერთ-ერთ ეზოში მოსუცებული კაცი მეომრებს ძროსას არ ანებებდა, ჯოხს უღერებდა. უკან მისი დედაკაცი მოსდევდა, ბანდიტებს ქოქოლას აყრიდა. ავტომატის ჯერით ორივე მოცელეს. მერე ფეხებითა და სელებით ასწიეს, ალმოდებულ სახლთან მიიყვანეს, გააქან-გამოაქანეს და ცეცხლში მოისროლეს.

უეცრად ბაღრის საფეთქელში ავტომატის კონდახი მოსვდა. გონი დაკარგა. გამსმარი ხის ტოტებით დაფარულ პატარა ხევში გადაიჩეხა. გორვა-თავდაყირა ტრიალით მისმა სხეულმა ძირამდე ჩააღწია.

ორმა ბოევიკმა კვალდაკვალ ავტომატის რამდენიმე ჯერი მიუშვა.

გაოგნებული ექთანი მუსლებზე ძალით დააჩოქეს. ერთმა კაბა შემოახია, ტრუსები ჩახადა, უკნიდან მიაჯდა.

მეორემ წინიდან ჩაიმუსლა. შარვლის უბე გაიხსნა. ექთანს თავი შიგ ჩააყოფინა. ექთანი თავს აქეთ-იქით აქნევდა, მაგრამ შუბლზე პისტოლეტი მიადეს. გოგო ღმუოდა, სრიალებდა, კვნესოდა.

თავის საქმეს რომ მორჩნენ, პირზე დუქმომდგარი ქალი გადაადგორეს და ერთმა ბოევიკმა პისტოლეტით შუბლი გაუსვრიტა.

ბაღრიმ თვალები გაასილა. ვიღაცა მიათრევდა. იგი ხის ტოტებით შეკრულ საკაცეზე იწვა.

საკაცეს მოსუცებული ქალი და კაცი ექაჩებოდნენ.

ბადრიმ გონება კვლავ დაკარგა.

ბადრი, კვლავ რომ გამოერკვა, ბოსელში იყო.

მის გვერდით ძროსა თივას ცოსნიდა.

ბადრის სახის მარჯვენა მხარე დამახინჯებულ-დასიებული ჰქონდა. მარჯვენა თვალი – დასუჭული, ჩალურჯებული. თავზე ხელი მიიდო, ტკივილისაგან დაიმანჭა. ლაპარაკი მოესმა. ხის კართან მიჩოჩდა.

ღრიჭოში მოხუცი ქალი და კაცი გაარჩია. აფხაზურად საუბრობდნენ და ბოსლისკენ ხელს იშვერდნენ, ამის აქ დატოვება არ შეიძლება, თუ იპოვეს, ჩვენც დაგვსვრეტენო.

ეზოში ორი ბაევიკი შემოვიდა. წყალი ითხოვეს. ერთი ბრგე კაზაკი იყო. სელში ბოცა ეჭირა, მეორე – ჩოფურა კავკასიელი.

ქალმა ტოლჩით წყალი გამოურბენინა. კაზაკმა ტოლჩა მოიყუდა. დამტვრეული რუსულით ალაპარაკდნენ.

კაცი – მობრძანდით, მოისვენეთ, წაისემსეთ.

ჩოფურა – არა, არ გვცალია მამილო.

კაზაკი – აქ ქართველებს ხომ არ გაუვლიათ?

ქალი – აბა, აქ, ამ მიყრუებულში ქართველებს რა უნდათ?!

კაზაკი – მე ხომ ვთქვი, სანამ ენგურის ნაპირზე ყანწით ღვინოს არ დავლევ, მანამ ომს არ გავათევებ მეთქი.

ჩოფურამაც მოიცლა წყურვილი. ბოევიკები მოსუცებს გამოემშვიდობნენ და წავიდნენ.

ბადრი ხის ძელს მიეყუდა. შვებით ამოისუნთქა.

კარი ჭრიალით გაიღო. მოსუცმა შემოისედა. ბადრის დაკვირდა, როგორ არისო. მერე ხელი დაუქნია, გამოდიო.

ბადრი კარში გასოსდა. ეზოში ფეხზე ძლივს წამოდგა. მზის შუქზე ცალი საღი თვალიც დასუჭა.

სასლიდან ქალი ჩამოვიდა. გაზეთში პურს ასვევდა. კაცი კი ხელით ანიშნებდა, დამტვრეული რუსულით უსსნიდა, წადი, წადი, თორემ ჩვენ აი, ასე ყელს გამოგვჭრიანო. მაღლა წადი, მაღლა. აი, ამ ბილიკით, მაღლა ქართველები არიანო.

ქალმა თავისი დიდი თბილი თავშალი მოიძრო, ბადრის მხრებზე მოახურა და წინ შეუკრა.

ბადრიმ თავი დაუკრა, რაც შეეძლო გაუღიმა. პური იღლიაში ამოიჩარა და მთებში მიმავალ ბილიკს დაადგა.

ალპური ზონა.

ერთ რიგად ჩამწკრივებული ლტოლვილები მაღალ თოვლში ძლივს მიიკვლევენ გზას.

ნაკვალევის აქეთ-იქით გაყინული გვამები ყრია. ზოგი ახლა კვდება, კვნესის.

ზოგჯერ ვინმე ახლოს მიდის, აკვირდება, ნაცნობი ან ახლობელი სომ არ არისო.

ერთ-ერთი ასეთი ახლობლის ცსედარი ჭინჭებით მაგრად შეუკრავთ, ჯოხზე გამოუბიათ და, წესიერ ადგილზე დასამარსად, დატკეპნილ თოვლზე, როგორც მარსილს მიათრევენ.

ჩვილი ბავშვები სელში პყავთ აყვანილი. ისმის გამუდმებული ტირილი, ბლუქუსი, ოსვრა.

ოდნავ მოზრდილები უკვე დამოუკიდებლად მიაბიჯუბენ. გათოშილი სელები იღლიებში ამოუდვიათ. წამდაუწუმ ფერდამდე თოელში ეფლობიან. თავგანწირვით კვლავ წინ მიიწევენ.

ჯოხებზე დაყრდნობილი წელში მოსრილი მოსუცები კუს ნაბიჯით მიუყვებიან აღმართს.

ლტოლვილების გრძელი ჯაჭვი რამდენიმე ფერდობზეა გადაჭიმული. ამ თეთრი უდაბნოს დასასრული ღრუბლებში იკარგება. იქ, ზევით არის გადარჩენის იმედი. სითბო, ცსელი კერძი, მშვიდობა და ლტოლვილების ნაკადიც, მიუსედავად სიძნელისა და გაჭირვებისა, იქით მიიწევს.

რაც კი რამ ტანსაცმელი ან ნაჭერი წამოუღიათ, სიცივის გამო, ყველაფერი ტანზე და თავზე აქვთ შემოსვეული.

ზოგიერთ ასალგამრდას თავისი უძლური ბებია და ბაბუა ზურგზე შემოუსვამს.

ბადრიც ამ მწკრივში მილასლასებს. ყინვისა და მაღალი მწველი მზის გამო ტუჩები დასეთქილი აქვს, სასეზე კანი აქერცლია. დამწვარი, გაწითლებული ცსვირი ულაპლაპებს. აფსაზი ქალის თავშალშია გასვეული. ქალაქურ ფესსაცმელებს ლანჩები ასძრობიათ

და თოკებით გადაუსვევია.

ღამითაც არ ჩერდებიან. ჩირაღდნების ჯაჭვი შავი ციცვენ მიიცლაკნება.

თოვლი მოდის. ყეფენ ძაღლები.

დილით გამოიდარა.

ბადრიმ პატარა უღელტეხილს მიაღწია. მურგზე ვიღაც ბაბუა წამოუკიდია.

მაღლა სესთან კორესპონდენტი დგას. ვიდეოაპარატით ლტოლვილებს იღებს.

ბადრი მასთან შეჩერდა. მოხუცი პირდაპირ თოვლზე დასვა. თვითონ სვნეშით გვერდით მიუჯდა.

კორესპონდენტმა მის დასასიჩრებულ, განაწამებ სასეს შესედა. აღარაფერი ჰკითხა. მოხუცს მიუბრუნდა.

კორესპონდენტი – ბაბუ, რამდენი წლისა ხარ?

ბაბუა – სამოცდათოთხმეტის.

კორესპონდენტი – თქვენი სოფელი დაიწვა?

ბაბუამ, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, უკან გაისედა.

ბაბუ – სულ დაწვეს.

კორესპონდენტი – რამდენი კომლი იყავით?

ბაბუამ თავი დასარა, თავისთვის ჩაილაპარაკა.

ბაბუა – შვილი მომიკლეს.

კორესპონდენტმა ვერ გაიგო.

კორესპონდენტი – რაო?

ბაბუმ კორესპონდენტს შესედა.

ბაბუ – დავიღალე.

კორესპონდენტი – არა უშავს, ბაბუ, ცოტაღა დარჩა. ზემოთ გაგათბობენ, გაჭმევენ, ცოტაც გაუძელი, არც თუ ისე ძნელი გზაა.

მოხუცმა ამოისვნეშა.

მათ უკან ძონძებში გასვეულ ქალს, რომელსაც მსოლოდ ცსვირი უჩანდა, ფესი დაუცდა და ვეღარ ადგა. სსვები წამოეშველნენ, თუმცა თვითონაც არაქათი ჰქონდათ გამოცლილი. რის ვაი-ვაგლასით წამოაყენეს.

კორესპონდენტმა პატარა ბიჭი შეაჩერა. იგი სალვათად იყო ჩაცმული. სელებს იორთქლებდა.

კორესპონდენტი – უბეში გაითბე. უბეში.

ბიჭმა ერთი კი ასედა, მაგრამ არ უპასუხა.

ვიღაც ალპინისტს მურგზე დედაბერი შემოესვა. ყოჩაღად ამოდიოდა აღმართში. კორესპონდენტმა გააჩერა.

ალპინისტმა დედაბერი ჩამოსვა და იქვე ხეს მიაყრდნო.

კორესპონდენტი – კიდევ ბევრი მოდის?

ალპინისტი – კი... დაბლა ოცამდე მოსუცებული დარჩა. ამას ავიყვან და უნდა დაებრუნდე.

კორესპონდენტი – არ დაიღალე?

ალპინისტს გულიანად გაეღიმა.

ალპინისტი – არა, კაცო, ქათამივით მსუბუქია. აბა, ბებო. შემოასტი შენს რაშს.

გზა განაგრძეს.

ბადრი წამოდგა. გამოელილ გზას გასედა. ლტოლვილების ნაკადს თვალი ვერ უწვდინა.

დაბლა ჰორიზონტამდე შავი ზღვა გადაჭიმულიყო. რამდენიმე თეთრი გემი მოჩანდა. სროლის და აფეთქებების ხმა აქ არ აღწევდა. საერთოდ ომის კვალიც გამქრალიყო. გარშემო სიმშვიდე სუფევდა.

მაღალმთიანი სოფლის განაპირა პლატომე ვერტმფრენში დაჭრილები შეჰყავთ.

საკაცეების აწევაში სხვებს ქანცგაცლილი ბადრიც ესმარება.

იქვე, ერთსართულიან შენობაში სალხს თბილ ტანსაცმელს ურიგებენ. ჩაით და რაღაც შეჭამადით აპურებენ.

გავარვარებულ ღუმელთან ვერტმფრენის პილოტი ჩაცუცქულა. სელებს ცეცხლს უფიცხებს.

პილოტი წამოდგა. მუსლებზე შარვალი დაიბერტყა, სალხს გადასედა და შენობიდან გავიდა.

ვერტმფრენთან პილოტმა ბადრის რამდენჯერმე მიაქცია ყურადღება. მერე ვერტმფრენში შეისედა.

ვერტმფრენი დაჭრილებით იყო გავსებული.

პილოტი – მორჩა. საკმარისია. ყველაზე ძვირფასები მოამზადეთ სოლმე. მალე მეორე მოფრინდება.

მართლაც გუგუნი გაისმა და ცაში მეორე ვერტმფრენი გამოჩნდა.

ბადრი ქვაზე ჩამოჯდა. სელები მუსლებსშორის ჩამოყარა.

ვერტმფრენის კარი მისურეს. პილოტი ბადრისთან მივიდა.

პილოტი – ბატონო ბადრი, წამობრძანდით ჩემთან ერთად.

ბადრი მორჩილად გაჰყვა.

პილოტმა თავის ვიწრო კაბინაში ძლივს მოათავსა.

ვერტმფრენი პლატოდან აფრინდა.

უკვე ჰაერში პილოტმა ჭკითხა.

პილოტი – აქ როგორ აღმოჩნდით, ბატონო ბადრი?

ბადრი – გრძელი ისტორიაა.

პილოტი – სასეზე რა მოგივიდათ?

ბადრი – კონდახი ჩამარტყეს.

პილოტმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

პილოტი – მე აეროპორტთან ახლოს, მფრინავთა დასახლებაში ვცხოვრობ. რომ ჩავალთ, ჩემთან წამობრძანდით. წყლის გამაცხელებელი გაბის დანადგარი მაქვს. გასუფთავდებით, თორემ ასეთ მდგომარეობაში ოჯახს სომ არ გამოეცხადებით?! შეეშინდებათ... თან ტრანსპორტის საქმე ცუდად არის. მე საღამოს ქალაქში მივდივარ მანქანით და წაგიყვანთ.

ბადრი – გმადლობთ... დღეს უკან აღარ ბრუნდებით?

პილოტი – ხვალ დილამდე ხსვა შემცელის. მე ჩემს ნორმას უკვე გადავაჭარბე. აღარც კი მახსოვს, რამდენი რეისი გავაკეთე.

თავის ერთოთახიან ბინაში პილოტი ტელევიზორს უყურებს.

არძინბასთან მოსკოველი ჟურნალისტის კარაულოვის ინტერვიუს გადმოსცემენ, გუდაუთიდან.

კარაულოვი – მართალია, რომ თქვენ რუსი ჯარისკაცები გეხმარებიან? მართალია, რომ მათ ფულს უსდით?

არძინბა – არცერთი რუსი ჯარისკაცი ამ კონფლიქტში ჩვენი მხრიდან არ მონაწილეობს. შეიძლება ერთი-ორი მოხალისე იყოს.

კარაულოვი – აბა, საიდან გაქვთ ეს შეიარაღება – თვით-

მფრინავები, ტანკები, რაკეტები?

არძინბა – მოწინააღმდეგეს წავართვით. ქართველების მიერ ჩვენ წინააღმდეგ გამოყენებული ტექნიკა ლულებით მათვე მიუბრუნდათ. ქართველები კარგავენ, ჩვენ ვიძენთ.

კარაულოვი – თუ შეიძლება მითხარით, საიდ ცხოვრობთ, საიდ არის თქვენი ოჯახი?

არძინბა – მე მოსკოველი ვარ და ოჯახიც მოსკოვშია. ძალიან მიჭირს ხოლმე ცოლ-შვილთან განშორება, მაგრამ სახელმწიფო საქმეები მოითხოვს, რომ აქ ვიყო.

აბაგანიდან ტრუსებისამარა ბადრი გამოვიდა. გაპარსულია. მაგრამ სახის მარჯვენა მხარე მაინც ცუდად გამოიყურება. თვალს ოდნავ ახელს.

პილოტმა კარადიდან სუფთა პერანგი და შარვალი გამოიღო.

პილოტი – აი, გამომართვით. სამწუხაროდ, ზედმეტი ფესსაცმელი არა მაქვს.

ბადრი – გმადლობთ, დაგიბრუნებთ.

პილოტი – არ არის საჭირო... აი, ეს კი დამიბრუნეთ.

პილოტმა საკიდიდან ყვითელი ქურთუკი ჩამოხსნა.

პილოტი – ეს ჩემმა თურქმა კოლეგამ მაჩუქა. ისიც გვესმარებოდა ლტოლვილების გადმოყვანაში... არც ცხელია, არც ცივი. ბაილონისაა. მარტო პერანგისთვის ახლა ცოტა გრილა.

ბადრი – გმადლობთ.

ბადრი საწოლზე ჩამოჯდა. თავისი ლანჩდაგლეჯილი ფესსაცმელის თოკით შეკვრას შეუდგა.

პილოტი – წავედით?

ბადრი – წავედით.

პილოტის „ფიატმა" ბადრის სასლთან დაამუხრუჭა.

ბადრი – დიდი მადლობა, თამაზ. აი, აქ ვცხოვრობ, მეხუთე სართულზე. ჩემი ტელეფონი გაქვს. ცოტას მოვწესრიგდები და ამ კვირაში აუცილებლად გნახავ. ქურთუკსაც და ყველაფერს დაგიბრუნებ. ნახვამდის. გმადლობთ.

პილოტი – კარგად იყავი, ბადრი.

ბადრი მანქანიდან გადმოვიდა და სადარბაზოში შევიდა.

ლიფტი არ მუშაობდა. ბადრი კიბეს აუყვა...

... თავისი ბინის კარზე ზარის ღილაკს დიდსანს აჭირა თითი. არავინ გაუღო. მეზობლის კარზე დარეკა. კარი შუასნის ქალმა გაუღო. ეს ის კუპატა ქალია, რომელიც ქელესის დროს ბადრის ოჯახს სამგზარეულოში ესმარებოდა.

კუპატა – უმე, დედა! ჩამოსვედი, ბადრი, შვილო. რა დღეში სარ; რა მოგივიდა? შემოდი, შემოდი.

ბადრი – არა, ჟანეტა დეიდა. ჩემები თქვენთან ხომ არ არიან? გასაღები თქვენთან სომ არ დატოვეს?

კუპატა – გასაღები ჩემთან არის ბადრი, მაგრამ... შენ არაფერი იცი? კობა სომ საავადმყოფოშია.

ბადრი – რატომ?

მეზობელი – ქუჩაში ბიჭებმა ამერიკული ქურთუკი წაართვეს და გალახეს.

ბადრის სასე გაუსევდა. ძლივს ამოისროტინა.

ბადრი – სად არის?

კუპატა – აქვე, გზის გადაღმა, რესპუბლიკურში წევს, მეშვიდე სართულზე... ნინოც იქ არის და ბატონი რეზოც.

საავადმყოფოს დერეფანში ბადრი სწრაფად მოაბიჯებს.

დერეფნის ბოლოში შუშის განათებულ კართან ნინო დგას. მან ქმარი შეამჩნია, მისკენ წამოვიდა და ქვითინით ჩაეხუტა.

ნინო – რა დღეში სარ, ბადრი? შენ რაღა მოგივიდა?

ბადრიმ მოიშორა.

ბადრი – ბავშვი როგორ არის? სად არის?

ნინო – რეანიმაციაშია.

ბადრიმ შუშის კარი შეაღო. რეანიმაციის ოთახში შევიდა.

რამდენიმე რკინის მაღალი საწოლი იდგა. ბადრიმ თვალებით შვილი მოძებნა.

ექთანმა და ულვაშიანმა ექიმმა ბადრის გაკვირვებით მოხედეს.

ბადრი შვილთან მივიდა.

კობას წვეთოვანი ჰქონდა ვენაში გაკეთებული. სასეზე მობანილი ჭრილობები ეტყობოდა. ტუჩი გასეთქილი ჰქონდა, ორივე თვალი

ჩაშავებული.

ბადრის ცრემლები გადმოუგორდა. დაისარა, ბიჭის სუსტ ხელს აკოცა.

ბადრი – როგორ ხარ?

კობამ ცერა თითი აჩვენა, მერე მის სახეზე ანიშნა.

ბადრიმ გაუღიმა.

ბადრი – ჰო, მეც შენ დღეში ვარ.

ბადრისთან ექიმი მივიდა. მკლავში სელი გამოსდო.

ექიმი – ნუ შეაწუხებთ. უკვე კარგად არის. ხვალ დილით პალატაში გადავიყვანთ, იქ ნახავთ.

ბადრი – რამე წამალი ხომ არ არის საჭირო?

ექიმი – არა, არაფერი. ძლიერად იყო ნაცემი. ტკივილგამყუჩებლებს თუ მოუტანთ... ტვინის შერყევა აქვს. ერთ თვემდე უნდა იწვეს, მაგრამ ყველაფერი რიგზე იქნება.

ექიმმა ბადრი კარამდე მიაცილა.

ექიმი – ნუ ღელავთ, დღეს თქვენი აქ ყოფნა საჭირო არ არის. დილამდე დერეფანში ხომ არ იდგებით?!

ექიმმა კარი მისურა.

ნინო ქმარს კვლავ მოესვია. ლოყაზე და თვალზე მიეფერა.

ნინო – ეს რა არის?

ბადრი – მერე მოგიყვები.

ნინო – ანსამბლი უშენოდ რომ ჩამოვიდა, კინაღამ გავგიჟდი.

ბადრი – ვინ იყვნენ ის ბიჭები?

ნინო – არ ვიცი. კობა ამბობს, უფროსები იყვნენო. ქურთუკი გაისადეო. კობას უსმოდ მიუცია, მაგრამ მაინც ცემეს. ნუ მირტყამთ, ქურთუკი ხომ მოგეციოთ. ეს იმიტომ, რომ სადმე თუ გვიცანი, მილიციაში არ განაცხადოო. კობა ხომ მაღალია, ალბათ თავისი თანატოლი ეგონათ.

ბადრი – რა არის საჭირო?

ნინო – არაფერი. შენ წადი, მოისვენე, მოწესრიგდი, თორემ საშინლად გამოიყურები. მამაჩემი ასლახანს წავიდა. დილით მოვა. შენც დილით გამოდი. მე აქ დავრჩები. პალატაში ორი საწოლია. კობას ხვალ გადმოიყვანენ.

ბადრი – მაჩვენე, რომელი პალატაა.

დერეფანს გაუყვნენ. ერთ-ერთი ოთახის ღია კართან შეჩერდნენ.

ნინოს უკვე მოეტანა თავისი პერანგი – საწოლზე იდო. მის გვერდით ტუმბოზე სუფთა ჭურჭელი და ქილებით საჭმელი ეწყო.

გვერდითა პალატიდან გამუდმებული გინება ისმოდა. ვიღაცა ექიმებს აგინებდა.

ბადრი – ვინ არის?

ნინო – არ ვიცი, დაჭრილებს ვერ ვუყურებ ხოლმე. ვიღაც გენერალიაო, ყურადღებას აღარ აქცევენ.

ბადრიმ გადაინაცვლა და გვერდითა პალატაში შევიდა.

ლოგინში შუასნის გაუპარსავი, გაჭაღარავებული კაცი იწვა. ბადრის დანასვაზე უსეშად ჭკითსა.

კაცი – შენ ვინა ხარ!

ბადრი დაკვირდა. იცნო, მიუასლოვდა, საწოლის რკინის საგურგეს სელებით დაებჯინა.

ბადრი – გამარჯობათ, ბატონო ვასტანგ.

ვასტანგი შეცბა.

ვასტანგი – გამარჯობათ... მოიცა... შენ ბადრი ხარ, ებრაელი მომღერალი ბადრი... ებრაელების და მასონების დაღუპულია ჩვენი ქვეყანა, თქვენი დედაც მოვ-ან? სომ გასესინე ხუთი წელი ცისე?! აბა, რა გეგონა, შე დამპალო?!

ვასტანგმა ბადრის სახისკენ თითი გაიშვირა.

ვასტანგი – დაგიჭეჭყეს თუ არა მურდალი სიფათი?! ეგრეც მოგისდება.

ვასტანგი მოულოდნელად ასარსარდა.

ვასტანგი – ამის სიფათს შესედეთ!

იგი თავშეუკავებლად სარსარებდა. ხანდასან ისტერიულად კისკისებდა, ბეირდებოდა. სრიალებდა.

ბადრიმ საბანი გადააძრო.

ვასტანგი იმავე წამს გაჩუმდა. ორივე ფესი მუსლებთან გადაჭრილი და დაბანდული ჰქონდა.

ბადრიმ საბანი დააფარა. პალატიდან ნელა გავიდა.

ვასტანგს გაუპარსავ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ცსვირი

აათსლიპინა.

ვასტანგი – ღმერთო, შენი სასელის ჭირიმე, უკვე საკმარისად დამსაჯე, შემინდე ცოდვები. ნუ მომკლავ.

ღამეა. ქუჩაში ჩაფიქრებული ბადრი მოდის.

დამწვარ კომერციულ ჯისურთან სამნი დგანან. 17-18 წლისანი არიან. ლაზღანდარობენ. ერთი დაბალი. გამსდარი, ჭიჭყინასმიანი ბიჭი ხელით დანას სსნის, კეტავს, ჩსაკუნით ატრიალებს. მეორეც გამსდარია, ოღონდ მაღალი. კისერზე უკუღმა, ზურგის მსარეს შეკრული ფერადი ყელსასვეეი უკეთია. ცსეირის ნესტოსთან დიდი სალი აქვს. მესამე კარგად ჩაცმულ-დავარცსნილი ზორბა ტანის ბიჭია. ბადრი შეამჩნიეს.

სალიანი – ე, ნასე, რა ყვითელი „კურტკა" აცვია, რა „როჟა" აქვს ბიჭო!

ბადრი, მათ რომ გაუსწორდა, სალიანი წინ გადაუდგა.

სალიანი – ბიძაჩემო, სიგარეტი მომაწვეინე.

ბადრი – არ ვეწევი.

ბადრიმ ბიჭი ხელით ჩამოიშორა და გზა განაგრძო.

ჭიჭყინამ პირი დააღო. მერე ბადრის გასძახა.

ჭიჭყინა – ე, ყვითელა, მოიცა.

ბადრის ყურადღება არ მიუქცევია.

ბიჭებმა ერთმანეთს გადასედეს. ჩქარი ნაბიჯით ბადრის დაედევნენ. ბნელ ადგილას წამოეწიენ. წინ დაუდგნენ.

ჭიჭყინამ დანის წვერი ბადრის ყელზე მიადო.

ჭიჭყინა – ბიძაჩემო, ასე უმრდელად რატომ გვექცევით, გაწყენინეთ რამე?

ბადრი – ბიჭებო, თქვენი თავი არა მაქვს.

ჭიჭყინა – თავი რომ არ გაქვს, გეტყობა. ეს წესიერი კაცი ხელით რატომ გასწიე? სიგარეტი გთსოვა, მეტი ხომ არაფერი?

ბადრი – სომ გიპასუხეთ, არ ვეწევი.

ჭიჭყინა – მერე, ხელით რატომ შეეხე?

ბადრი – თქვენ რომ მესებით ასლა დანით?

ჭიჭყინა – ასლა ვარჩიოთ, ვინ მტყუანია, ვინ მართალი? შენ

რა, ქურდი სარ?

ბადრი (გაღიზიანებული) – არა, ქურდი არა ვარ.

ბადრიმ ბიჭებშორის გავლა დააპირა, სელით შემოაბრუნეს.

სალიანმა მისი თოკით გადაჭერილი ფესსაცმელები შეამჩნია.

სალიანი – ე, ფესებზე ნასე, რა აცვია, ამ მათსოვარს.

ჭიჭყინა – მაგის ფესები მე არ მაინტერესებს, „კურტკა" გაისადე, გაიგე შენ?

უცებ ზორბამ სმა ამოიღო.

ზორბა – გაისადე, თორემ ამ თვალს სულ ამოგიღებ...

მან ცერა თითი ბადრის ნატკენი თვალისკენ წაიღო...

სალიანი ქურთუკის საყელოს ჩააფრინდა. ცდილობდა ბადრისთვის ჩამოეძრო.

ჭიჭყინა ცინიკური ღიმილით ცსვირის წინ დანას უტრიალებდა.

ზორბამ თვალზე თითი მიაჭირა.

ბადრიმ ლაჯებშუა ფეხი ამოარტყა. ბიჭმა კენესით ჩაიცეცა.

ჭიჭყინამ დანა გაუქნია.

ბადრიმ ზურგზე ჩამოკონწიალებული ხალიანი გვერდზე მოიქნია.

დანა სალიანს ფერდში შეერჭო. ხალიანი ღრიალით გავარდა.

სალიანი – ვაი, დედა, მომკლეს, მიშველეთ, მომკლეს.

ბადრი პირისპირ დარჩა ჭიჭყინასთან, რომელიც მუხლებში მოსრილიყო და შეშინებული სასით გასისსლიანებული დანა ბადრისკენ მიეშვირა.

ბადრი მისკენ ჯიქურ წავიდა.

ბიჭმა ნელ-ნელა უკან დაისია. მერე შებრუნდა და ისიც გაიქცა.

ბადრიმ ზორბას მოსედა.

იგი უკვე ფესზე წამომდგარიყო, აგრესიულობა არ ეტყობოდა, მაგრამ გვერდზე ქამრიდან რაღაცის ამოღებას ცდილობდა.

ბადრიმ სასეში მუშტი ძლიერად დაარტყა.

ბიჭი იმდენად მასიური იყო, რომ არ წაიქცა. თვალებში აბრი დაეკარგა.

ბადრი გამეტებით ურტყამდა, ზორბა კი ბარბაცით ნაბიჯ-ნაბიჯ უკან მიდიოდა. ბოლოს მუხლი მოეკვეთა. იქვე სახლის კედელთან ჩაჯდა და ფესები გაშალა.

ბადრი დაისარა. პისტოლეტი ამოიღო. გამართული ხელით შუბლში დაუმიზნა.

გაბოროტებული სახით უყურებს ბიჭს. ძლივს ითმენს, ჩასმახს თითი რომ არ გამოჭრას. საშინელი შესახედია... ნელ-ნელა გამოერკვა. პისტოლეტი დაუშვა.

ქუჩას გაუყვა. კარგა ხანს იარა. მერე პისტოლეტს დასედა და გზის გადაღმა მოისროლა.

ბადრის ბინა. ბადრი როიალთან ზის. ხალათშია. მუზიკირებს. ხანდასან ჩერდება. ნოტების რვეულში რაღაცას ინიშნავს.

გვერდითა ოთახში ნინო გრძელსარკიან ტანსაცმლის კარადასთან დგას. ჩაფიქრებული ათვალიერებს ბადრის უამრავ სხვადასხვაფერ კოსტიუმებს. ქმარს ოთახში გასძახა.

ნინო – რომელი კოსტიუმები ჩაგიწყო.

ბადრისგან პასუხი ვერ მიიღო. ნინო ქმართან გავიდა.

ნინო – საპარსი მანქანა ჩაგიდო ჩემოდანში, თუ სამართებელი?

ბადრი თავის ფიქრებშია. ღიღინებს.

ბადრი – უპუ.

ნინომ ოთახი გადაკვეთა და სამზარეულოში შევიდა.

სამზარეულოში რეზოს წინ მაგიდაზე დაჭრილი სახვი და პური დევს. ბოთლიდან ჭიქაში ღვინო დაისხა.

ნინო – გეყოფა ამდენი სმა.

ნინომ აფთიაქი გამოაღო.

ნინო (თავისთვის) – ანალგინს წავიღებ მაინც... და ნოშპას.

რეზო – ღვინო, დუდუკი, ქალები... ღვინოს ვსვამ, დუდუკს ვაკვნესებ, ქალებო გენაცვალებით...

ნინო – დუდუკი გაკლია ახლა კიდევ... სულ გამოპრუტუნდა ეს უბედური, საღილს ვერ შეჭამ? რა არის ეს, სახვი და პური, ლოთური რომანტიკაა?

რეზო – კაცო, ორმოცდაათი წელია ვსვამ და სმა არ ამოგიღია. მაინცდამაინც ახლა გაესდი ლოთი და რომანტიკოსი?

ნინო სამზარეულოდან ამრეზით გავიდა.

რეზო – ამერიკაში მიდის და სულ „გამისვეცკდა“.

რეზომ ღვინო გადაჭრა.
ნინო ბადრიმ შეაჩერა.
ბადრი – მოდი, მოისმინე, როგორი მელოდია დაეწერე.
ბადრი უკრავს და უსიტყვოდ მღერის. გაჩერდა.
ბადრი – არ ვიცი, რა სიტყვები დავადო.
ნინო – შენი ძმის ლექსი აიღე რომელიმე.
ბადრი – ერთი მომწონს, მაგრამ ბევრი წ, ყ, ჭ-ა შიგ.
მეორე სართულიდან სტუნვა-სტუნვით კობამ ჩამოირბინა და სამზარეულოში გავიდა.
ნინო – მე კიდევ მომწონს „ჩემო თბილის ქალაქო, თეთრი მტრედი მომაგებე ციდან...“
ბადრი – მაგას მაშინ დავწერ, როცა დათო თბილისში ჩამოვა.
ისმის ზარის სმა.
ნინო – მე გავაღებ.
სამზარეულოში კობამ მაცივრიდან „კოკა-კოლა“ გამოიღო, გახსნა, პირდაპირ ბოთლიდან მოიყუდა. მერე სული ძლივს მოითქვა. ცსვირგაწითლებულ ბაბუას შესედა.
კობა – ბაბუ, მაშ ამერიკაზე წისლი გვიკარი, არა?
რეზო – ამერიკა და საღეჭი რეზინა მაკლია ახლა მე.
ოთახში ნინოს ვიღაც ლამაზი ქალი შემოჰყვა.
ნინო – ბადრი, შენთან არიან.
ბადრი ფესვზე წამოდგა.
ბადრი – მობრძანდით, მაპატიეთ, ხალათში რომ ვარ. დაბ-რძანდით.
ქალი – არა უშავს.
ნინო საძინებელში გავიდა.
ბადრი და ქალი ერთმანეთის პირისპირ სავარძლებში ჩასხდნენ.
ქალი – მე მარინე მქვია.
ბადრი – ძალიან სასიამოვნოა. მე – ბადრი.
მარინეს გაეცინა. ცოტა ხანს ჩუმად სხედან.
ბადრი – გისმენთ, მარინე.
მარინე – მე დათოს ბავშვობის მეგობარი ვარ.
ბადრიმ გაუღიმა.

მარინე – ამ ორი ათეული წლის მანძილზე მრავალი წერილი გავუგზავნე, მაგრამ პასუხი არცერთზე არ მიმიღია.

ბადრი – გასაკვირი არაფერია. წერილებს ჩვენც მრავალი შემოწმების შემდეგ გვაძლევდნენ... თქვენსას, ალბათ, არც აგზავნიდნენ, აქვე ტოვებდნენ.

მარინე – დიას.

მარინემ ჩანთიდან კონვერტი ამოიღო.

მარინე – თუ შეიძლება. იმედია, ამ წერილს მაინც მიიღებს, თუ თქვენ პირადად გადასცემთ.

ბადრი – კი ბატონო.

მარინე – გთხოვთ, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მარინემ კონვერტი მიაწოდა.

ბადრი – მეტს არაფერს მეტყვით?

მარინებ ბადრის თვალებში შესედა.

თვითმფრინავში ბადრი, კობა და ნინო სსედან. ილუმინატორში იცქირებიან.

ილუმინატორში მოჩანს თავისუფლების ძეგლი ფეაღმართული ჩირაღდნით, ნიო-იორკი თავისი ცათამბჯენებით.

აეროპორტში თბილისელებს იაკობი, ნანული, მაიკლი და ტომი ელოდებიან.

სსვა მგზავრებთან ერთად ვესტიბიულში ბადრი და მისი ოჯახობა შემოდის. აქეთ-იქით იყურებიან.

ისინი პირველი მაიკლმა შენიშნა და სხვებს ხელით დაანახა.

ნანულიმ ხელი აღმართა და დაუქნია.

ნინო, ბადრი და კობაც ხელების ქნევით მათკენ გამოემართნენ.

პირისპირ დგანან. ერთმანეთს ათვალიერებენ. მერე ბადრიმ ფესი წინ გადადგა და მამას ჩაეხუტა. ნანული კობას ესვევა, ნინოს კოცნის.

ნანული – ჩემი პატარა ნინო. როგორ დაქალებულსარ. რა ლამაზი სარ.

მაიკლი და ტომი მორიდებით გვერდზე დგანან.

იაკობს ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის. ბადრი ბეჭზე ხელს

უტყაპუნებს.

ბადრი – კარგი, მამა. გეყოფა, დამშვიდდი.

ნანულიც ძმას მიეკრა.

ნანული – ბადრი, რამხელა გაგრდილსარ, ჩემო ბადრუჩი.

იაკობი – ბიჭო, ასე შეიძლება; ბიჭო? შე ვირიშვილო, ოცი წლით მიმატოვეთ, რატომ არ წამოსვედით, რატომ დამკარგეთ?

ბადრი – კარგი, მამა. ხომ ისევ ერთად ვართ. ნანული, მოდი, ერთი წესიერად ვერც გაკოცე. მე კი გუშინდელივით მასსოვხარ, მაგრამ შენ, ალბათ, პატარა ბიჭი დაგრჩა მეხსიერებაში.

ჭოცნიან ერთმანეთს. ნანულიმ მაიკლს და ტომს შესედა და დაფაცურდა.

ნანული – ეს მაიკლია, ჩემი ქმარი. ეს ტომი, დათოს შვილი. ეს კი ჩემი ძმაა ბადრი, მისი ცოლი ნინო და მათი შვილი კობა.

ყველამ ერთად – ვიცით, ვიცით. ფოტოებიდან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს.

იაკობი პატარა კობას ეფერება. ხელში აყვანა უნდა, მაგრამ შვილიშვილი მძიმეა. ისევ თვითონ ისრება მიკენ.

იაკობი – ჩემი კობა, ჩემი იაკობი, ჩემი შვილიშვილი.

ნანული – კობა მოდი, შენს ბიძაშვილს მიესალმე.

კობამ და ტომმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ყოყმანის შემდეგ გადაკოცნეს. ტომი 20 წლისაა. კობაზე ექვსი წლით უფროსია. სათვალიანს აკადემიური გამომეტყველება და გარეგნობა აქვს.

იაკობი ნინოს ეფერება. ბადრი დარბაზს ათვალიერებს.

ბადრი – დათო რატომ არ მოვიდა?

ამერიკელები ოდნავ შეიშმუშნენ.

იაკობი – წამოდით, ბარგი ავიღოთ და მანქანაში გავაგრძელოთ.

ნანულიმ ბადრის ხელი ხელზე მოუჭირა.

ნანული – მოვა.

ორი მანქანა სიდზე მიჰქრის.

პირველში იაკობი და ბადრი სხედან.

იაკობი – ნახე, შვილო, რა ბრიჯია; ბრუკლინის ხიდი. შვილო, ნახე, რა ქალაქია. შეხედე, რა ქვეყანაა, შვილო.

ყოველ „შვილოზე" ბედნიერი იაკობი ბრუნდება და თმებზე ნაზად

ხელს უსვამს. მას მუსიკოსის თითქმის არაფერი შერჩენია. უბრალო მძღოლის მანერები და ლაპარაკი აქვს.

ბადრი ინტერესით ათვალიერებს გარემოს, მაგრამ რაღაც აწუხებს.

ბადრი – მამა, დათო სახლში დაგვსვდება? რატომ არ მოვიდა?

იაკობს სასიათი გაუფუჭდა.

იაკობი – ეჰ, რა ვიცი, შვილო... ცხოერება არ გამოუვიდა... ყველაფერი აეწეწ-დაეწეწა... ტომი კარგი ბიჭია, მაგრამ... ჰო, არაფერი. მაირას გაეყარა... ახლა ჩემთან ცსოვრობს... ორი კვირაა არ მინასავს, არ გამოჩენილა... სად ათენებს და აღამებს ღმერთმა უწყის... სანდახან კაფეში როიალზე უკრავს. ამით არის... სვამს.

იაკობი ისევ გამოცოცსლდა.

იაკობი – პატარა იაკობი (იცინის) რა ბიჭია. როგორ მგავს. ჩემსავით არწივივით თვალები აქვს. ჩვენი სისსლია, ჩვენი ჯიში. შესედე, შესედე, თავისუფლების ძეგლი. შვილო, შენ გესმის, თავისუფლების!

მეორე მანქანას მაიცლი მართავს. მის გვერდით ნინო და კობა სსედან, უკან – ნანული და ტომი.

ნანული – კობა, მოგწონს?

კობა – ძალიან.

იგი გაცისკროვნებული თვალებით უყურებს არემარეს.

ნანული – პირველმა მაიცლმა გიცნო. თქვენი თავი დაგვანახა.

ნინო უკან მობრუნდა.

ნინო – ტომ, მამაშენი და დედაშენი სად არიან?

ტოამმა მსრები აიჩეჩა და პირდაპირ უპასუსა.

ტომი – დედაჩემი სასლშია... მამა გაგვეყარა.

ნინოს გაუკვირდა.

ნინო – რატომ?

ნანული – კარგი, ნინო, რა დროს ოჯასური უთანსმოების გარჩევაა? შენ ნასე სად ხარ. ისიამოვნე, გაერთე, დაისვენე.

ნინო – ჩემი გოგოები შურით გასცდნენ, ამერიკაში რომ მოვდიოდი.

იაკობს ოროთასიანი პატარა ბინა აქვს.

კარი გაიღო და ჩემოდნებით დატვრთულები შემოლაგდნენ.

იაკობი დაფაცურდა.

იაკობი – აბა, ბარგი დააწყვეთ, გაისადეთ, მოისვენეთ. მე ახლავე.

იაკობი სამზარეულოში გავარდა.

სტუმრებმა ბარგი დააწყვეს, ზედა ტანსაცმელი გაისადეს. ოთახი მიმოათვალიერეს.

მრგვალი მაგიდა ყვავილებით არის საგეიმოდ მორთული. ზედ ტკბილეული და ბუტერბროდებია.

ერთ კედელზე ედუარდ შევარდნაძის ფოტო კიდია, მეორეზე – ვიღაცის ნატურმორტის რეპროდუქცია.

კობა პირდაპირ ფანჯარასთან მივიდა. ნიუ-იორკის ქუჩებს დაუწყო ზემოდან ცქერა.

სამზარეულოდან ორი შამპანურით დატვირთული იაკობი გამოვიდა.

იაკობი – აბა, დასსედით, დასსედით. თქვენი ჩამოსვლა აღვნიშნოთ, ტომ, მოდი, მომესმარე. შამპანურები გასსენი, ასეთ შამპანურს იქ, თქვენთან ვერ დალევთ.

მაგიდას შემოუსსდნენ. ტომმა საერთო სიცილში შამპანური ბათქით გასსნა. ძლივს მოასწრო ჭიქებში ჩამოსსმა.

იაკობი – დღეს უნდა ვიგრიალოთ (ბედნიერად იცინის). რა სიტყვა გამახსენდა, ვიგრიალოთ! ქართული, თბილისური.

მაიკლი ნანულის შეეკითხა.

მაიკლი – რა არის ვიგრიალოთ?

ნანული – ოჰ, ამას ასლა ვერ აგიხსნი... მამა, რა დროს გრიალია, აიღონ რაც სჭირდებათ და ჩვენთან წავიდეთ. აქ სომ არ დარჩებიან. სვალ ჩამოვალთ, ნიუ-იორკს დავათვალიერებინებთ და ისევ უკან წავალთ.

იაკობი – არა, არა. უკვე ხომ შევთანსმდით ამაზე, ორი დღე ჩემთან იყვნენ. შაბათ-კვირას ჩამოვალთ თქვენთან.

ნანული – აქ სად უნდა დატიო. ჩვენთან ჰაერზე იქნებიან. ცალ-ცალკე ოთასები ექნებათ...

იაკობი – არა, დაეტევიან.

ნანული – ოჰ, რა ჯიუტია.

ბადრი – მართლა, ნანული. ამსელა გზა გამოვიარეთ. დავიღალეთ. ღღეს დავისვენებთ.

ნანული – ჰო, კარგი. მაშინ მე და მაიკლი სვალ ჩამოვალთ, განასებთ ნიუ-იორკს, მუზეუმებს, გალერეებს...

ნინო – აპ არა, შენი ჭირიმე. მაღაზიების გარდა მე არსად წამსვლელი არა ვარ. მომკლა მთელი სიცოცხლე საბჭოთა კავშირის ინტელექტუალურმა ცხოვრებამ.

ბადრის გაეცინა.

იაკობი – აღარ დავლიოთ? ეს იცით, რა შამპანურია, იცით?!

ნინო – დავლიოთ.

იაკობი – თქვენ ჩამოსვლას გაუმარჯოს.

ჭიქები მიაჭასუნეს. შესვეს. ნანული მაიკლისკენ გადაისარა, ყურში რაღაც უჩურჩულა. მაიკლი ღიმილით დაეთანხმა. კოსტიუმი გაისადა, ჰალსტუხი შეიხსნა.

მაიკლი – ბადრი, აპა, გამომართვი. მიჩუქნია. ღღეს საღამოს შეიძლება სადმე წასვიდეთ, დაგჭირდებათ.

ბადრის ირონიულად გაეღიმა.

მაიკლი – გამომართვი, ნუ გერიდება, შენი იყოს. სვალ სხვას ჩამოგიტან.

ბადრი დასერიოზულდა, კოსტუმი და ჰალსტუხი ნელა ჩამოართვა.

კობა გაკვირვებული უთვალთვალებს ამ სცენას. ნინოს ეცინება.

იაკობი ვერ ისვენებს.

იაკობი – აი, ნასეთ.

იაკობმა შორი მართვის პატარა პულტი აიღო. ღილაკს თითი დააჭირა. ტელევიზორი ჩართო და გამორთო.

იაკობი კმაყოფილი იცინის.

იაკობი – ტელევიზორთან მისვლა არც გჭირდება. ზისარ სავარძელში და შორიდან გინდა ჩართავ, გინდა გამორთავ, გინდა სმას აუწევ...

ნანული – მამა, ეს ყველაფერი, ალბათ, იქაც არის....

კობა – ჩვენც გვაქვს.

ნინომ ღიმილით, სელით-ხელზე მოჭერით, შვილი გააჩერა.

იაკობმა ყურადღება არ მიაქცია.

იაკობი – წამოდით ახლა ჩემთან.

ბადრი, ნინო და კობა გაყვნენ. ნანული, მაიკლი და ტომი მათ ოთახებში მიმოსვლას უყურებენ.

პატარა საშსაპეში ძლივს შეეტიენ.

იაკობი – აბა, მოუშვით, თუ შეგიძლიათ წყალი... საიდან მოუშ-ვებთ, როცა ონკანები არ არის... აი, ნასეთ.

იაკობმა კარის სახელური ასწია. შსაპიდან წყალი წამოვიდა.

დასველებულები გამოცვივდნენ. იაკობი ხარხარებს.

იაკობი – აი, ასე, სასელურით რეგულირდება. ცივი წყალი, ცხელი წყალი.

კობამ ინტერესით რამდენჯერმე ასწი-ჩამოსწია სასელური.

იაკობი – არა, კარი დაკეტილი უნდა იყოს. ასეთს იქ, თქვენთან ვერ ნასავთ... წამოდით, წამოდით.

სამგარეულოში შევიდნენ. იაკობმა მაცივარი გამოაღო, რომელიც მთლიანად საყინულეს წარმოადგენდა.

იაკობი – აი, ასეთი გინასავთ. ასეთი რეფრიჟერე გინასავთ, ჰა?

კობა – მასეთი ორი გვიდგას სასლში.

ჩაიბურტყუნა კობამ და ბუტერბროდის ჭამით სამგარეულოდან გავიდა.

იაკობმა მიმოიხედა.

იაკობი – აი, ნახე, „ჩაინიკი", „სვისტოკი" აქვს. რომ ადულდება უსტვენს.

ნინო აკისკისდა; ბადრიმ ღიმილით მამა ჩაისუტა.

ბადრი – კარგი, გეყოფა ჩვენი გაცვირვება. სსეა დროისთვის გადავდოთ. წამოდი მაგიდას დავუბრუნდეთ.

იაკობი – ჰო, ჰო, დაღლილები სართ. წამოდი, დავლიოთ.

სამგარეულოდან სელიხელგადახვეულები გამოვიდნენ. ნინო და იაკობი მაგიდას მიუსსდნენ. ბადრი სამგარეულოს კარში შეჩერდა და მაიკლს უსმო.

ბადრი – მაიკლ, ერთი წუთით, თუ შეიძლება.

მაიკლი ბადრისთან მივიდა.

მაიკლი – დიას?

მაიკლის კოსტიუმი და ჰალსტუსი ბადრის ასლაც სელში უჭირავს.

ბადრი – მაიკლ... ასეთი რამ მეორედ არ მაკადრო.

ბადრიმ მაიკლს მისი ნივთები გაუწოდა. მაიკლმა თავისი ჭკვიანი თვალებით შესედა. ყველაფერს მისვდა. კოსტიუმი და ჰალსტუსი გამოართვა.

მაიკლი – გასაგებია.

იაკობი – აბა, მოდით, მოდით, გავაგრძელოთ. ბადრი აფხაზეთის ამბებზე მიამბე რამე. აქ ქართველები ძალიან ღელავენ.

ბადრი – ყველაფერს მოგიყვები, მამა.

ბადრი ტომს მოუჯდა გვერდით. მსარზე სელი გადასვია.

ბადრი – ტომ, სად ვნახო მამაშენი?

ტომი – ძნელია... ხანდახან იქ, გვერდით ქუჩაზე კაფეში უკრავს. მუსიკოსების კაფე-ბარია. „ბლუზ კაფე".

ბადრი – წამოდი, მაჩვენე.

ტომი და ბადრი ქუჩაში ერთ-ერთ კაფე-ბართან შეჩერდნენ.

ბადრი – აქ არის?

ტომი – დიახ.

კაფეში შევიდნენ.

დარბაზი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა.

სიღრმეში პატარა ესტრადაზე ინსტრუმენტები ეწყო, როიალთან ვიღაცა იჯდა და წყნარ ბლუზს უკრავდა.

დარბაზში მაგიდებთან ცოტა სალსი იჯდა.

მარჯვნივ გრძელდახლიანი სარკეებიანი ბარის ვიტრინაში უამრავი სასმელი ეწყო.

ტომი – არ არის!

ბადრიც დაკვირვებით ათვალიერებს დარბაზს. ბლუზის დამკვრელისკენ თითი გაიშვირა. უარის ნიშნად ტომმა თავი გააქნია.

ბადრი – წამოდი, დავლიოთ.

ტომი – არა, გმადლობთ, არ ვსვამ. საერთოს საღამოობით კაფე-ბარებს ვერიდები.

ბადრი სერიოზულად უყურებს.

ბადრი – მე ცოტა სანს დავრჩები აქ. შენ წადი, მალე მოვათქო, უთსარი.

ტომი – კარგი.

ბადრი ბართან მივიდა. ბარმენს ლუდი გაახსნევინა. ჭიქაში დაისხა. სვამს და ესტრადიკენ იყურება. მუსიკას უსმენს.

„ბლუზისტი" მორჩა დაკვრას. ერთ-ერთ მაგიდასთან თავის ლუდს და ბუტერბროდს დაუბრუნდა.

ბადრი ესტრადიკენ ნელა გაეშურა, როიალზე კლავიშები მოსინჯა. დაჯდა და დაკვრა დაიწყო.

ბარმენმა ყურადღება მიაქცია. ცოტა ხნის შემდეგ მივიდა, მიკროფონი ჩაურთო. მიქშერით დაარეგულირა.

ბადრი სტივი უანდერსის მელოდიას მღერის.

მან დარბაზის ინტერესი გამოიწვია.

ორსართულიანი აგურის სახლის გარეთა კიბეზე დათო ვიღაც ნაწნავებიან ბანგთან ერთად ზის.

ბანგი – როდის დამიბრუნებ?

დათო – ერთი საქმე უნდა გამოვიდეს...

ბანგი – ვიცი მე, შენი საქმე. წასვალ და სმით გაყდები. ოცი დოლარი ქუჩაში კი არ ყრია. მეც ჭამა მინდა.

დათო – მამაჩემს გამოვართმევ. სვალ მოგიტან.

დათო წამოდგა. ქუჩას გაუყვა.

ბანგი – ეი, სად მიდისარ, ისევ კაფეში?

დათომ სმა არ გასცა. ხელი გაუქნია.

კაფე სალსით არის სავსე. ყველა ფეხზე დგას. ცეკვავს. ყვირის. უსტვენს.

ბადრი ელექტროგიტარით ხელში ბიბი კინგის ბლუზს ასრულებს. სმითაც ბაძავს. ესტრადაზე უკვე მთელი ანსამბლია. ბადრის აკომპანიმენტს ენთუზიაზმით უკეთებენ.

დარბაზში აჟიოტაჟია. კმაყოფილი ბარმენი კლიენტებს ვერ აუდის.

დათო კაფეს მიუახლოვდა. სალსმრავლობამ და მსიარულმა ყაყანმა გააკვირვა. კაფეში შევიდა.

ბადრი როიალს მიუჯდა. ფრთხილად დაიწყო „ტიტები". დანარჩენი მუსიკოსები ყურადღებით უსმენენ, მაგრამ შესების წერტილებს ჯერ ვერ პოულობენ.

დარბაზი გაყუჩებული უსმენს.

დათო წინა რიგებში გავიდა. ბადრის უყურებს.

ანსამბლი ნელ-ნელა აეწყო.

დათო ესტრადაზე აძვრა; მიკროფონთან მივიდა და ძმას სიმღერაში აჰყვა.

ბადრიმ გაკვირვებით მოსედა. სასე გაებადრა. ორმაგი ძალა მიეცა.

დარბაზში ერთმანეთს ეჩურჩულებიან. ეტყობა ქართული სიტყვები და მელოდია უკვირთ, მაგრამ მუსიკა ბოლოს და ბოლოს ყველას ატყვევებს.

ამ სიმღერას მღერიან ებრაელები ისრაელში...

... ესპანეთში...

... საფრანგეთის ქართულ სათეისტომოში.

სიმღერა მქუსარე ტაშით, ყვირილით და სტვენით დასრულდა.

ბადრიმ ღიმილით როიალზე „დო-რე-მი-დო-რე-დო" დაუკრა და დათოსკენ სელგაშლილი გაემართა. ძმები ერთმანეთს გადაესვიენენ.

დარბაზში ტაში არ წყდება.

დათომ ბადრის ყურში უჩურჩულა.

დათო – დამალეინებ რამეს?

ბარამდე ეგას სალსში ძლივს მიიკვლევენ.

ბადრის სელს-სელზე ურტყამენ, უცინიან და „ბად"-ს ეძახიან.

– „ბად, ბად" ყვირიან და ხელებს უქნევენ გოგოები.

ბარმენმაც ბადრის სელზე ხელი დაჭრა.

ბარმენი – ბაად?

კბილები გამოაჩინა და ორივეს ვიკი დაუსსა.

დათომ ჭიქა გასწია; დიდში დამისსიო. ბადრიზე ანიშნა, ეს გადაგისდისო.

ბარმენმა მაღალ ფუეერში თითქმის ნასევარი ბოთლი ჩაასსა.

ბადრიმ ვერც კი მოასწრო ძმის გაჩერება. დათომ მთელი ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა.

დარბაზში უასლესი მუსიკის თანსლებით სმაურიანი ცეკვები გრძელდება.

დარბაზის მორეულ კუთხეში მაგიდასთან ბადრი და დათო

სსედან. ლუდს სვამენ.

დათო ძალიან მთვრალია, მაგრამ მეტყველების და საღი აზროვნების უნარი არ დაუკარგავს. წყნარად, დინჯად დაფიქრებით საუბრობს.

ბადრი – .... აფსაგეთში ნიკა ჩემ თვალწინ დასვრიტეს.

დათო – სიმართლე გითხრა, არ მაინტერესებს. არავითარი ნიკა აღარ მახსოვს, შენ გგონია ჩემი ძმა სარ?! ჩემი ძმა ის პატარა ბიჭი იყო, რომელიც ეზოში მოულე შარვლით დარბოდა... შენ ბარში გაცნობილი ვიღაც მუსიკოსი სარ, რომელსაც მომავალში შეიძლება დავუმეგობრდე... თუმცა რა მომავალი... ან რა დავუმეგობრდე...

ბადრი – დათო, შენ ახლა მთვრალი ხარ.

დათო – სიმთვრალეში არ არის საქმე... აი, ებრაელობა. ქართველი ებრაელი სულ სხვაა... აქ რომ ჩამოდიან, ყველა ამერიკელი ხდება, გინდ რუსი იყოს, გინდ თათარი... ქართველი არა... ქართველი ებრაელი ცალკეა. ისევ ის სუფრები, ყანწები, სადღეგრძელოები, საცივი, ჩევეები, ტრადიციები... ნანულის „ბოიფრენდები" რომ გაეჩინა, მამაჩემი სასლიდან გააგდებდა... ჰოდა, ამ ებრაელებს ჰგონიათ, რომ ისევ საქართველოში ცხოვრობენ. მე არა! მე ილუმიები არ მაწუხებს... რა არის ცხოვრება?.. წამება. ადამიანის დაბადება დიდი უბედურებაა. ვის რაში ჭირდება ეს შენი „მე"? უკეთესი არ არის, „მე" საერთოდ არ არსებობდეს?!

ბადრი – დათო, წამოდი, სასლში წავიდეთ.

დათო – საქართველოში დაბრუნდიო, რომ მეუბნები, სად არის საქართველო, რა არის საქართველო?.. მართალია, ადრე ვიღაც-ვიღაცეები მაინტერესებდნენ... წერილებსაც ვაგზავნიდი, მაგრამ... იქ მე არავინ მელოდება...

ბადრი – ჰო, მართლა, შენთან წერილი გამომატანეს.

დათო – ა-პა-პა-პა-პა-პა-პა, არავითარი წერილი, არავითარი ნოსტალგია, წარსულში დაბრუნება არ შეიძლება.

ბადრი – მომისმინე, რა გინდა, გამაგებინე. რატომ იტანჯავ თავს?

დათო – არაფერი არ მინდა; არაფერი არ მაინტერესებს, არავინ არ მიყვარს, ჩემი თავიც მათ შორის. აბსოლუტურად თავისუფალი ვარ. მორჩა, დამთავრდა ყველაფერი. ყველაფერი დღესავით ნათე-

ლია... ამაოებათა ამაოება...

ბადრი – ეს ტრივიალური აზრი ყველა ლოთს მოსდის თავში... შენ რა გჭირს ამისთანა?.. კარგი, ფრენკ კაუპერგუდი შენგან არ გამოვიდა, ასლა მარტინ იდენის ამპლუაში სარ?

დათოს ჩაეცინა.

დათო – ეს წიგნები და ზღაპრები ღუპავს წესიერ ხალხს.

ბადრი – ამსელა ოჯახია, ბოლოს და ბოლოს ერთად ვართ. ყველას გვიყვარსარ. ნიჭიერი მუსიკოსი სარ...

დათოს სიცილი აუტყდა.

დათო – ნიჭიერი!

ბადრი – შენს ლექსებზე დაწერილ სიმღერებს ქვეყანა მღერის... სიტყვები ზეპირად იციან... მშვენიერი შვილი გყავს...

დათო – ჰმ, შვილი...

ფესზე წამოდგა. ბადრიც ადგა.

დათო – მე წავედი.

ბადრი – მოიცა, ერთად წავიდეთ. სახლში არ მოდიხარ?

დათო – არა.

დათო შებრუნდა. ბადრიმ უბიდან კონვერტი ამოიღო და შეუმჩნევლად დათოს კოსტიუმის ჯიბეში ჩაუდო.

დათომ მოსედა, კონვერტი ვერ შეამჩნია.

დათო – ერთ ჭიქას დავლევ და წავალ... არ წამომყვე, თორემ მეწყინება.

ბადრი – როგორ გნახო?

დათო ბანცალით ბარისკენ გაეშურა.

ჯუინი თავისი ოროთახიან ბინაში კომპიუტერთან მუშაობს. სათვალე უკეთია. ისმის ზარის სმა. ჯუინი კარის გასალებად მიდის. სათვალთვალოში იცქირება. კარს აღებს.

პერანგგამოჩაჩულმა, ჭალსტუხშეხსნილმა, უზომოდ მთვრალმა დათომ იგი ხელით გასწია. ოთახში შებანცალდა და დივანზე პირქვე დაემხო.

ჯუინი თავზე დაადგა. ამოიოხრა.

ჯუინი – ისევ პრობლემები. რიდის მორჩება ეს ჯოჯოხეთი?

თავს აღარ დამანებებ?!

ჯეინმა ფესსაცმელები გასადა. შარვალ-კოსტიუმსაც დაეჯაჯგურა, მაგრამ დათომ ღმუილით არ დაანება. ხელით მოიშორა.

ჯეინმა „პლედი“ გადაასურა.

გვიანი ღამეა. სამგარეულოში ორნი არიან – იაკობი და ბადრი. მაგიდაგე ნასევრად დაცლილი ვისკის ბოთლი დგას და მცირედი საუბმეა.

იაკობი აკორდეონზე უკრავს. გაჩერდა.

იაკობი – ნუ გეშინია, არ გაიღვიძებენ. ძალიან დაღლილები იყვნენ. უცებ დაიძინეს.

ბადრი – არ მეშინია.

იაკობმა აკორდეონი ბუდეში ფრთხილად ჩადო. დახურა. მაგიდას მიუჯდა.

იაკობი – ჩემი ოცნებები არ გამართლდა, ბადრი, მაგრამ არა უშავს რა, სამაგიეროდ, შენ გამოსვეედი ცნობილი მომღერალი. ყველა შენი ფირფიტა მაქვს შეგროვილი.

ბადრი – მართლა?

იაკობი – აბა, ხომ მიგზავნიდი.

იაკობმა ჭიქა ასწია. გაიღიმა.

იაკობი – რა ბედნიერი ვარ, რომ ენასეთ. რა კარგი ბიჭია ჩემი კობა... ეჰ, გაგვიმარჯოს.

ბადრი – გაგვიმარჯოს.

გადაჭკრეს. იაკობი მწარედ ჩაფიქრდა. სკამზე გადაწვა. ცრემლები დაუფარავად წამოუვიდა.

ბადრი – რა იყო, მამი?

იაკობი – მეტირება, თქვენ თბილისში რომ დაბრუნდებით და მე კი არა.

ბადრი – შენც წამოდი, რა გიშლის ხელს?

იაკობი – დედაშენთან ისეთი დამნაშავე ვარ... ერთი, მის საფლავთან მომადრეკინა მუსლი, მეტი არაფერი მინდა...

დათო დივანზე უეცრად წამოჯდა.

დათო – ნიკაც მოკვდა.

გაოგნებულმა თქვა. მან ვერაფრით ვერ გაიგო, სად იმყოფებოდა. ქუჩიდან შემოსული რეკლამის შუქით განათებული ოთახი მოათვალიერა. წამოდგა. ნელ-ნელა გონს მოეგო. წინდებისამარამ დივანს შემოუარა. მერე ნელა სამზარეულოსკენ წავიდა.

სამზარეულოში მაცივარი გამოაღო; კარადებს დაუარა. სასმელს ეძებდა. ბოთლები ცარიელი დაუსვდა. ონკანი გახსნა. ჭიქა წყლით აავსო. აცასცასებული ხელით პირთან ძლივს მიიტანა, ნახევარი ზედ გადაისხა. კვლავ ოთახში დაბრუნდა.

ჯეინის საძინებელთან შეჩერდა.

ჯეინს მშვიდად ეძინა.

დათომ დივნის გარშემო სიარული დაიწყო. ხან ერთ, ხან მეორე მხარეს დადის. უცებ გაჩერდა. სახეზე ხელები ძლიერად დაისვა.

დათო – არა, სხვა განზომილებაში უნდა გადავიდე, ყოველდღე ერთი და იგივე აუტანელია.

იგი აბაზანაში სწრაფად შევიდა.

სარკესთან სამართებელი იპოვნა. წყალი მოუშვა და გაანელა.

დიდხანს უყურებს, როგორ ივსება აბაზანა. ონკანები ისევ დაკეტა.

სამართებელი თავის ადგილზე დადო.

ისევ ჯეინის საძინებელთან მივიდა. უყურებს.

ჯეინი სახით მისკენ გადმობრუნდა. შიშველი ხელი გაშალა. დათომ ხელები კოსტიუმის ჯიბეებში ჩაიწყო, რაღაც იგრძნო. ჯიბიდან კონვერტი ამოიღო. გაკვირვებულმა დიდხანს ხელში ატრიალა. კონვერტზე აღრესატი არ იყო მითითებული.

დათოს რაღაც გაახსენდა. რაღაცას მისვდა. თვალები გაუშტერდა. უეცარი გადაწყვეტილებით შემობრუნდა. კონვერტი ჯეინის მაგიდაზე დადო.

დათო – არა, არ მინდა, აღარ შემიძლია. საკმარისია.

დივანზე დაჯდა, ფეხსაცმელები ჩაიცვა, ბონრები შეიკრა. აბაზანაში გავიდა.

სარკის წინ პერანგი შარვალში ჩაიტანია, ჰალსტუხი აკურატულად გაისწორა და კოსტიუმი მსრების მოძრაობით ტანზე კარგად მოირგო.

დათომ ოთახი სწრაფი, გაბედული ნაბიჯით გადაკვეთა, აივანზე

გავიდა და ქუჩაში გადასტა...

სართულებშორის მიფრინავს. ისმის სირენების ხმა.

დილით ჯეინმა სამშარეულოში ყავა მოისარშა.

ფინჯანით სელში ოთასში შევიდა. დიეანს და დაჭმუჭნულ პლედს დახედა. ფინჯანი მაგიდაზე დადგა. პლედი დაცეცა. დივანზე გადაიდა. კვლავ ყავას დაუბრუნდა და ქაღალდებზე ზემოდან უადრესატო კონვერტი აღმოაჩინდა. გაცვირვებულმა სელით გადაატრიალ-გადმოატრიალა. მერე ქაღალდის საჭრელით გახსნა.

კონვერტში ვიღაც ასალგაზრდა ბიჭის სურათი და ორად გაკეცილი ფურცელი იდო.

ჯეინი სურათს დააკვირდა. გვერდზე გადადო და ფურცელი გაშალა.

ქართულად დაწერილი ბარათი ვერაფრით ვერ გაიგო.

კრემატორიუმი. ისმის მარინეს ხმა, რომელიც დათოს ცხედრის დაწვის ცერემონიალს ემთხვევა. აქ მთელი ასლობლობაა შეკრებილი: იაკობი, ნანული და მაიკლი; ბადრი, ნინო, კობა; ზაირა და ტომი; მაიკლის მშობლები. შავები აცვიათ.

მარინე – ჩემო დათუნა. იმდენი წერილი მოგწერე, იმდენი გრძნობა ჩავაქსოვე მათში, რომ ასლა მთლიანად ცარიელი ვარ. აღარ ვიცი, რა გითხრა. თუ ის წერილები წაკითხული გაქვს, ხომ კარგი. ყველაფერი ნათელია. თუ არა და, ღმერთის შემწეობით, იქნებ ოდესმე შევხვდეთ ერთმანეთს. ახლა კი მოკლედ გეტყვი. ამ სურათზე შენი შვილია, შენი დათუნა, რომელიც ისე მიყვარს, როგორც შენ მიყვარდი მთელი სიცოცხლე.

ბადრის დათოს ფერფლით სავსე პატარა ურნა თვითმფრინავში ააქვს.

თვითმფრინავი აეროპორტიდან აფრინდა.

იწყება სიმღერა – „გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო, თეთრი მტრედი მომაგებე ციდან...“

60-იანი წლების რუსთაველის პროსპექტი. სალსმრავალი, მხიარული. ამ კადრს ბარიკადებით და ტანკებით ჩასერგილი რუსთაველი ენაცვლება.

ასევე ძველი სასტუმრო „თბილისი“ და დამწვარი თბილისი.
სამსატვრო გალერეა...
მთავრობის სასლი...
ფოსტის შენობა...
მსიარული ბავშვები და 9 აპრილს დასოცილთა პანაშვიდი.
ტყვიებით დაცსრილული ქაშვეთი.
ჭურვშერჭობილი, ორად გაპობილი ჭადარი.

ბოტანიკურ ბაღში ასალგაზრდა ბიჭი და გოგო მთაში არბიან.
დიდი მუსის ქვეშ ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან.
გოგო – ეს რა მყუდრო ადგილი გიპოვნია ჩემო დათო, ჩემო დათუნა.
. კვლავ კოცნიან ერთმანეთს. მათ უკან მუსის ქერქზე ამოტვიფრულია – „დათო + მარინე“. წარწერა დროისგან ჩაშავებულია – ძლივს იკითსება.
ვიწრო, მოკირწყლული ქუჩა. ერთსართულიანი თეთრადშებათქაშებული მილიციის რაიგანყოფილება. ერთი მილიციელი შენობის წინ კიბეზე ზის. ნაყინს ჭამს. მეორე – ფანჯარაში მოჩანს, რაღაცას წერს... ისიც ნაყინს შეექცევა.
მათ საპირისპიროდ ქუჩის გადაღმა ორი კომერციული ჯიხურია, ერთს „აფთიაქი“ აწერია, მეორეს – „ნაყინი“.
ოდნავ მოშორებით ჩვენთვის ნაცნობი დამწვარი და დანგრეული სახლია.

დასასრული
1995 წ.

კრიალოსანი

რ. გიორგობიანი
ა. ჭიჭინაძე

ლიტერატურული სცენარი მხატერული ფილმისათვის

თბილისი
1989

ჭალა სოფელ შემოქმედის მახლობლად.

სოფლის საბანაო. დიდი ტირიფი გადაფარებია დიდი თეთრი რიყის ქვებით დაგუბებულ გამჭვირვალე წყალს.

წყალში შიშველი ყმაწვილები ჭყუმპალაობენ. ცსელა... ბიჭებს სიამოვნებთ წყლის სიგრილე, ერთად ყოფნა. თითქმის ბიჭები არიან – 16-18 წლის სოფლის ყმაწვილები, ათამდე... იცინიან, ჭყუმპალაობენ.

სელმა ტირიფის ტოტი გადაწია.

ბიჭები წყალში თამაშობენ, ერთი ნაპირზე წევს, თვალებზე სელი აუფარებია, – მზეა...

ადამიანს, რომელმაც ტოტი გადაწია, ასალთახალი ტყავის ქურთუკი აცვია, ვარსკვლავიანი ქუდი ასურავს. რევკომის თავმჯდომარეა, – ისიდორე ტუღუში. საბანაოს გასწვრივ ტანისამოსი და იარაღი ყრია.

უკნიდან სველება მოესმა, მოისედა. ფერმკრთალი კაცი, ისიც ტყავის ქურთუკიანი (ოღონდ ტუღუშისაგან განსხვავებით, მისი ქურთუკი ძველია/, წელში მოხრილა და მძიმედ ასველებს. ამ ნასველამოუღები სველებისას მაუზერის თლილი ქარქაში სტის. ტუღუში ელოდება როდის დაამთავრებს სველებას საგანგებო კომისიის წევრი. საპატიო სტუმარი, როგორც იქნა, მოითქვამს სულს,

ცრემლს შეიწმენდს და ტულუშს ამოუდგება გვერდით, ტირიფქვეშ. თვალმოჭუტული ათვალიერებს მოლაგღანდარე ბიჭებს. ერთს ამოარჩევს თვალით; სსვებზე მაღალია, გამსდარი, მსარგანიერი, წელში ოდნავ მოსრილი. საერთო ჭყუმპალაობაში არ მონაწილეობს. გვერდზე გამდგარა და პერანგს რეცხავს უსაპნოდ.

– აი, ის! – ბრძანების კილოთი მოჭრის და თითს გაიშვერს.

– ეგ მისი ნათლულია, – მობოდიშებით ეუბნება ტულუში.

– უკეთესი... შევამოწმებთ... – ისევ აუტყდება სველება, – მუდამ ერთგული იქნება ჩვენი საქმის... მით უკეთესი, – ამბობს შემდეგ – ჩვენი იქნება.

ტულუში გადის საფარიდან და ყვირის.

– რამმო-ო-ო! დაეწყვე!

სმაურობს ანკარა მდინარე.

ყმაწვილები უფრო დაინახავენ თავმჯდომარეს, ვიდრე მის ხმას გაიგებენ. დაინახავენ სტუმარსაც და წყლიდან ამოცვივდებიან. სელს იფარებენ სასირცხვო ადგილზე, სწრაფად იწყებენ ჩაცმას. ჩაცმულები მწყობრში დგებიან.

იცვამს ის ყმაწვილიც, გიო... იცვამს და თან მეთაურებს შესცქერის შეშინებული. თითქოს გრძნობს რაღაცას.

სტუმარი თითით მოუსმობს. გიო სირბილით უახლოვდება, უსერსულად მირბის. – ჩაქმის ჩაცმა ვერ მოასწრო.

– თოფი! – ეუბნება კაცი გიოს.

– თოფიო! – უთარგმნის ტულუში.

გიო ისევ გარბის, თავის „ვინტოვკას" მოათრევს.

– სროლა იცი? – ეკითხება კაცი.

– იცის, იცის! – ამშვიდებს ტულუში.

– პატრონები აქვს?

– გაქვს, ბიჭო, ტყვიები? – ეკითხება ტულუში.

გიო დასეულ შარვლის ჯიბეებში იქექება. პოულობს... გასსნის მუჭს. მის სელის გულზე რამდენიმე ტყვიაა.

– კარგია, ეყოფა! – ამბობს სტუმარი და შებრუნდება.

მიდიან: წინ ის კაცი, მერე ტულუში და ბოლოს გიო უსერსულად

მიათრევს თოფს...

... წვერმოშვებული, დაღლილი კაცი შეიარაღებულ კაცებს შესცქერის. სელები ბაწრითა აქვს შეკრული. კაცი გიოს იცნობს და შეკრთება.

– საით სჯობს? – ეკითხება სტუმარი ტულუშს.

ტულუში უმისამართოდ გაიქნევს სელს.

სიშტიანი წითელარმიელი წინ გაიგდებს ხელშეკრულ კაცს იმ მიმართულებით, საითაც რევკომის თავმჯდომარემ ანიშნა თითქოს.

აღმართს მიუყვებიან. მისვეული გზა სოფლის სასაფლაოსკენ მიდის.

შემოქმედის ეკლესია გამოჩნდება და გიო უნებლიედ პირჯვარს გადაიწერს.

სტუმარი შენიშნავს ამას და მოიღუშება. გიო შიშით უყურებს. გვიმნარში გაჩერდებიან. სტუმარი გარემოს შეაფასებს.

ბორცვიდან ფართო ჭალა ჩანს, იქით – დათოელილი მთები. გაფსულის მიწურულია. სიმშვიდეა ირგელივ. მშვენიერია ყველაფერი, რასაც თვალი სწვდება.

წითელარმიელი, ბრძანების მოლოდინში, უფროსს უყურებს.

საგანგებო კომისიის წევრი ტანმსსვილი ცაცსვისკენ გაიშვერს სელს.

წითელარმიელი სელშეკრულ კაცს ცაცსვთან დააყენებს და აქეთ გამოვა.

– რევოლუციის სასელით! – მშვიდად იმეორებს უფროსი მრავალჯერ ნათქვამ სიტყვებს. გიო გაახსენდება.

გიომ არ იცის, რა უნდა ქნას. გიო ხან ნათლიას უყურებს, ხან სტუმარს.

წითელარმიელი საქმის დამთავრებას ჩქარობს, თოფს გადმოიღებს, მაგრამ უფროსი არ ანებებს. გიოს ააწევინებს თოფის ლულას, თან დაყვავებით ეუბნება.

– დღესაა შენი ნათლობა, არავითარი დანდობა მტერს! შენ გლესი სარ, სარეველა ფესვიანად უნდა ამოიგლიჯოს!

გიო ტულუშს შესცქერის.

— ესროლეო! — უთარგმნის ტუღუში.

შემოქმედის სასაფლაოზე, ტანგანიერ ცაცხვთან მდგარი თვალებგაგანიერებული კაცი გაოცებით უყურებს გიოს.

ნათლიის სასე.

გიოს მუჭა იშლება, განიერი სელის გულზე ტყვიები აწყვია.

— ესროლეო! — ისტერიულად ყვირის ტუღუში.

უცებ მოსაკლავად გამზადებული კაცი იკუპებს და გარბის.

წითელარმიელი ესერის, მისდევს გაქცეულს.

სელშეკრულ კაცს სირბილი უჭირს.

მირბის საგანგებო კომისიის წევრი. გზად მაუზერის ქარქაშს სსნის. მას აქოშინებული ტუღუში მისდევს. სტუმრის მიბაძვით, ისიც იღებს ნაგანს. მირბის თოფმომარჯვებული გიო.

გაისმის სროლის სმა. მეორე, მესამე.

გიო მირბის და უცებ ჩერდება: ის სამნი რაღაცას დასდგომიან თავზე. ზემოდან დასცქერიან.

გიო მიირბენს და სედავს ნათლიას. გვერდულად წევს. თვალები ღია აქვს. თითქოს შემოქმედის ჭალას გასცქერის, მაგრამ, ალბათ, არცაა ცოცხალი.

სამივენი გიოს შემოუტრიალდნენ. გიო ვერ სვდება რაღას ელიან, რა უნდათ მისგან...

— ესროლოს, — ამბობს საგანგებო კომისიის წევრი და ისევ სველება აუტყდება.

ტუღუში თვალებს შეანათებს გიოს და ნაგანს მიუშვერს.

წითელარმიელი ჩექმის წვერით გადმოაბრუნებს მოცლულს, გულაღმა აწვენს.

გიო სიმწრით დაიმანჭება, თვალებს დასუჭავს და ჩასმასს გამოსწევს.

ისმის გასროლის სმა. ექო იმეორებს თოფის სმას.

დიდი, მაღალჭერიანი ოთახი, ოდესღაც მუქშვინდისფრად შეღებილი და ბრინჯაოთი მოხატული, მაგრამ კარგა ხნის გაურემონ-

ტებული. ავეჯი მოსატულობის შესაფერია: მუსის მოჩუქურთმებული კარადა, ფართე ტყავგადაკრული სავარძლები, დივანი; შავი „ბეკერი", ზედ შემოდგმული ბეთჰოვენის ბიუსტით, მეტრანომით და მუსიკალურ პეგასზე აბრძანებული კომპოზიტორების ტრადიციული ფოტოგრაფიით.

კედელზე ქალის პორტრეტი კიდია. ქალს ქარვის მძივები უკეთია, მსატვარს გულდასმით გამოუსატავს ყოველი მძივი.

გიომ გაურკვეველი ფერის სის ჩემოდანი კარის ბღურბლთან დადგა. წელში გასწორდა და დაინახა, რაც ჩვენ ადრე ვნახეთ: მძიმე ავეჯი, შავი როიალი, ქალის პორტრეტი შინდისფერ კედელზე...

გიო სერიოზულად, დაკვირვებით ათვალიერებს ყველაფერს, უცნობ სამყაროს ითვისებს. ოთახის ერთი ფანჯარა შუშაბანდში გადის. შუშაბანდი ნათელია. დგას დიდი ქოთანი დიდი პალმით.

გაურკვეველი ეროვნებისა და ასაკის მოსამსახურე ქალმა გადაკვეთა შუშაბანდი და სასტუმრო ოთახში შემოისედა.

– წამობრძანდით, ამსანაგო! – ეუბნება გიოს უცნაური აქცენტით.

გიო ჩემოდანს აიღებს და მიჰყვება მოსამსახურე ქალს.

ქალი მოსედავს, შეჩერდება.

– ქუდი მოისადეთ! სახლში ქუდი არ შეიძლება, ეს უკულტურობაა! – მკაცრად და მოთმინებით ამბობს ქალი.

გიო სწრაფად მოისდის კეპს. ქალს მიჰყვება. გაივლიან შუშაბანდს და კაბინეტში შედიან. კაბინეტი წიგნის სტელაჟებითაა გადატვირთული. აქაც ყველაფერი ძველებურია, საფუძვლიანად, გემოვნებით ნაკეთები: მაღალზურგიანი დივანი, წითელი სის საწერი მაგიდა, მაგიდაზე ძველებური საწერი მოწყობილობა: სამელნეები, მარმარილოს საშრობი, ფანქრების ჩასაწყობი, ბრინჯაოს მაღალი შანდლები, ბრინჯაოსაევე დავითის ფიგურა... კიდევ რაღაც ნივთები, გიოსთვის უცნობი და გაუგებარი...

მაგიდასთან, მძიმე სავარძელში, ჭაღარა, ჯიშიანი, ზორბა კაცი ზის. ქარვის კრიალოსანს ათამაშებს. მის წინ ქალის ფოტოა. იგივე ქალისა, რომლის პორტრეტი სასტუმროში ნახა გიომ.

კაცი უხმოდ უყურებს გიოს. მერე ოდნავ უღიმის.

– გამარჯობა შენი!

– გამარჯობათ, ელიზბარ ბიძია.

– მოდი, გაცოცებ.

გიო მაგიდას შემოუელის, კაცთან დაიხრება. კაცი კრიალოსანს მაგიდაზე დადებს, შუბლზე აკოცებს გიოს, ლოყაზე ხელს მოუთათუნებს.

– გაზრდილხარ... თქვენები როგორ არიან?

– გმადლობთ, კარგად, ელიზბარ ბიძია.

– საწყალი მამაშენი... აი, მამიდაც, – ელიზბარმა პორტრეტს გახედა, – ამბობდა, გიო ჩემსავით მომღერალი უნდა გამოვიდესო; – მაგრამ ვიღას ემღერება. შენც სასიმღეროდ აღარა გცალია... მითხრეს, პეტერბურგიდან, თქვენებურად, ლენინგრადიდან, გამოგიძახეს? ის ორწლიანი კურსები მაინც დაგემთავრებინა.

– პარტიამ ასე ჩათვალა საჭიროდ.

– ცოტაც დაეცადათ... განათლებული ხალხი უფრო არ გამოადგება თქვენს პარტიას?

გიომ თვალები შეანათა.

– გატყობ, მამაშენივით თავმოყვარე ხარ... ჩემთან იცხოვრებ?

გიომ თავი დახარა.

– მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. პირიქით, ამ გერმანელი ქალის ანაბარამ მოვიწყინე, წამოდი, შენს ოთახს გაჩვენებ... მაინც გამოცეტილი მაქვს.

სასტუმრო ოთახი გადაკვეთეს. ელიზბარმა შემინულ კარს ხელი ჭრა. მოსამსახურე უკმაყოფილოდ ადევნებს თვალს.

– ახლა არაფერი გიშავს, შენ გამთარი თქვი!... გამთარში რა გეშველება, საყინულია აქ...

ოთახი პატარაა. კედლები – საღებავაცლილი და ცარიელი. კედელთან ეულად დგას რკინის შიშველი საწოლი. ფანჯარაში ახლად აყვავებული ალუბლის ტოტი მოჩანს...

– სოფელში რა ამბავია? – ეკითხება ელიზბარი, – სომ ცოცხალია ყველა?

– არ ვიცი, – პასუხობს გიო. – ვერ ჩავაკითხე. აქ გამოვცხადდი

პირდაპირ.

– იქაურობას არ მოწყდე, გიორგი. ადამიანიც ფესვებით სარობს, შენ რა გგონია...

ელიზბარი გადის ოთახიდან, გიოც მიყვება.

... გიომ ოთახში თავისი ჩემოდანი შემოიტანა, საწოლქვეშ დადგა.

... გაასსენდა სოფლის ჭალა.

შემოქმედის სასაფლაო. ვიღაც მირბის. სელშეკრული კაცია. გასროლის სმა ისმის...

... მოსამსახურე ქალმა ქვეშაგები შემოიტანა და იქვე, იატაკზე დააგდო. შეშინებულმა შეპყვირა.

იატაკზე გიო ფართხალებს. მისი გასვევებული სხეული ესეთქება იატაკს, პირიდან დუქი გადმოდის.

ქალი მიიჭრება გიოსთან, თავქვეშ ბალიშს დაუდებს, ცდილობს შეაკავოს მსტომიარე სხეული.

– ო, მაინ გოთ, მაინ გოთ... – ბუტბუტებს.

... გიომ თვალი გაასილა. ნელ-ნელა გონს მოდის, ერკვევა. ისევ იმ ცარიელ ოთახშია, სუფთა ლოგინში ჩაწოლილი. სუსტად გრძნობს თავს.

ასსენდება ეპილეფსიის შეტევა და წამოდგება. ტრუსების ამარაა, ეტყობა, მოსამსახურემ გახადა ტანსაცმელი.

კიდევ გაასსენდება რაღაც და საწოლის ქვეშ შეისედავს. იქ მისი ჩემოდანი დევს.

გიო გასაღებს მოძებნის, სწრაფად აღებს ჩემოდანს. რაღაცას ეძებს. საბუთებს პოულობს და მშვიდდება. ისევ კეტავს ჩემოდანს.

გიომ ჩემოდანი საწოლის ქვეშ შეაცურა და ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია.

აქედან ჩანს ეგო, მეგობელი სასლის აივანი. აივნის ღია კარში გრძელნაწნავიანი გოგონა დგას. 8 წლის იქნება. ეტყობა რაღაცას ღიღინებს. მერე ვიღაცას, ოთახში მყოფს, შემოუტრიალდება ღიმილით.

გიოს ასეთი ლამაზი გოგონა არასოდეს უნასავს. უცებ განათდა იქაურობა. ანგელოზები სწორედ ასეთები არიან, ალბათ. გაშტე-

რებით უყურებს გიო გოგონას. იმანაც თითქოს აქეთ გამოიხედა, მაგრამ არა, ვერ დაინახავდა. გიო რატომღაც ფარდას ამოეფარა, დაიმალა...

გიო მოცირწყლულ აღმართს აუყვა, ვარდისფერი შენობის საღარბაგოში შევიდა.

სიშტიან წითელარმიელს საშვი გაუწოდა. წითელარმიელი აუჩქარებლად ეცნობა საშვს. გიოს დაკვირვებით შესცქერის თვალებში, გაატარებს.

გიო მოგაიკურ იატაკზე მიაბიჯებს. დერეფანი განიერია, გრილი და გრძელი. გიოს ნაბიჯების ხმა მკვეთრად ისმის. გიომ მარჯვნივ გაუსვია და აქაც გასაშვები პუნქტი დასდგა: მაგიდა, სიშტიანი წითელარმიელი. აქაც დაკვირვებით შეუმოწმეს საშვი.

გიო გზას განაგრძობს.

ერთ-ერთ კართან გამოკრულ გვარს კითხულობს. შედის. მაგიდასთან ოფიცერი ზის. ისიც ეცნობა გიოს საშვს. მაგიდის უჯრიდან საქაღალდეს იღებს, საბუთებს ათვალიერებს, ისევ აკურატულად აწყობს საქაღალდეში. წამოდგება, გაატარებს გიოს და გაპყვება.

ოფიცერი გიოს მიუძღვის. გაიარეს დერეფანი, მიადგნენ კიბის ბაქანს. შემდეგ სართულზე ავიდნენ. შემავალ კართან შეჩერდნენ. კარი გაიღო. შევიდნენ. კართან ტელეფონიანი მაგიდაა. მაგიდას სამსედრო უზის. გამყოლი საქაღალდეს აწვდის და ხმადაბლა რაღაცას ეუბნება. სამსედრო თავს დაუქნევს გიოს და გაუძღვება.

იატაკი აქ პარკეტისაა, კარი – დერმატინით გაწყობილი. პრიალა პარკეტზე რბილი საფენები აგია.

გიო და მეორე გამყოლი ერთ-ერთ ოთახში შედიან. ეს მისაღებია. მდივანი, ფრენჩიანი ახალგაზრდა კაცი, საქაღალდეს გამოართმევს გამყოლს და ხის მძიმე ორმაგ კარს შეაღებს. შევა და კარს საგულდაგულოდ მიისურავს.

გამყოლი მისაღებს ტოვებს. გიო მარტო რჩება მისაღებში. შუბლის ქვემოდან ათვალიერებს იქაურობას. გამოდის მდივანი.

კარს ღიას ტოვებს.

– მობრძანდით, ამსანაგო! – ეს პირველი სიტყვებია, რაც ამ დაწესებულებაში გაისმა.

გიო მღურბლს გადააბიჯებს.

ძალზე დიდი ოთახის ბოლოს, მაგიდასთან თეთრკიტელიანი კაცი ზის. დიდხანს მიდის ამ მაგიდისკენ, ჩერდება. კაცი საბუთებს ათვალიერებს, ხელით ანიშნებს გიოს, დაჯექიო.

გიო ჯდება, ელოდება, როდის დაამთავრებს კითხვას კაცი.

დაამთავრა, გასწია საქაღალდე, გასედა გიოს, უყურა, უყურა და ძალიან დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– იმედი მაქვს, გაამართლებ ნდობას. ხომ არ გეშინია?

– არა, – პასუხობს ჩურჩულითვე გიო.

– დაგესმარებით! – ხმას აუწევს კაცი, – ბინას მოგცემთ, – დაფიქრდება და უცებ გაეცინება, – სამი ოთახი გეყოფა?

გიო დაბნეულია, უსმოდ უქნევს თავს...

... იმავე საღამოს მთავრობის „მ-1"-ით სოლოლაკში მიაცილეს ერთ ქალაქურ სადარბაზომდე. გიოს ერთი ფრენჩიანი კაცი ასლდა. აიარეს ქვის განიერი კიბე და მეორე სართულის ბინას მიადგნენ. ფრენჩიანმა გასაღებების აცმა ამოიღო და კარის გაღება სცადა. არ გამოუვიდა. ვერ მოარგო. ფრენჩიანმა თითი დააჭირა ზარის ღილაკს. გაბმულად დაირეკა.

ბავშვმა გააღო. შეშინებული უყურებს მოსულებს. გიო და ფრენ-ჩიანი ბნელ მისაღებში შედიან. იქით, მისაღების ბოლოს, ღია კარში ასალგაზრდა ქალი დგას თოთო ბავშვით ხელში. ბავშვი ჭყიპინებს. გიოს თანამგზავრმა ჯიბის ფარნით გაანათა კარზე დამაგრებული პლომბები. მოსსნა პლომბი და გააღო კარი. შევიდნენ. სინათლე აანთეს. ოთახი დიდი იყო, მაგრამ ნივთები უწესრიგოდ ეყარა: ავეჯი, საოჯახო ნივთები, კაცის ტანისამოსი ერთმანეთში აერიათ, როგორც გადაბარგებისას ხდება ხოლმე. შემდეგ ოთახში შეისედეს. მერე – მესამეში...

კაცმა უბის წიგნაკში ჩაისედა.

– სამი ოთახი, 78 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი,

– ამოიკითხა, – აქედან, – ესაა...

გიო ფესაკრეფით მიეპარა გასასვლელ კარს და გამოაღო. ის ქალი და ბავშვები ისევ იქ იდგნენ, დერეფნის ბოლოს, პატარა ოთახის ღია კართან.

... გიო ბიძამისის კაბინეტშია. გიოს შემოსვლამდე ელიზბარი მუშაობდა, კალამი ახლაც სელში აქვს. ელოდება რას ეტყვის გიო. გიომ ჩემოდანი დადგა.

– ძია ელიზბარ, ისევ თქვენთან ვიცხოვრებ, იმ ოთახში... თუ არ შეწუხდებით.

– კი ბატონო. აკი უკვე გითხარი...

– მაშ, წავალ...

– წაბრძანდი...

– რაღაც ნივთებს მოიტანენ უჩემოდ და იმ ქალს უთხარით, შემოუშვას.

– ვეტყვი, – ელიზბარი თავის ნაწერებს მიუბრუნდება.

... გიო ისევ იმ ცარიელ ოთახშია, ფანჯარასთან... ფრთხილად გადასწევს ფარდას. მოპირდაპირე სახლის აივანზე არავინაა. როიალის სმა და გოგონას სიმღერა ისმის მსოლოდ...

... ელიზბარის მოსამსახურე თვალყურს ადევნებს წითელარმიელების მოქმედებას. სამნი არიან. ეააღეს განიერი კარის ორივე მსარე. წიგნების კარადა ასწიეს და შემოიტანეს. მოსამსახურე ფესდაფეს მოპყვება. ალაგ-ალაგ ჩვარს უსვამს მათ ნაფესურებს. გიოს ოთახამდე მიაცილებს. წითელარმიელებმა შუა ოთახში დადგეს კარადა...

... მოაქვთ მაგიდა და დივანი.

ქალს რაღაც სმაური შემოესმა, ეს სმაური ბატონი ელიზბარის კაბინეტიდან მოდის.

წითელარმიელებმა კარადასთან, ისევ შუა ოთახში დადგეს დივანი, ორი საკარძელი. შეშინებულმა მოსამსახურემ შემოირბინა.

– მიშველეთ, – სთხოვს წითელარმიელებს, – ჩქარა. მიშველეთ!

წითელარმიელები მიპყვებიან. კაბინეტში, იატაკზე, საწერ მაგიდასთან, ბატონი ელიზბარი წევს.

წითელარმიელები გაჭირვებით ასწევენ და იქვე, დივანზე დაასვენებენ.

მოსამსასურე მოთქვამს.

პრიალა პარკეტზე ქარვის კრიალოსანი აგდია...

... კაცის სელი კრიალოსანს ათამაშებს. ათამაშებს მალულად, უჯრაში, ისე რომ მის კაბინეტში სათათბიროდ მოწვეული ამსანაგები ამას ვერ ხედავენ.

ეს გიოა, მას შემდეგ რაც უკანასკნელად ვნასეთ, ათი წელი გავიდა. დიდად არ შეცვლილა გიო, მსოლოდ უფრო თვითდაჯერებული გასდა, გამოსედვაც სსვანაირი აქვს – პასუხისმგებელ მუშაკს რომ შეეფერება, ისეთი... მარცვლავს კრიალოსანს მაგიდის უჯრაში გიო და ცივად გაჰყურებს სივრცეს, მოწვეული ადამიანების თავებს ზემოთ.

ისინი კი, სათათბიროდ მოწვეულნი, მას შესცქერიან, გიოს. ყოველთვის როდი აქვთ საშუალება ასე ასლოდან ნასონ.

ერთი ამსანაგი, მისადგმელი მაგიდის თავში მჯდარი, მოსსენებას ამთავრებს.

– დასკვნითი კონცერტი ოპერისა და ბალეტის თეატრში, სამსაათიანი პროგრამით, ორდენოსანი მომღერლები, ცეკვისა და სიმღერის სასელმწიფო ანსამბლი, კამერული კვარტეტი, ორი სახალხო პოეტი, პიონერების მისალმება.

სელი კრიალოსანს თავს ანებებს, უჯრა ისურება.

– ბავშვები, მეტი ბავშვები – ამბობს გიო.

ეს აზრი ყველას მოსწონს და მაგიდასთან მსსდომნი თანსმობის ნიშნად თავს უკრავენ.

მომსსენებელი ბლოკნოტში ჩაინიშნავს რაღაცას.

– მეტი კონცერტები წინასაიუბილეო დღეებში... განსაკუთრებით სასალხო კლუბებში... ოქტომბერი ოცდაათი წლისაა, ესაა მთავარი, – განაგრძობს ფიქრიანად გიო და მომსსენებელი ამ აზრსაც საქმიანად ინიშნავს – თავის ბლოკნოტში.

– კინოფილმი მზადაა? – მიუბრუნდება გიო ერთ-ერთს. სსვებიც

მას უყურებენ.

– მონტაჟისა და ტონირების პერიოდშია, – უპატაჟებს ის ამხანაგი.

– როდის დაამთავრებთ?

– ერთ კვირაში, ამსანაგო გიორგი.

– სამ დღეში მომიტანეთ, – გიო მაგიდის კალენდარს ფურცლავს, – 28-ში, 21 საათზე.

– დიახ! – არის პასუხი...

– თავისუფალი ბრძანდებით, – აცსადებს გიო და მოთათბირენი წამოიშლებიან.

საგეიმო მუსიკის თანხლებით ვსედავთ ოცდაათიანი წლების დასასრულის მიღწევებს რესპუბლიკაში. ეს კინოეკრანია.

პატარა კინოდარბაზში სინათლე აინთო, აქ ოთხნი არიან: წინა რიგში გიო ზის, მარტო. მის უკან – სამნი. ერთი მათგანი თათბირზე ვნახეთ, ორნი ფილმის ავტორები არიან. გასუსულები ელიან გიოს რეაქციას. გიო არ ჩქარობს. სათქმელს მოფიქრება უნდა და თან არ არის ურიგო, როცა შენს სიტყვაზე დამოკიდებული ადამიანები გელოდებიან.

სამნი ღელავენ. გიო არ ჩქარობს.

მერე ნელა, ძალზე ნელა შემოატრიალებს თავს და ბაგის გაუხსნელად გაიღიმებს.

– პოზიცია სწორია. ვაჩვენოთ ყველა კინოთეატრში მსატვრული პროგრამის წინ... თავისუფალი ბრძანდებით, – და წამოდგება.

ის სამნიც წამოდგებიან, აღელვებულნი, კმაყოფილნი, მაგრამ აქ, ამ პატარა კინოდარბაზში, ვერ მალავენ თავიანთ ემოციებს.

– ასლი დამიტოვეთ, კიდევ მინდა ვნახო... კარის ზღურბლზე ჩერდება წამით გიო.

– დიახ, ამხანაგო გიორგი! – პასუხობს კინემატოგრაფისტების უფროსი.

... გიო დარბაზში შედის. კარს გადაკეტავს. ახლა მარტოა აქ. პულტთან დაჯდება, დააჭერს ღილაკს და ქრება სინათლე. ისევ

ის ფილმია, რესპუბლიკის მიღწევების ამსახველი. გიორგი გამოცოცხლდება: ეკრანზეა ჩვენი ნაცნობი ქალიშვილი, გიოს მეგობელი. ახლა ჩვიდმეტი წლისაა. თეთრი კაბა აცვია, სქელი ნაწნავი წინ აქვს გადმოგდებული. მღერის და ჩანს, რომ სიამოვნებს სიმღერა, მოსწონს საკუთარი თავი და ეს ცხოვრება საერთოდ... გიო ნიშანს მისცემს მექანიკოსს და ფილმის დემონსტრაცია წყდება. დარბაზში ინთება სინათლე. გიო ტელეფონის ყურმილს ჩამოხსნის.

– რომელი სარ? – კითხულობს ციკად, – რაფიკ, შემოდი ჩემთან.

ელოდება, ფიქრობს.

შემოდის ლურჯსალათიანი, ტარანასავით ხმელი, შავი რაფიკა. რაფიკა დაბნეულია, ვერ მიმხვდარა, რა დააშავა.

გიო თავს დაუქნევს მისალმების ნიშნად.

– ეს ნომერი, მომღერალი, ამოჭერი.

– რომელი, კონსერვატორია?

– ჰო, ეგა, – გიო გასასვლელისკენ მიდის, რაფიკა გგას უთმობს, – ამოჭერი და ჩემს თანაშემწეს მიეცი.

ელიზბარის კაბინეტში, საწერ მაგიდაზე, საპროექციო აპარატი დგას. გიო და მექანიკოსი ერმოლაევი აპარატთან დასრილან. ერმოლაევი ფირის ჩალაგებას ასწავლის გიოს. გიომ ფირი ამოიღო და თვითონ დატენა აპარატი, დააგრძელა „ყულფი". უხმოდ აკეთებენ ყველაფერს. ერმოლაევმა შეამოწმა, თავი დაუქნია, ყველაფერი სწორიაო. გიომ აპარატი ჩართო. აპარატი აკაკანდა...

მოსამსახურე კლარა მოპირდაპირე კედლის თაროებზე თეთრ გეწარს ამაგრებს.

გიო სელს ართმევს ერმოლაევს. ერმოლაევი გადის.

გიო მოლოდინით შესცქერის კლარას. კლარაც ტოვებს კაბინეტს. გიო კარს გადაკეტავს და აპარატს დაუბრუნდება. ფირს ჩადებს, მერე ფანჯარაზე მძიმე ფარდას ჩამოუშვებს.

აპარატს ჩართავს.

ეკრანზე მომღერალი გოგონა გამოჩნდება. გოგონა მღერის, მაგრამ ხმა არ ისმის. გიო ჩართავს ფონოგრამას. ერთსანს უყურებს, მერე ისევ გამორთავს სმას. ფირი მთავრდება. აპარატი

განაგრძობს კაკანს. გიო სელმეორედ დატენის აპარატს და ისევ ჩართავს.

თეთრკაბიანი, სიცოცხლით სავსე მომღერალი უსმოდ მღერის...

გიოს უკვე აქა ჰყავს, თავის ოთახში, როცა უნდა ნახავს...

... გიოს კაბინეტიდან თათბირის მონაწილეები გადიან. კარი ისურება. გიო მაგიდის უჯრიდან კრიალოსანს ამოიღებს, მარცვლავს დაფიქრებული. მერე ფესაკრეფით ეპარება კარს და ჭუჭრუტანაში იყურება. ჭუჭრუტანიდან ის ქალიშვილი ჩანს, მისაღებშია, გიოს მისაღებში. გიოს ელოდება.

ქალიშვილს ძალზე დამწუხრებული სახე აქვს.

გიო ისევ ფეხაკრეფით უბრუნდება მაგიდას, თავის სავარძელში ჯდება და ტელეფონის ყურმილს ჩამოხსნის.

– შემოდი ჩემთან! – მოჭრის და ჩამოდებს ყურმილს.

კრიალოსნის შენახვას მოასწრებს და ოთახში თანაშემწე შემოვა. კარს საგულდაგულოდ მიისურავს და იქვე კართან დადგება.

გიო სიას ჩახედავს, – სტუდენტი მელოდება იქ, ნინო ჯინორია. გამოარკვიეთ, რა საქმეზეა მოსული.

თანაშემწე მღურბლთან დგას. მისი არსება მორჩილებას და მოლოდინს გამოსატავს.

– მეტი არაფერი!

თანაშემწე გადის.

გიო საქმეებს უბრუნდება. ისმის ტელეფონის ზარის სმა. ყურმილს ჩამოხსნის.

– შემოსვლა არ არის საჭირო, – ამბობს ყურმილში, – ახლა მითხარით. სასურსათო წიგნაკები დაკარგა... მერე?.. ჩვენ რით დავეხმაროთ?.. მისმინეთ: მარტო თბილისში დღეში ასობით წიგნაკი იკარგება... უნდა გცოდნოდათ... არავითარი გამონაკლისი არ იქნება. უარი ეთქვას! სხვა დროს გაუფრთხილდება თავის წიგნაკებს.

გიო ყურმილს ჩამოდებს. ფიქრობს. მერე ნომერს აკრეფს.

– მომიმზადეთ ჯინორიას საბუთები. კონსტანტინე ჯინორია, მცხოვრები გოგებაშვილის ქუჩაზე, მეუღლე – ვერა, შვილი – ნინო კონსტანტინეს ასული. სამივეზე... დღესვე!

... კონსტანტინე ჯინორიამ გაჭირვებით მოარგო კარს გასაღები, მკლავზე მძიმე ბადურა აქვს გადაკიდებული, და ბინაში შევიდა. სამზარეულოში შეისედა. იქ სამნი დასვდნენ: ცოლი, ნინო და მისი ამსანაგი ციალა. ნინო თვალცრემლიანი, კუთხეში მიმჯდარიყო და ქსუტუნებდა, ციალა თავს დასდგომოდა და ანუგეშებდა. კონსტანტინეს ცოლის სიტყვები მოესმა:

– თიანეთში წავალ ბოლოს და ბოლოს, – ამბობდა ქალბატონი ვერიკო, ოჯახის დიასახლისი.

კონსტანტინემ დემონსტრაციულად დადო ბადურა მაგიდაზე.

– ას, კოტე, როგორ შემაშინე, – აგრძელებს იმავე ტონში ვერიკო.

კონსტანტინე სიამოვნებით ისრესს ხელებს. ნავთქურაზე დადებულ აგურს ეფიცსება.

– აბა, რა მოგიტანეთ, – ამბობს, ერთი ნახეთ, ნახეთ!

ციალა და ნინო ბადურას სსნიან, გაგეთს შემოაცლიან და გახარებულნი და გაკვირვებულნი წამოიკივლებენ, ტაშს შემოკრავენ. ქალბატონი ვერიკოც არ უჯერებს საკუთარ თვალებს: მაგიდაზე აწყვია კონსერვები და მერე რამდენი! ოთხი ქილა შედედებული რძე, ათიოდე „შპროტი“.

– ღმერთო, ღმერთო! – აღტაცებით ამბობს ვერიკო.

– დამასაჩუქრეს... დამკვრელური შრომისთვის, დიას!

ქალბატონი ვერიკო აღტაცებული შესცქერის ქმარს...

... გიომ თეთრი საყელო მიკერა სამსედრო ტიპის ფრენჩს. ძაფი მოკვნიტა, ჩაიცვა ფრენჩი და სარკის წინ შეიკრა ღილები. რაღაც არ მოეწონა, გაისადა ფრენჩი და „კოროვოროტკა“ მოიზომა. ისევ ფრენჩი ამჯობინა. საწოლზე ჩამომჯდარი, ჩექმებს იცვამდა, როცა კარზე დაკაკუნეს და კლარამ შემოჰყო თავი.

გიომ ჩექმაში მეორე ფეხი ჩაყო.

კლარა ოთახში შემოვიდა. ძალზე შეშფოთებული ჩანს. არ იცის, საიდან დაიწყოს სათქმელი.

– გიორგი ზასაროვიჩ, არ ვიცი, როგორ მომივიდა. ლარნაკში

მედო, როგორც ყოველთვის კომოდზე... ვერსად ვერ ვნახე, ყველაფერი გადავაბრუნე.

– რა? – ეკითხება გიო და ფესებს ააბაკუნებს, რომ საბოლოოდ მოირგოს ჩექმა.

– წიგნაკები. ორივე... ჩემი „პ-ს“ და „ლიტერია“ თქვენ რომ მოიტანეთ.

– დაიკარგა? – კითხულობს გიო და შუბლს ჭმუხნის, – ნდაა...

– ლარნაკში ჩავდე, კარგად მახსოვს... გაქრა... დილიდან ვეძებ, არ გეუბნებოდით...

– მანდარინის ჯემი... – ამბობს გიო.

– რა თქვით?

– მანდარინის ჯემი, – იმეორებს გიო.

– მანდარინის ჯემი?

– დიახ, ვჭამოთ მანდარინის ჯემი. სასარგებლოა.

– სასარგებლოა, გიორგი ბახაროვიჩ! – უხარია კლარას, – ვჭამოთ მანდარინის ჯემი. მაპატიეთ!

კლარა გასასვლელისკენ მიდის. გიო მზერას გააყოლებს და მარტო დარჩენილი, ბაგეგაუხსნელად იღიმება...

.

კონსერვატორიის მცირე დარბაზში ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსი მიმდინარეობს. დარბაზში მხოლოდ ქიურის წევრები და კულტურის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები არიან. სცენაზე კი ასალგაზრდა ვირტუოზი ერთდროულად სამ სალამურზე უკრავს.

შემოდის გიო თანაშემწის თანხლებით.

დარბაზში მსხდომთაგან ერთი მწყრალად მოიხედავს ხმაურზე, გიოს დაინახავს და რაღაცას გადაუჩურჩულებს მეზობელს. ისიც მოიხედავს და სხვას ამცნობს გიოს მობრძანების ამბავს. დარბაზში მყოფნი გიოსკენ შემობრუნდებიან. სალამურზე დამკვრელი დაიბნევა, ჯერ უსეიროდ უბერავს საკრავებში, მერე ჩუმდება. გიო ხელით ანიშნებს ქიურის, რომ მუშაობა განაგრძონ და დარბაზის მარჯვენა განაპირა მსარეს ნეიტრალურ ადგილს იკავებს. სამმართველოს უფროსი, ფეხის წვერებზე შემდგარი და თაედახრილი, გიოსკენ

მოდის. მოწიწებით ჩამოართმევს სელს და უკან დაუჯდება.

მესალამურე თავიდან იწყებს დაკვრას.

კონკურსი გრძელდება...

გიოს მოსვლის შემდეგ ყველა და ყველაფერი მისკენაა მიმართული: გამომსვლელების ცეკვა თუ სიმღერა, შემფასებლების ყურადღება... გიო წარბშეუსრელი, გაჭიმული ზის და თვალს არ აცილებს სცენას. სამმართველოს უფროსი ზოგჯერ მის ყურთან ისრება და განმარტებებს აძლევს. გიო მხოლოდ წინ იყურება, არაფრით გამოსატავს თავის დამოკიდებულებას შემსრულებლებისადმი.

ცეკვა დაამთავრა მოსევურ ტანისამოსში გამოწყობილმა ვაჟმა. ათიოდე სანჯალი ჩაარჭო იატაკში და ხანჯლების წრეში ჩაიმუსლა.

კომისიის წევრებმა რაღაც ჩაინიშნეს, სამმართველოს უფროსმა რაღაც უთსრა გიოს და სცენაზე ორი ქალიშვილი გამოვიდა: ნინო ჯონორია და ციალა.

„ვარდს გაეფურჩქნა კო-ოკორი,

გადასვეოდა ია-ასა...“ – დაიწყო ნინომ.

„ზამბასსაც გაღვიძებო-ოდა

და თავს უსრიდა ნიავ-ავსა...“ – აჰყვა ციალა.

„ტოროლა მაღლა ღრუბლე-ებში“ – განაგრძო ნინომ.

გიო გაუნძრევლად ზის. ნინოს უყურებს. ნინო მთელი გრძნობით, დიდი სიამოვნებით მღერის.

... ნინო და ციალა, კმაყოფილები, ხელისელჩაკიდებულნი მხიარულად მიკუნტრუშობენ გრიბოედოვის ქუჩაზე, ბემელისკენ, როცა შავი „მ-1“ წამოეწიათ და გაჩერდა. მძღოლმა კარი გამოაღო და ხელი დაუქნია ქალიშვილებს.

– ოჰ! – ცსვირი ამიბზუვა ნინომ, – ერთი ამას უყურე!

ციალამ გადაიცინა. გზა განაგრძეს. მანქანა უკან გაჰყავთ.

– დაბრძანდით, ქალიშვილებო! – ისევ გააღო კარი მძღოლმა, – მიგიყვანთ.

გოგონებმა ერთმანეთს გადასედეს. ნინომ გაბედა და პირველი შესტა მანქანაში. ციალაც გვერდით მიუსკუპდა.

– საით? – ეკითხება მძღოლი.

– თქვენი სახელი? – ეკითხება ნინო.

– არტიომი, არტუშა...

– ერთი სანაყინესთან გაგვიჩერე, არტუშ და მერე ვერაგე! – ნინო ნებივრად მოკალათდა სავარძელში.

– არის, უფროსო! – სერიოზულად პასუხობს მძღოლი...

... დადგა გაგაფხული. თბილისის ბაღები აყვავდა თეთრად, ვარდისფრად, იასამნისფრად.

მზიან დილით ნინო თავისი ეზოდან გამოვიდა და დაინახა შავი მანქანა, რომელიც მეზობელ სადარბაზოსთან იყო გაჩერებული. საჭესთან ნაცნობი მძღოლი იჯდა.

ნინო იქით წავიდა, გაღიმებული.

– ეი! – დაუძახა შორიდან – არტუშ, მე მელოდებით?

არტუშამ თავი გამოჰყო, ხელი აუწია მისალმების ნიშნად, გაიბადრა კიდეც, მაგრამ ღიმილი სახეზე შეეყინა, სახე დაეძაბა.

ნინომ იქით გაიხედა, საითაც ახლა მძღოლი იყურებოდა და დაინახა გიო. გიოს მაღლა ეჭირა თავი, მაგრამ თითქოს ვერავის ამჩნევდა გარშემო.

გიომ წინა კარი გამოაღო და ჩაჯდა. მანქანა დაიძრა.

ნინომ თვალი გააყოლა. მერე ეგა განაგრძო...

... ერთ-ერთი დაწესებულების დერეფანში გიოსნაირი ახალგაზრდა კაცი მიდის. დიდ, ნათელ დარბაზში შეიხედავს. აქ ოცდაოდე მაგიდაა, ყოველ მაგიდას მოანგარიშე-მგეგმავები უსხედან. არაკუნებენ საანგარიშოების კენჭებს, აჩსაკუნებენ არითმომეტრებს. ახალგაზრდა უფროსი რომ შემოვა, ფესზე წამოდგებიან და დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდება.

– განაგრძეთ, ამხანაგებო, განაგრძეთ! – ამბობს უფროსი და ამატებს, – ამსანაგო ჯინორია, ერთი წუთით, თუ შეიძლება.

ბატონი კონსტანტინე თავის სამუშაო ადგილს ტოვებს და უფროსს მიჰყვება. სხვები მუშაობას განაგრძობენ, მაგრამ ყურადღება აქეთ – კარისკენ აქვთ, ბატონმა კონსტანტინემ რომ გაიხურა.

– ბატონო კოტე! – ეუბნება დერეფანში უფროსი, – ბატონო კოტე, ნარკომატში გიბარებენ. კვარტალური ანგარიში მზადდება. სასწრაფო საქმეა. ალბათ, ღამე მოგიწევთ მუშაობა და სვალ ნუღარ გამოცსადდებით. თქვენი იმედი მაქვს...

– როდის უნდა წავიდე? – კითხულობს ბატონი კონსტანტინე.

– ნახევარ საათში, – უფროსი საათს დახედავს, – ნახევარ საათში მანქანა მოგაკითხავთ. მზად იყავით...

– ცოლს დავურეკავ, თუ შეიძლება, – ბოდიშობს ბატონი კონსტანტინე.

– როგორც გნებავთ, – ნებას რთავს უფროსი...

... ღამეა. დაწესებულების დერეფანს ელექტრონათურა ანათებს. გიოს თანაშემწეს ლანგარი მოაქვს. ლანგარზე ერთი ჭიქა ჩაი და რამდენიმე ორცხობელაა. ჭიქას ორთქლი ასდის. თანაშემწეს ლანგარი დიდ ოთახში შეაქვს, ოთახში კონსტანტინე ჯინორიას გარდა არავინაა. კონსტანტინე მუშაობს. არიფმომეტრის სასელურს ატრიალებს და ციფრებს ქაღალდზე იწერს. თანაშემწე ლანგარს მაგიდაზე დგამს და გამობრუნდება. კონსტანტინე ჯინორია მუშაობას განაგრძობს.

გიო კარის ჭუჭრუტანას მიეპარა და თვალი მიადო: კონსტანტინე არიფმომეტრს აწკრიალებს.

კედლის მრგვალი საათის პატარა ისარი ოთხზეა გაჩერებული.

გიო ჭუჭრუტანას მოსცილდება, ფეხაკრეფით უახლოვდება თავის მაგიდას. იქ დაყრილ ფურცლებს დააწყობს, გაასწორებს, დიდ შავ პორტფელში ჩააწყობს...

... ორსაწოლიან განიერ ლოგინში კონსტანტინე წევს. თავი კოპლებიანი ნაჭრით აქვს წაკრული. საბანი ნიკაპამდე აქვს აფარებული, ულვაშები მოუჩანს და ცხვირი. სძინავს.

მემობელ ოთახში, როიალთან ნინოა. ხმადაბლა ვარჯიშობს, რომ მამა არ გააღვიძოს. ქალბატონი ვერიკო ტელეფონის აპარატთან ზის, მორიგეობს.

რეკს ტელეფონის ზარი. ქალბატონი ვერიკო ყურმილს ჩამოსსნის.

— ჯინორიების ბინაა. — ამბობს ქალბატონი ვერიეო. — ა, შენა სარ? დიას. აქ არის. მეცადინეობს... მაპატიე, მაგრამ ვერ დავუ-ძახებ... საზი თავისუფალი უნდა იყოს. ძია კოტეს უნდა დაურეკონ ნარკომატიდან... საღამოს დარეკე!

ქალბატონი ვერიეო დებს ყურმილს და სადარაჯოზე რჩება. მუსლებზე ხელდაწყობილი...

ისევ ზარია.

— ჯინორიების ბინაა. გისმენთ, — ამბობს ქალბატონი ვერიეო. — დიას, ახლავე! მანქანა ნახევარ საათში იქნება. დიას. დიახ!

ქალბატონი ვერიეო საძინებელში შერბის.

— კოტე! — აღვიძებს ქმარს, — კოტე!

ბატონი კონსტანტინე ფეთიანივით წამოსტება, თვალებს ახამ-სამებს.

— ნახევარ საათში მოვლენ!

ბატონი კონსტანტინე ლოგინიდან გადმოდის. გრძელი თეთრი პერანგი აცვია.

ცოლს ტანისამოსი მოაქვს. დაუთოვებული პერანგი, ჰალსტუსი, კოსტიუმი...

გიომ ყურმილი ჩამოსსნა.

— შემოდი ჩემთან! — თქვა და კრიალოსანი უჯრაში შეინახა.

შემოვიდა თანაშემწე, საგულდაგულოდ მისურულ კართან დადგა.

გიომ თითით ანიშნა, მომიახლოვდიო. თანაშემწე მიუახლოვდა.

— ახლა ის უნდა მოვიდეს, ჯინორია, ეკონომისტი...

თანაშემწე მოთმინებით ელოდება საუბრის გაგრძელებას. გიო ფიქრობს.

— უნდა მოვიდეს...

— დიახ, — გაასსენებს თავს თანაშემწე.

— ანგარიშს გამოართმევ.

— დიას!

— დაელაპარაკები...

— გისმენთ, გიორგი ზურაბოვიჩ!

– ისე გაკეთებ, რომ თავის ოჯახში დამპატიჟონ...

– მაპატიეთ! – უფრო მოისრება წელში თანაშემწე.

– დამპატიჟოს ოჯახში, – გიო მაგიდის კალენდარს ფურცლავს, – პარასკევს, 14-ში, 20 საათზე.

იტყვის ამას და ფურცელზე ჩაინიშნავს თარიღსა და დროს.

თანაშემწე ერთიან კითხვის ნიშნადაა ქცეული. ადგილიდან არ იძვრის. გიო მძიმედ შესედავს.

– გაუგებარია რამე?

– გასაგებია! – აჩქარდება თანაშემწე, – ჯინორიებთან, პარასკევს, 14-ში, 20 საათზე...

– თავისუფალი სართ!

თანაშემწე სწრაფად ტოვებს გიოს კაბინეტს. ასე გიჟებს გაურბიან.

... გიომ ძია ელიზბარის კარადა გამოაღო. კარადის კარზე შიგნიდან ჰალსტუხებია ჩამოკიდებული. გიო ათვალიერებს ჰალსტუხებს, სამს გამოიღებს და სკამზე ჩამოკიდებს. მერე ღია კარის მიმართულებით ყვირის.

– კლარა! კლარა!

შემოდის მოსამსახურე. უკმაყოფილოა და გაოცებული, – გიო არ ელაპარაკება სოლმე.

– რომელი გავიცეთო? – ეკითხება მოსამსახურეს და ჰალსტუხებზე მიუთითებს.

კლარა გიოს უახლოვდება, ათვალიერებს. მერე ჰალსტუხებს აკვირდება. ისევ – გიოს. ერთს ამოარჩევს და გაუწოდებს. გიო არ ართმევს. ანიშნებს გამიკეთეო. კლარა ჰალსტუხს განაკვავს და მერეღა ჩამოაცმევს თავდაღუნულ გიოს კისერზე.

გიო სარკეში იყურება. არ მოსწონს თავისი თავი. ჰალსტუხის ყულფს თავიდან წაიძრობს და კლარას მეორე ჰალსტუხზე ანიშნებს თითით.

კლარა ასლა სხვა ჰალსტუხის განაკვას შეუდგება... გიო ფინიკების დაპრესილ ფილას ქაღალდში ახვევს.

... გიოს პერანგზე ჰალსტუხი უკეთია. თმა გადავარცხნილი აქვს.

ხელში შეკერა უჭირავს. მზადაა.

საათს დახედავს, რვას სუთი წუთი აკლია.

გიო სადარბაზოდან გადის...

... ქალბატონი ვერიკო გიოს მიუძღვება. ერთი ოთახიდან პატეფონის სმა და მსიარული ყაყანი ისმის. ეტყობა, ახალგაზრდები ერთობიან. იქით ბატონი კონსტანტინე დახვდება სტუმარს. გიო ხელს ჩამოართმევს, მერე შეკერას გადასცემს.

სასადილო ოთახში შედიან. სუფრა სამ ადამიანზეა გაშლილი. ჭურჭელი მეტია, ვიდრე საჭმელი. გიოს სუფრის თავში დასვამენ.

ბატონი კონსტანტინე მარჯვენა მხარს დაუმშვენებს.

— მაპატიეთ, — უღიმის გიოს ქალბატონი ვერიკო, — ახლავე გეახლებით.

გიო თავს უსმოდ დაუკრავს.

ბატონი კონსტანტინე ღვინის ბოთლს აიღებს და საცობს ეჯაჯგურება. გიო გაუნძრეველად გის. ფოქსტროტის ხმები სასადილოში აღწევს. ბატონი კონსტანტინე საცობის ამოძრობას ვერ ასერხებს. დამტვერეულ საცობს დანის ტარით ბოთლში ჩატენის და დაღლილი, საწყლად გაუღიმებს გიოს. ცოტაოდენ წითელ ღვინოს თავის ჭიქაში ჩაასხამს, მერე გიორგის ჭიქას აავსებს.

გადაიღეთ რამე, ამსანაგო გიორგი!

გიო სუფრას გადასედავს. აქ ძირითადად „შპროტია", სხვადასხვა საკმაზით გაწყობილი. არის ყველი, მწვანილი... გიო ერთ ბოლოს აიღებს და გემრიელად ჩაკბეჩს. ბატონი კონსტანტინე დანის წვერით საცობის ნაფშვენებს იღებს თავისი ჭიქიდან.

მუსიკა და სმაური გაძლიერდა — ეტყობა იმ ოთახის კარი გააღეს.

— ჩემი ქალიშვილის მეგობრები არიან, სტუდენტები, — მობოდიშებით ამბობს ბატონი კონსტანტინე და ჭიქას ასწვავს, — თქვენს მობრძანებას გაუმარჯოს. როგორც იტყვიან, კეთილი იყოს თქვენი ფესი...

— სთხოვეთ, აქ გამოვიდეს, — აწყვეტინებს გიო.

— ვის ვთხოვო? სტუდენტებს?

– თქვენს ქალიშვილს.

– გასაგებია, ასლავე, – ამბობს ბატონი კონსტანტინე, თუმცა მისთვის არაფერი არ არის გასაგები.

ბატონი კონსტანტინე გადის. სამაგიეროდ, ქალბატონ ვერიეს რაღაც ცსელი კერძი შემოაქვს და გრძელ საინზე დაწყობილი ფინიეები.

– რა უცნაური ქლიავია, – ამბობს ქალბატონი ვერიეო ფინიეების შესასებ, – უცსოურია?

– ირანული ტკბილია... – კიდევ რაღაცის თქმას აპირებს გიო, მაგრამ დუმდება და ასადგომად წამოიწევს, – ოთასშო ნინო შემოდის და თითქოს ნათდება ირგვლივ ყველაფერი.

ნინო გაშლილ ხელს უწვდის და უღიმის.

– მე ნინო მქვია, ნინო ჯონორია.

– გიო, – პასუსობს გიო და მაგრად ართმევს გამოწვდილ ხელს.

– სომ არ მოიწყინეთ უჩემოდ? – ამბობს კონსტანტინე, ისეთი დაძაბულია და დათრგუნული, რომ მართლაც მოსაწყენი სდება ყველაფერი.

– მე თქვენ გიცნობთ, აქვე არ ცსოერობთ, თორმეტ ნომერში.

– დიას! – ჩასლეჩილი სმით პასუსობს გიო.

– „რუმბას“ ცეკვა იცით? ვგიჟდები „რუმბაზე“, – განაგრძობს ნინო, პირდაპირ დაუჯდება და გამომცდელად შესცქერის.

უფროსები ფრთსილად სსდებიან თავთავიანთ სკამებზე.

– არა, – პასუსობს გიორგი.

– ვალს-ბოსტონი? არც ვალს-ბოსტონი? არ გინდათ, რომ ისწავ-ლოთ?

გიო მსრებს იჩეჩავს.

– გასწავლით! ტანგოდან დავიწყოთ. ყველაზე ადვილი მაინც ტანგოა, – ნინო ფინიეს აიღებს, გასინჯავს, – წავიდეთ, გიო?

გიო არ პასუსობს. გიოც ფინიეს აიღებს და პირში ჩაიდებს.

– ტკბილია. – ეუბნება ბატონ კონსტანტინეს.

„რუმბას“ სმა და ფეხის ბაკუნი მოისმის.

– წამოდით, გიო, ჩემს ამსანაგებს გაგაცნობთ. ოლგერდი გასაგი-

ქებლად ცეკვავს რუმბას... ცეკეა თუ გრცხვენიათ, გვიყურეთ. მეც გასაგიქებლად ეცეკვავ.

გიო ფიქრობს. მერე ბატონ კონსტანტინეს მიმართავს, თითქმის ოფიციალურად.

– უთხარით, რომ აქ დარჩეს, – და ნინოზე ანიშნებს.

ნინო ტაშს შემოკრავს და მხიარულად იცინის. მისი მშობლები ხან ერთს უყურებენ, ხან მეორეს. ქალბატონი ვერიკო ხვდება რაშიცაა საქმე. ბატონი კონსტანტინე ფინიკს ფინიკზე აყოლებს და უმწეოდ ასამსამებს თვალებს.

ნინო იცინის. გიო ბაგეგაუსსნელად ულიმის...

– სადაური ბრძანდებით, ამსანაგო გიორგი? – პაუზის შემდეგ პოულობს სასაუბრო თემას ბატონი კონსტანტინე.

– შემოქმედელი ვარ, – ამბობს გიორგი.

– შესანიშნავი სოფელია, არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობა აქვს, და, ეკლესია, მაპატიეთ. – ბატონი კონსტანტინე იბნევა, სიტყვებს ვერ პოულობს.

– რა ეკლესია? – კითხულობს გიო.

– შემოქმედის ეკლესია, არ ვიცი თუ დარჩა... თუ არ დაანგრიეთ... დაანგრიეს, დაინგრა, უფრო სწორად.

გიოს აგონდება ეკლესიის ეზო, გიოს ის დღე ასსენდება. მოადგება რაღაც, ისევ გრძნობს შეტევის მოახლოებას. წამოდგება... ცდილობს თავაზიანი იყოს, იღიმის პირმოკუმული. თავს უკრავს სამივეს ცალ-ცალკე და გადის...

... თანდათან აუჩქარებს ნაბიჯს.

ქუჩაში თითქმის გარბის.

შერბის თავის სადარბაზოში.

...მოსამსახურე ნაბიჯების სმას გაიგონებს და წამოდგება. კარებში გიოა. შეშლილი, არეული სახე აქვს. ლაპარაკი არ შეუძლია, ხრიალებს რაღაცას და ხელს იქნევს. მერე შეტრიალდება და ბარბაცით მიდის თავისი ოთახისკენ.

კლარა წამოსტება, წიგნს დაავლებს ხელს და მისდევს.

გიო ოთახში შედგამს ფეხს და იატაკზე ეცემა. მთელი ტანით

იწყებს ფართხალს.

კლარა პირში წიგნს ჩაჩრის, ბალიშს ამოუდებს თავქვეშ და მკერდზე დააწვება...

ბორგავს და სტის იატაკზე ორი სსეული...

... ფუნიკულიორის პლატო. შავ მანქანაში არტუშას სძინავს.

რესტორნის ტერასა მგზითაა განათებული. მოქალაქეთა უმრავლესობას თეთრი ტანისამოსი აცვია. მსიარულობენ. ქვემოთ, ბაფსულის ალმურში თბილისი ჩაძირულა.

ოფიციანტმა ოთხი კათსა ლუდი მოიტანა. მაგიდას ოთხნი უსხედან: ნინო, ციალა, მათი ტოლი ყმაწვილი ოლგერდი და გიო. ოლგერდი ართობს ქალიშვილებს – მოტოციკლს ბაძავს: ღმუის, კაკანებს, ისევ ღმუის. გოგონები იცინიან.

ჩანს, ეს მსიარული განწყობილება გამოყოლილი აქვთ. ოფიციანტი ქაფიან კათსებს მაგიდაზე დგამს და ოლგერდის იმიტაციით მოსიბლული, მოსასმენად რჩება. მერე გიოს დამძიმებულ მზერას წააწყდება და გაიძურწება.

ოლგერდი ჩუმდება. ლუდს მოსვამს.

– კარგია! – ამბობს სიამოვნებით.

ცსვირზე ქაფი შერჩება. ნინო იცინის, მერე თვითონაც ჰყოფს კათსაში ცსვირს, თვალებს იელმებს და განაგრძობს კიკიისს.

– რა მწარეა, როგორ სვამთ ამას კაცები! – ამბობს ციალა.

– ბრამსი, ბრამსი ჩასულა ერთსელ ლუდხანაში, – იწყებს ოლგერდი, – ლუდი მიართვა პატრონმა და უთხრა: „ბატონო ბრამს, ისე მომწონს თქვენი მუსიკა, რომ ამ ლუდს „ბრამსი“ შევარქვი. მიირთვით“. მოსვა ბრამსმა, არ მოეწონა, მოიცადა მაინც... და ეუბნება „იცი რა, ისევ ერთი „ბეთჰოვენი“ მომიტანე“!

გოგონები იცინიან. გიო ნაძალადევად იღიმება.

– გიო, ჩვენც შევუკვეთოთ „ბეთჰოვენი!“ – ამბობს ნინო.

ოლგერდი ასლა კონსერვატორიის რომელიღაც მოსუც პედაგოგს ბაძავს:

– ეს სიბემოლი კი არა, ჭე-ბემოლია, ყმაწვილო! – მერე ცია-

ლასცენ ისრება – როგორი დიაფრაგმა გაქვთ, გეთაყვა? – მცერდზე ადებს ყურს, – აპა, გაქვთ, გაქვთ.. – ასლა ნინოს მიადებს მცერდზე თავს, – აბა, თქვენი დიაფრაგმა ვნახოთ! ო, შესანიშნავი დიაფრაგმაა!

ქალიშვილები იცინიან. გიო კი, გუნებაწამსდარი, სივრცეს მიშტერებია...

... მანქანა თბილისისკენ მიგორავს. გიო, ისევ წარბშეკრული, მძღოლის გვერდით ზის. სარკეში ხედავს ქალიშვილებს და მათ შორის ჩამჯდარ ოლგერდს, რომელიც განაგრძობს სუმრობას.

გიო სედავს, როგორ ეჩურჩულება ოლგერდი რაღაცას ყურში, სან ერთს, სან მეორეს, ესმის ნაწყვეტ-ნაწყვეტად რაღაც ფრაზები. სიტყვები.

– „ჯერ ბაპესში არ მივსულვართ, იმისი არ იყოს“... „როგორ არ ვიცი, კნეინაჯან, ღრუბელი სელში არ მიჭირავს!?“

გოგონები გულიანად იცინიან, ოლგერდი კი არ ცსრება.

იყურება სარკეში გიო და ბოღმით ივსება: გოგონები კისკისებენ, ოლგერდი ანგლობს.

– გააჩერე! – მოულოდნელად ეუბნება გიო მძღოლს და მანქანა ჩერდება.

გიო მანქანიდან გადმოდის. უკანა კარს აღებს და ოლგერდს თითით ანიშნებს. გადმოდიო. შეშინებული ოლგერდი გადმოდის. გიო ანიშნებს წინ დაჯექიო და თვითონ მის ადგილზე მიძვრება, – ქალიშვილებს შორის.

ოლგერდი მძღოლის გვერდით ჯდება და მანქანა გზას განაგრძობს. უსერსული სიჩუმე ჩამოვარდება. გიო სარგადაყლაპულივით ზის ქალიშვილებს შორის, ცდილობს მოსასვევებში არ მიეკაროს არც ერთს.

ჩაიარეს კომკავშირელთა ხეივანი, დავითაშვილის ქუჩა.

– რომ არ დამინასონ, – არღვევს სიჩუმეს გიო, – არ არის საჭირო.

გოგონებს სიცილი წასცდებათ. მოტრიალდება, სიცილით, ოლგერდი. გაუგებარია მათი სიცილის მიზეზი, მაგრამ გიოსაც რატომღაც

ელიმება...

... მასქანა ასლა კიროვის ქუჩაზე ჩერდება. გიო გადმოდის. ოლგერდიც აპირებს გადმოსვლას, მაგრამ გიო არ გადმოუშვებს.

– მიიყვანე სადაც გეტყვის! – ეუბნება არტაშას და ქალიშვილების გადმოსვლას დაელოდება.

... გიო და ქალიშვილები შეჩერდებიან მაღაზიის ვიტრინასთან. მაღაზიას აწერია „ოსობტორგი". ვიტრინაზე ბევრი არაფერია, მხოლოდ „კიბორჩსალას", „შედედებული რძის", „ყავის" და „სიზილალას" კოლოფებისგან შემდგარი პირამიდები.

გიო ქალიშვილებს გაატარებს და „ოსობტორგში" შეპყვება.

– აირჩიეთ. – ეუბნება საკონდიტრო განყოფილებასთან.

აქ ომის შემდეგ თითქმის ყველაფერი იყიდება: კამფეტები, ნამცხვრები, ფიგურული შოკოლადი, „ბანბანერკები"...

ნინო აღტაცებით ათვალიერებს ამ მღაპრულ სიმდიდრეს: მერე იმ დროისთვის სასწაულ კომერციულ ფასებს კითხულობს თვალებგაფართოებული.

– „ნატურალური" – ორას ოცი მანეთი! დათაფლული თხილი – ოცდათხუთმეტი...

– აირჩიეთ! – იმეორებს გიო.

– აი, ეს! – შოკოლადის გოჭისკენ იშვერს თითს ნინო, – ეს! ეს!

გიო სალაროსკენ მიდის...

მაღაზიიდან ქალიშვილები გიოზე ადრე გამოვიდნენ. გიოს გამოჩენას ელოდებიან.

აი, გიოც გამოჩნდა, რაღაც კოლოფები მოაქვს.

ორ-ორად დააწყო და ქალიშვილებისთვის უნდა მიეცა, მაგრამ ბოლო წამში გადაიფიქრა: სამი კოლოფი ნინოს გაუწოდა, ერთი – ციალას...

... სასტუმრო ოთახში, მრგვალ მაგიდას ჯინორიების ოჯახი და გიო უსხედან. სიჩუმეა, სიჩუმე... ნინო მუსლებით შემძვრალა სკამზე, ნიკაპი ხელებზე ჩამოუდევს და რიგრიგობით ათვალიერებს უფროსებს. ქალბატონი ვერიკო და ბატონი კონსტანტინე ხმის

ამოღებას ვერა ბედავენ. მსოლოდ გიოა მშვიდად, თითქმის განცსრომაშია. საუბარი მაინც არ უყვარს და არის თავისთვის, ნინოს გვერდით.

ბოლოს ქალბატონმა ვერიკომ ვერ მოითმინა და შაქარყინულიანი ლამბაქი მიაწოდა სტუმარს.

– მიირთვით, გიორგი... ამსანაგო გიორგი!

გიორგიმ სერიოზულად დაუქნია თავი და პატარა ნაჭერი პირში ჩაიდო. მეთოდურად ააცმაცუნა ტუჩები.

– რადიო ხომ არ ჩავრთოთ? – „ბრწყინვალე" აბრი მოუვიდა თავში ბატონ კონსტანტინეს.

გიომ თავის გაქნევით უარყო ეს წინადადება.

ისევ სდუმან და ბატონი კონსტანტინე ასალ მოსაგრებას გამოთქვამს.

– ნინო, მოდი წავიმღეროთ მე და შენ. „მსოლოდ შენ ერთს," აა?

ნინო არ ჩქარობს პასუსის გაცემას.

– იქნებ ჩვენს სტუმარს სიჩუმე ურჩევნია, არა, გიორგი? რა გირჩევნიათ, მე და მამამ გიმღეროთ რამე, თუ ჩუმად ვისსდეთ?

გიორგი არ პასუხობს, უღიმის.

– აი, სომ სედავ, მამა! ჩვენს სტუმარს ჩუმად ყოფნა ურჩევნია.

ნინოსთვის სიჩუმე აუტანელი გასდა. გიოს თვალს გაუსწორებს და ეკითხება:

– რატომ მოუსშირეთ ჩვენთან სიარულს, გიორგი?

გიო არ პასუსობს.

– მოგწონვართ, გიორგი?

გიო თავს დაუქნევს, თანხმობის ნიშნად.

– თუ გიყვარვართ?

გიო ისევ დაუქნევს თავს. ნინოს მშობლებმა აღარ იციან, სად დაიმალონ.

– იქნებ ცოლად გინდათ რომ გამოგყვეთ?

– მინდა, – გულიანად პასუსობს გიო...

... საბეჭდ მანქანაზე საბუთი იბეჭდება.

ვიღაცა ხელს აწერს ამ საბუთს. მერე – მეორე.

საბუთი სსვაგან გადადის, სსვა ოთასში, სსვა მაგიდაზე. აქაც ხელის მოწერა.

მერე ბეჭედი. ერთი, მეორე...

კაცის სელი მაგიდაზე დებს ამ სელმოწერილ და დამოწმებულ ქაღალდს.

გიომ საბუთი აიღო, დაკვირვებით წაიკითხა. თავის კაბინეტშია. მის წინ თანაშემწეა, მუდმივი მზადყოფნის პოზაში გარინდებული.

– როგორც ბრძანეთ, გიორგი ზურაბოვიჩ! „სინოპი", 12 ღლით...

... დასეირნობენ „სინოპის" დამსვენებლები. მღერის რეპროდუქტორში უტიოსოვი, გულო, რა კარგია, რომ ასეთი სარ"... მერე სიმღერა წყდება.

მეგაფონიანი კულტმუშაკი, მაღალ მიკროპორზე შემდგარი, პატარა, ბრიოლინისაგან შავად თმაგადაპრიალებული კაცი, მერსზე ახტება და აცხადებს:

– ძვირფასო დამსვენებლებო! მაღალმთიანი რიწის ტბის ნახვა ვისაც გსურთ, ხვალ დილით ამ ადგილზე ვიკრიბებით. დილის ათ საათზე. არ დაგავიწყდეთ, ძალზე საინტერესო ექსკურსია გველის. მით უმეტეს, რომ მე ვიქნები ექსკურსიამძღოლი! ახლა კი ცეკვები! გთხოვთ!

პატარა კულტმუშაკი მკვირცსლად ჩამოხტა მერხიდან, დამკვრელმა აკორდეონი გაჭიმა და ვალს-ბოსტონის დაკვრა დაიწყო.

– ვეცეკვები ჩვენი დასასვენებელი სახლის ულამაზეს ქალიშვილს, – განაგრძობს მეგაფონში ბრიყვი კულტმუშაკი, მეგაფონს აკორდეონზე დამკვრელთან დებს და ნინოსთან მიიჭრება, ხელზე ემთხვევა.

გიორგის სახე ეცვლება. კულტმუშაკს ნინო შუა ესტრადისკენ მიპყავს. ნინო ძალზე კმაყოფილია. ნელა დატრიალდნენ. მათ სხვა წყვილებიც აპყვნენ და ახლა თითქმის ყველა აცეკვდა გაოგნებული გიოს გარდა.

პატარა კულტმუშაკი ელეგანტურად, განსაკუთრებული პეწით ცეკვავს. თვალებგაცისკროვნებული ნინო სიამოვნებით მიპყვება მას...

... მეორე დილით, სასადილოდან გამობრძანებულ, ჭრელ სატანის პიჟამოებში გამოწყობილ დამსვენებლებს მუსიკის თანხლებით მიაცილებენ ლურჯ საექსკურსიო ავტობუსისკენ. მოხუცებული, ჩალის შლაპიანი კაცი მონოტონურად იმეორებს: „მოქალაქე დამსვენებლებო, მოქალაქე დამსვენებლებო, რიწაზე მიმავალი ავტობუსი გადის ხუთ წუთში, რიწაზე მიმავალი ავტობუსი გადის ხუთ წუთში, რიწაზე მიმავალი ავტობუსი გადის ხუთ წუთში. გთხოვთ დაიკავოთ ადგილები ავტობუსში „გს-02-88", გთხოვთ დაიკავოთ ადგილები ავტობუსში „გს-02-88".

გიო და ნინო სხვებთან ერთად ჩასხდნენ, ავტობუსი დაიძრა, მაგრამ სანატორიუმის ჭიშკართან ისევ გაჩერდა – გზად პატარა შეფერხება დასვდა. გზაზე მიიგლაზნებოდა ურემში შებმული ჯაგლაგი. ურემზე საოჯახო ნივთები ეწყო და ტიტლიკანა, მზეზე გარუჯული ბავშვები ისხდნენ. ცხენი სადავით მიპყავდა ყოფილ კულტმუშაკს. ახლა ფესხიშველა იყო, თავისი სქელლანჩიანი ფესხაცმელი კისერზე ჰქონდა გადაკიდებული.

ყოფილმა კულტმუშაკმა გადაიყვანა ურემი ეზოდან, გზა გაანთავისუფლა, ავტობუსმა შვებით ამოისუნთქა და ზღვისპირა გზატკეცილზე გაგორდა.

ნინომ თავი გამოპყო ავტობუსიდან. მერე გიოს შესედა. გიო პირდაპირ იყურებოდა, ავტობუსის სიღრმეში, მგზავრების თავებს ზემოთ და პირმოკუმული უსტვენდა...

•

... საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ნინო ზღვის ქვიშიან ნაპირზე გარბის. მის კოსტა ფესებს ზღვის აქაფებული ტალღები ედება. ნაპირის გასწვრივ ქოშინით მოსდევს გიო. თეთრი, ჩესუჩის კოსტიუმი აცვია, ჩალის შლაპა ასურავს, გაოფლილია და დაღლილი. ნინო კიკისებს, გარბის.

გიო ჩერდება, სულს ძლივს ითქვამს. სიძულვილით უყურებს ცოლს.

— გიო, — ეძახის ნინო შორიდან, — დამიჭირე, გიო!

ნინო ბღვაში შერბის და მიცურავს.

გიო ცსვირსასოცს ქვაზე აფენს. შარვალს აიწევს, დაღუნვისას მუსლებზე რომ არ დაეზეროს და ფრთხილად ჩამოჯდება...

... გიო გვიან დაბრუნდა შინ. სასტუმრო ოთახიდან სმაური ისმოდა, — ახალგაზრდები ერთობოდნენ. გიო ფესის წვერებზე შედგა, ჩაუარა სმაურიან ოთახს და კაბინეტში შევიდა, ძია ელიზბარის მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე დაწყობილი გაზეთები გაშალა. ერთი აიღო და კითხვას შეუდგა.

კაბინეტში მოსამსახურე კლარა შემოვიდა.

— გიორგი ზურაბოვიჩ, ყავას მთხოვენ, ერთი ქილა დაგვრჩა.

გიომ თავი დაუქნია, რაც იმას ნიშნავდა, „მიეცი“. კლარამ უკმაყოფილო ბურდღუნით დატოვა კაბინეტი. გიომ მაგიდის ლამპა აანთო, განაგრძო კითხვა.

— მაპატიეთ! — მოესმა გიოს.

ოთახში უცნობი ყმაწვილი შემოსულიყო. ჭრელად ეცვა — ეტყობოდა, რომ ხელოვანი იყო.

— ბოდიში, — ისევ მოიბოდიშა ყმაწვილმა, — კაცურად, ვაქკაცურად, ტუალეტი სადაა ამ სასლში?

გიო წამოდგა. უსმოდ გაიყოლა ყმაწვილი. გაიარეს დერეფანი. სამგარეულო, გიომ კარი გააღო და გაატარა... დამსმარე გასასვლელი იყო... მიისურა კარი და გამობრუნდა.

ისევ გაზეთს კითხულობდა, როცა ციალამ შემოისედა.

— ნუკრი სომ არ გინასავთ? გამარჯობათ, ბატონო გიორგი!

გიომ თავი გაიქნია.

— რა იქნა ნეტა? — ციალამ დაიხია და კარი მიისურა.

გიო ფესაკრეფით მიეპარა სმაურიან ოთახს. ჭუჭრუტანას მიადო თვალი. იქ ახალგაზრდები ცეკვავდნენ, მსიარულები, უბრუნველები, ჯანსაღნი... ნინომ თავისი კავალრისგან თავი გაინთავისუფლა და კარისკენ წამოვიდა.

გიო სწრაფად მოსცილდა კარს და მიიმალა.

ნინო გარეთ გამოვარდა, აბაზანისკენ გაიქცა. ეგად გული აერია...

საძინებელში ასალი ძვირფასი ავეჯია. ბუხრის მოპირდაპირე მსარეს ორსაწოლიანი განიერი ლოგინია. აქეთ – თეთრი, მდიდრული ტანსაცმლის კარადა. ფანჯრებს შორის – კარადისფერი ტრილიაჟი, კედელზე, სადაც საწოლია მიდგმული, ზღაპრების პერსონაჟებია გუაშით ოსტატურად დასატული.

... გიოს ვაჟი, ზურაბი, შვიდი წლისაა. მამამისივით კარის ჭუჭრუტანას მისდგომია და მეორე ოთასში იცქირება. ხედავს, როგორ მიაყუდეს კედელთან სშირწიწვოვანი ნაძვის სე. სე მაღალია, ჭერს წვდება და კენწერო გაეღუნა.

დურგალმა ორი ფიცარი ჯვარედინად შეკრა, შემდეგ ნაძვის ხეს ძირი მოაჭრა, რომ სწორად მდგარიყო და საყრდენის გაკეთება დაიწყო ცულით. ძვირფასი, ჭრელი მუსის პარკეტი თეთრი ბურბუშელით დაიფარა.

ზურიკო ფანჯარაში იცქირება. იქაც დათოვლილი ნაძვის სე მოჩანს.

ამ ხნის მანძილზე სასტუმრო ოთასი თითქმის არ შეცვლილა. მსოლოდ ავეჯს დაემატა რაღაც დეტალები. როიალზე, ბეთჰოვენის გვერდით სსვადასსვა სიმაღლის სპილოები ჩამწკრივებულან. კედელზე ცნობილი მომღერლების და გუნდების სურათები კიდია. აქ არის შალიაპინი, კარუზო, ტიტო გობი, ქართველი საოპერო მომღერლები. მარმარილოს მაღალ პოსტამენტზე თავასდილი პატეფონი დგას. გვერდით ფირფიტები უწყვია. სასტუმროშივე, ელიზბარ ბიძიას კაბინეტიდან გამოუტანიათ მაღალზურგიანი ყავისფერი დივანი.

კვლავ ძველებურად, ყრუდ რეკავს კედლის საათი.

დათოვლილ ქუჩაზე ჯაჭვების ჩხრიალით ჩაიარა „პობედამ“. თბილად შეფუთულ ბავშვებს ციგებით დაასეირნებენ ბაბუები. გოგობიჭებს კოცონი დაუნთიათ და ჭიაკოცონა გაუმართავთ. უფროსები აივნებიდან მუყაოს ყუთებს ისვრიან და ესეც კოცონს ემატება.

თბილი ტანისამოსის გამო უცნაურად გამსსვილებული პატარა ბიჭი გოგოს უახლოვდება, გაჭირვებით ესვევა და ტუჩებში კოცნის.

ქალაქში მაშსალებს ისვრიან.

კედლის ბუსარში ნაკვერჩხლები ღვივის. გვიანი ღამეა. ზურიკო განიერ, ორსაწოლიან ლოგინში წამომჯდარა და მოციმციმე თვალებით გასცქერის სასტუმრო ოთახს.

ღია კარში ახლა ის კუთხე ჩანს, სადაც დედა და ბებია ნაძვის ხეს რთავენ. უფროსებმა სინათლე გამორთეს და ნაძვის ხეზე ნათურები აკაშკაშდა...

... ვიღაცის სელმა მძინარე ზურიკოს ბალიშის ქვეშ გუდაპერჩის ყვითელი ცხენი ამოუდო და გაუჩინარდა. ზურიკოს ძილ-ბურანში გაეღიმა. ცხენი სელით მოსინჯა...

... ნინო, მას თმა მოუზრდია და თავისებურად დაუვარცხნია, ახლა კარგად მოვლილ, შეძლებულ ქალბატონად გამოიყურება.

ქალბატონი ნინო ოპერის თეატრის შენობაში შევიდა...

წვრილი ქუსლების კაკუნით გაიარა დერეფანი, ოდნავ დაუკრა თავი წამომდგარ მორიგეს და მეორე სართულზე აბრძანდა.

თამამად შეაღო კარი წარწერით „დირექტორი".

კაბინეტში, დირექტორის მაგიდასთან მჯდარი კაცის გარდა, მაღალი, სრულიად ჭაღარა, შუა სნის კაცი იმყოფებოდა.

ეტყობა, აქ, ამ კაბინეტში, ეს კაცი მშვენივრად გრძნობს თავს: დივანზე წამოწოლილს, ორთავე ფეხი დაბალ მაგიდაზე დაუწყვია და გრძელტარიან პაპიროსს აბოლებს.

– დიას? – შეკითხვა გამოესატა სასეზე დირექტორს, როცა ნინო მის მაგიდას მიუახლოვდა.

– მე ნინო ჯინორია ვარ, – თქვა ნინომ.

– სასიამოვნოა, ძალზე სასიამოვნო... – უთხრა დირექტორმა, – ჰოდა, რა გნებავთ, ნინო ჯინორია?

ტასტზე წამოწოლილი წამოჯდა, ინტერესით მიუგდო ყური საუბარს.

– პირდაპირ გითხრათ?

– რა თქმა უნდა.

– მე მომღერალი ვარ.

– დიას, დიას... მერე?

– ეს კი ოპერა უნდა იყოს და თქვენ – ოპერის დირექტორი.

– ოპერისა და ბალეტის თეატრის – ჩაერია სრულიად ჭაღარა კაცი.

– ბაქარია ფალიაშვილის სასელობის ოპერისა და ბალეტის სასელმწიფო აკადემიური თეატრის, – ჩამოთვალა ნინომ.

მერე, მერე?

– რატომ მოვიდა მომღერალი ოპერისა და ბალეტის თეატრში?

ყველა მომღერალი უკვე კარგა სანია აქაა მოსული, – თქვა მაგიდასთან მჯდომმა, – თქვენ კი, მაპატიეთ, არ გიცნობთ.

– აი, ბატონი არჩილი მიცნობდა, – ნინომ კეკლუცად გადასედა ჭაღარათმიანს, – მაგრამ ეს დიდი სნის წინათ იყო, ძალიან დიდი სნის...

– ნინიკო?.. – წამოდგა ის და ნინოსთან მიიჭრა, სელზე ემთსვია, – როგორ შეცვლილსართ და კიდევ უფრო გამშვენიერებულსართ... არაჩვეულებრივი ლირიკული სოპრანო, ამომავალი ვარსკვლავი.

– ვაკანსია? – დაეჭვებით თქვა მაგიდასთან მჯდომმა.

– ჩათვალეთ, რომ უკვე ჩვენს შტატში სართ, ნინო ჯინორია-დოლაბერიძისა.

– ა-ა-ა-ა! დოლაბერიძისა?! – მაგიდას შემოუარა იმანაც და ისიც სელზე ემთსვია, – შესანიშნავი სოპრანო გექნებათ, დარწმუნებული ვარ.

... ვიო ბნელი სადარბაზოდან გამოვიდა, ნელი ნაბიჯით გაუყვა ჭადრებით დაჩრდილულ ვიწრო ქუჩას. კოსტიუმი ოდნავ წამოზრდილ ღიპზე გასსნოდა. ფართოფარფლებიანი შლაპა ასურავს. სელები ჯიბეებში უწყვია.

გიომ მიისედ-მოისედა, ქუჩას გადაავლო თვალი და იქვე მდგარი მანქანის უკანა სავარძელზე დაჯდა სვნეშით. არტუშამ, მასაც ჭაღარა შეპარვია, მლიქვნელური ღიმილით მოსედა.

– სალამი, გიორგი ბურაბოვიჩ!

გიომ არ უპასუსა. შლაპა შუბლიდან აიწია და სტვენა დაიწყო. რაღაცას, ერთსა და იგივეს უსტვენდა განუწყვეტლად. უსტვენდა

ცუდად. მომაბეზრებლად.

მანქანა დაიძრა. მძიმე, ჩამოსიებულ ქუთუთოებს ქვემოდან გასცქეროდა ჭადრებს გიო.

პროსპექტზე გავიდნენ.

– რაღაც ფინთ სასიათზე სარ, ზურაბოვიჩ, – უთხრა მძღოლმა, – მამაჩემიც, აი. ზუსტად თქვენნაირი იყო. ვერ გაიგებდი როდის უსაროდა, როდის არა... გარაჟში ერთი პაელიკა გვყავს, იარა-ლოვი... თქვენზე იძასის, რომ შეუღიტინო, ვერ გააცინებო.

არტუშამ თქვა ეს და საკუთარი გაბედულობით შეშინებულმა, ჩუმად ჩაისითსითა. გიო უსტვენდა, ვითომ ვერც გაიგო ნათქვამი...

... დაწესებულების დერეფანში გიოს გამოჩენისას ყველა კედელს აეკრა. გზა განთავისუფლდა. გიო გზიდან გამოყოლილ მელოდიას უსტვენდა.

– გამარჯობათ!

– გამარჯობათ!

– ბატონო გიორგი, გამარჯობათ!

– სალამი, გიორგი ზურაბოვიჩ!

გიო განაგრძობდა სტეენას. მისი ყურადღება კედლის გაზეთმა მიიპყრო. გაზეთში საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ქალი იყო დასატული. ქალს ხელში ყვავილები ეჭირა. გიო შეჩერდა, უსტვინა, მერე გაზეთი ჩამოსია და ზგა განაგრძო.

მბეჭდავების ბიურო გადაკვეთა. დიდი, მოკაკანე დარბაზი მბეჭდავი ქალებით იყო სავსე. გიოს ნაბიჯების ხმა და სტვენა ისმოდა მხოლოდ.

წამოდგა მისასალმებლად მდივანი ქალიც. გიომ არ უპასუხა. კაბინეტში შევიდა. ოსტატურად მოისროლა შლაპა – საკიდზე ჩამოაგო. ფანჯარასთან მივიდა, უცქირა ქალაქს. მერე თავის მაგიდას მიუჯდა, უჯრა გამოსწია და კრიალოსნის მარცელას შეუდგა. ფიქრობდა...

მერე გამოძახების ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

მდივანმა შემოისედა.

– გისმენთ, გიორგი ზურაბოვიჩ!

– მოამზადე ბრძანება: შოფერი გამომიცვალონ... და შოთას დამიძახე.

– დიახ, გიორგი ზურაბოვიჩ!

გიომ სელი აიქნია, „წადიო", უჯრა გამოაღო, ისევ ქარვის კრიალოსანს დაუბრუნდა.

ტელეფონის ყურმილი ჩამოხსნა. ნომერი აკრიფა.

– ალლო, გისმენთ, – გაისმა ქალის ხმა. ნინო იყო. გიომ ყურმილი დაკიდა.

კაბინეტში დაბალმა, უკბილო მოხუცმა შემოისედა. მოსულს თვალი უთამაშებს, ეტყობა წიკი სჭირს.

– მეჯახდით, ჟურაბოვიჩ? – ჩიფჩიფებს მოხუცი.

გიომ თავი დაუქნია. კაცი გაუბედავად მიუახლოვდა მაგიდას. გიომ კიდევ დაუქნია თავი და სკამის კიდეზე დაჯდა, მისადგმელ მაგიდასთან.

– გამოარკვიე რამე? – ჰკითხა გიომ.

– დიახ... ესე იგი, ჟურაბოვიჩ, გაყრიშთვიშ შაკმარისი იქნება, თუ დამტკიჩდება, რომ ჩოლი გღალატობთ... დიახ, ცოლი...

გიომ მკაცრად შეავლო თვალი.

– კიდე?

– ჯალიან ჯნელია, ჟურაბოვიჩ... მით უმეტეს ბავშვი გყავთ. აქ შერიოჟული მიქეჟია შაჭირო.

გიომ კრიალოსნის ძაფი გაწყვიტა; გაღიზიანებულმა, ქარვის მძივებს წკიპურტი ჰკრა და ოთახში მოაბნია. მოხუცი წამოდგა, დაფაცურდა, მძივების ახიცვას შეუდგა.

– აგერ, ჟურაბოვიჩ, ენახე... აგერ კიდევ... – დახოხიალობს მოხუცი მუხლებზე, – რამდენი იყო, ხომ არ გასსოვთ, ჟურაბოვიჩ? – გამოყო თავი მაგიდის ქვეშიდან.

– ჩემმა ბიჭმა, ზურიკომ მითხრა, ასე ნუ აკეთებს, ნერვები მეშლებაო, – გიომ შოთასავით აათამაშა თვალი.

მოხუცმა ხელქვეითმა ნაძალადევად გაიცინა...

კლარამ დარაბები გასსნა და მზე ოთახში შემოიჭრა. ზურიკომ

თვალები მოჭუტა. იგი ლოგინში წამოჯდა. რაღაცაზე დაფიქრებულს, თვალები ერთ წერტილზე გაუშტერდა. ყელი თბილად აქვს შესვეული. ხანდახან ახველებს. მის გარშემო საბანზე რამდენიმე ფოტოსურათებიანი ალბომი დევს გაშლილი. აქვეა წიგნები – „ბურატინო", „ტომ სოიერის თავგადასავალი", „სამი მუშკეტერი", „აელიტა"... – რომელიც ასლა ხელში უჭირავს და კიდევ ორი გუდაპერჩის ყვითელი ცხენი გვერდით ტუმბოზე წამლების ფლაკონებთან ერთად დგას.

„ნეშიონალ გეოგრაფიკის" ძველ გამოცემაში ცხვირში რგოლებგაყრილი პაპუასების სურათებია.

– მაწონი, მაწონი – ისმის ქუჩიდან სმამაღალი ყვირილი.

ბურიკო საწოლზე აიწია და პერანგისამარა ღია ფანჯრისკენ გაფრინდა. ფანჯარა მშვიდობიანად განვლო და, მესამე სართულის სიმაღლიდან, ჩანთებით დატვირთულ მემაწვნეს დასდგა. გაოგნებულ მემაწვნეს ხმა ჩაუწყდა. ბურიკოს პირდაღებული უყურებს.

ყელშესვეული ბურიკო კვლავ ლოგინშია წამომჯდარი. წარმოდგენილი სურათისგან სიცილი აუტყდა.

აწკრიალდა ტელეფონი.

ბურიკო ლოგინიდან ჩამოვიდა. გრძელი თეთრი პერანგი აცვია. პერანგზე ქამარი აქვს შემორტყმული, ქამარში სის დაშნა გაურჭვია.

– გისმენთ! – ყურმილი ჩამოხსნა ბურიკომ.

სმა არავინ გასცა.

– გისმენთ! – გაიმეორა ბურიკომ.

ისევ არავინ გასცა სმა.

– მამა ხარ? – თქვა ჩუმად ბურიკომ.

გიომ ყურმილი დაკიდა. ბურიკომაც დაკიდა ყურმილი. დერეფანში გავიდა.

საბაბანოს კარი გამოაღო. რკინის მრგვალ ღუმელს შსაპი აქვს დატანებული, ღუმელის ღია პირთან შეშა ყრია. აბაბანის კედლებზე სხვადასხვა ზომის ტაშტები კიდია. მათ შორის – ხაოიანი პირსახოცები და საბანაო მოსასხამებია. აბაბანა სარეცხითაა სავსე.

ორი დიდი დედალი, ერთი თეთრი და მეორე შავი, მეტლახზე

დაყრილ საკენკს კენკავს. დედლებმა ზურიოსკენ მოატრიალეს თავი და მერე ერთმანეთს მიაშტერდნენ.

– მილედი, – თქვა ერთმა, – ეს გასკონელი ოდესმე თავს წაგვაცლის.

ზურიომ აბაზანის კარი მისურა და სამზარეულოში შევიდა.

თაროები ქვაბებითა და ჯამ-ჭურჭლითაა გატენილი. ქვის განიერ, დაბალ ღუმელთან ორი ნავთქურა ანთია. სის სკამზე წყლით სავსე მრგვალი ტაშტი დგას. ტაშტში პატარა ლოქო დაცურავს. მეორე, უფრო მომრდილი, მაგიდაზე აგდია და კლარა მას ნაჯახს უმიზნებს.

უეცრად ლოქომ პირი დააღო და კლარას თითზე უკბინა. კლარამ იკივლა.

ზურიომ სამზარეულო გაირბინა, რომ ლოქოს მოცვლისთვის აღარ ეცქირა და საკუჭნაოში აღმოჩნდა.

საკუჭნაოს ფანჯრიდან დათოვლილი ქალაქი მოჩანს. საკუჭნაოში ცივა. ზურიო უბრალო, თეთრად შეღებილ კარადასთან მიდის და კარს აღებს. პროდუქტებით სავსე თაროები კიბის მაგივრობას უწევს და ზურიო ზემოთ მიძვრება. შაქარყინულით სავსე თეფშს პოულობს, გადმოაქვს თეფში, დაბლა ჩამოდის და შაქარყინულით იტკბარუნებს პირს.

... გიოს კაბინეტში ტელეფონი რეკავს.

გიო აუჩქარებლად ჩამოხსნის ყურმილს.

– ბატონო გიორგი! ბატონო გიორგი! – ისმის ყურმილში კაცის ხმა.

– და! – პასუხობს გიო.

– მაპატიეთ, ბატონო გიორგი, პირდაპირ რომ გირეკავთ, არჩილი ვარ, ლომსაძე, ბატონო გიორგი!..

– დიას! – პასუხობს გიო.

– გამარჯობათ, ბატონო გიორგი, როგორ გიკითხოთ?

– ასე...

– ალბათ, დაკავებული ბრძანდებით, გაწუხებთ, მაგრამ საქმე მოითხოვს. მოგეხსენებათ, „იოლანტას“ დადგმას ვასორციელებთ... ეპოქა, რეალიზმი. მარტო ქალბატონი ნინოსთვის სუთ კაბას

ვაკერინებთ... პირდაპირ მოსიბლულები ვართ ყველა მისი ნიჭით. სმით, ჩემო ბატონო... ყველაფერი ეს მოითხოვს გარდერობის საფუძვლიან განახლებას, რეკვიზიტის შეძენას, ამიტომ გთხოვდით...

– დაუკაეშირდით ჭედიას! – გიომ ყურმილი ჩამოდო, მდივნის გამოძახების ღილაკს დააჭირა თითი.

– ოპერის თეატრში რომ დგამენ...

– დიახ!

– მომღერლების სიები გამოითხოვოს სამმართველომ. იქიდან-აქ!

– გასაგებია, ამხანაგო გიორგი!

გიომ თითი აუქნია, თავისუფალი ხარო...

... ზურიკო და ნინო რუსთაველის პროსპექტზე მიდიან. ნინოს წელში გამოყვანილი ვიწრო მწვანე პალტო აცვია. თავზე იმავე ფერის პატარა ქუდი ახურავს. ქუდში წითელი ფრთაა გარჭობილი. ზურიკო საგანგებოდაა დავარცხნილი და ჩაცმული.

ორი შლაპიანი მამაკაცი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარი მანქანიდან უთვალთვალებს დედა-შვილს.

შლაპიანი კაცები სედავენ როგორ შევიდნენ ნინო და ზურიკო ოპერის შენობაში.

... კაბინეტში, გიოს მაგიდასთან ციალა ზის. დაქალებულა, შეცვლილა. გვერდით პატარა ბიჭი უზის და ფეხს ათამაშებს. ციალა მალიმალ იდებს თვალთან ცხვირსახოცს და ოხრავს.

– ასე მარტო ვზრდი ბავშვს, გიორგი, გენაცვალე და ძალიან მიჭირს.

გიომ დაჭმუჭნული ფურცელი დაკეცა და ციალას დაუბრუნა.

– ეს ყველაფერი მაღაზიაში იყიდება, – ამბობს გიო და ციგად უყურებს ციალას.

– მაღაზიაში რაც იყიდება. ბავშვს ვერ ჩავაცმევ. თქვენს ზურიკოს მაღაზიის ტანსაცმელი აცვია?

ბიჭს თითი პირში ჩაედო და გიოს ათვალიერებდა. ციალამ ხელზე დაკრა.

– პირიდან თითი!.. პროდუქტებით მაინც დაგვესმარე... ამ ბავშვს არავინ ჰყავს პატრონი, მამამისს ერთხელ არ გასსენებია, მე რა შემიძლია? ნინოსავით სოლისტად კი არ მიმიღეს, როგორც კი მოისურვა, სუთი წელიწადი გუნდში ვმღერი...

ციალამ კვლავ ააქსუტუნა ცსვირი და თვალები მოისრისა, მერე ბავშვი ჩაიცრა გულში და მოფერება დაუწყო. ბიჭმა დედა მოიშორა. გიო ყურადღებით აკვირდება დედა-შვილის მოქმედებას.

– ჩემ ბიჭს კალორიები აკლია, ნასე, როგორ აქვს ჯირკვლები დაბერილი.

– ტანსაცმელს და საჭმელს მაღაზიაში ვყიდულობ, – ამბობს გიო.

– დასურულში? თქვენი მაღაზია და ჩვენი მაღაზია ერთია?

– ვინც რას იმსასურებს.

ციალა ფესზე წამოიჭრა.

– მაგასთან ნუ მისვალო, გამაფრთხილეს, არ დავუჯერე ჭკვიან ადამიანებს, ძუნწი, უემური და გამოუსადეგარი კაციაო, ტყუილად კი არ ამბობენ შენზე, მაგრამ ჩემი შვილისთვის თუ დაინანებდი რამეს, არ მეგონა. იმდენი ვეჩიჩინე მაშინ შენზე ნინოს, მე რომ არა, შენ როგორ გამოგყვებოდა?

– სახლში მოდი და გაჩუქებ რამეს!

– არ თქვა პატიოსანი ვარო! – იყვირა ციალამ, – ქვეყანა შეჭამეთ, მარტო თქვენ გინდათ ყველაფერი! წამოდი, შვილო, წამოდი!..

ციალამ ბიჭს სელი ჩაავლო და კარისკენ გაიყოლა. უკვე კართან იყენენ მისული, როცა გიომ დაუძახა.

– ბიჭო, მოდი ჩემთან!

გაკვირვებულმა ციალამ ბიჭს სელი გაუშვა, ბავშვი მაგიდას მიუახლოვდა.

გიომ თითი ლამბაქზე დააკაკუნა.

– ამოიღე და ჩაყარე აქ!

ბიჭმა უსალისოდ ამოატრიალა ჯიბე და ლამბაქზე ქარვის ბურთულები დაყარა.

გაცოფებულმა ციალამ ბავშვს სილა გაულაწუნა და წაათრია.

– ურჩსულო, გველეშაპო! – ზიზღით მიუტრიალდა გიოს.

გიო პირგაუსსნელად უღიმოდა...

... გიო მანქანიდან გადმოვიდა და თავისი სახლის სადარბაზოში შევიდა. ნელა, სვენებ-სვენებით მიუყვება კიბეს. სადარბაზოში ნინოს სმა გამოდის, გამეს მღერის.

გიომ კიბე მოამთავრა და ბინის კარს მიადგა. ჯიბეები მოიქექა, გასაღები ვერ იპოვა და ზარი დარეკა. კარის გასაღებად სიდედრი მოვიდა. ჭუჭრუტანაში გახედა, მაგრამ გიომ ჭუჭრუტანას ხელი ააფარა. ქალბატონმა ვერიკომ ძეწკვზე გასსნა კარი. გიორგის გაუღიმარ მზერას წააწყდა.

– ოჰ, გიორგი, რა უცნაური სუმრობა იცით...

გიომ არაფერი უპასუხა, შლაპის მოუსდელად შევიდა კაბინეტში.

იქ ნინო ვიღაც ასალგაზრდა ყმაწვილთან ერთად როიალს უჯდა. ვაეი უკრავდა და ნინო სმას ავარჯიშებდა. გიოს შემოსელამ უსერსულობა გამოიწვია. ვაემა დაკვრა შეწყვიტა და წამოდგა. ნინო გიოსკენ შემოტრიალდა და ისიც გაჩუმდა.

– ვინაა? – მკვასედ იკითხა გიომ.

– ჩვენი სოლისტია, რაეიკო გომელაური. ერთად ემღერით.

– ერთად? ერთად სომ არ ცსოერობთ?

ბიჭი გაფითრდა.

– მაპატიეთ, უთსრა ნინოს. – მე წავალ, ნასვამდის.

გიო გასასვლელში იდგა. ყმაწვილმა გაჭირვებით აუქცია მსარი და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ნინო წამოდგა, აღშფოთებული, შეურაცსყოფილი.

– შენ გესმის, რას ამბობ? ადამიანი არა სარ. დესპოტი სარ, სადისტი! ყველა გეზიზღება, ყველა, ვინც შენზე კარგია და ასალგაზრდა. იცოდე, ამას არასოდეს გაპატიებ! არასოდეს არ მიყვარდი და ახლა მძულხარ!

– წადი!

– სად წავიდე?

– სადაც გინდა, გავშორდეთ.

– ეგ არ გამოვა! მძულსარ, მაგრამ მაინც არ გაგშორდები. ოჯახს არ დაგანგრევინებ. ბოლომდე ვეწამები და შენც გაწამებ. ბავშვი, საკუთარი შვილი არ გიყვარს. ერთსელ მაინც ეთამაშე, თუ ისიც შენი მტერია?

ნინო ოთასიდან გავარდა. შეშინებულმა ქალბატონმა ვერიკომ ტუჩებზე აიფარა სელი და ქალიშვილს გაპყვა.

გიორგი მაგიდასთან მივიდა, თითები აარაკუნა ჩვეულებისამებრ. გაგეთზე სიდედრის სათვალე შეამჩნია... აიღო და კარადის თავზე შემოდო.

შუშაბანდიდან ზურიკომ შემოისედა. მან ყველაფერი დაინასა. მამამ მოისედა.

– მოდი აქ!

ზურიკო მიუახლოვდა. გიო ფიქრობდა, რა ეთქვა შვილისთვის. ბოლოს მოიფიქრა.

– აბა, დამიჭირე! – და მაგიდის გარშემო ფართო, მოზომილი ნაბიჯით წავიდა.

ბავშვი გამოეკიდა, გიო თითქოს არა ჩქარობდა, მაგრამ ზურიკო ვერაფრით ვერ ეწეოდა მამას.

ზურიკო საქმიანად მისდევდა. ეს არ იყო თამაში ან გართობა – ბიჭი მოვალეობას ისდიდა. გიო კი, თავის ფიქრებში წასული, დადიოდა მაგიდის გარშემო და უსტვენდა.

კარზე დარეკეს. გიო შეკრთა, შვილს ანიშნა – გაუღეო. ზურიკო კარის გასაღებად გაეშურა.

ზურიკომ კარი გააღო. კაცს ფესთან სის ყუთი ედგა. ბავშვის დანასვაზე კაცი ჩაცუცქდა და გაღიმებულმა, ენა მოიჩლიქა.

– რა გქვია, ბიჭიკო, შენ?

– ზურიკო.

– რა კარგი ბიჭი ყოფილსარ, ზურიკო. მამა სასლშია, ზურიკო?

– ზურრაბი! – ენის მოჩლექა არ მოეწონა ბიჭს.

– ვაქკაცი!

ზურიკო ოთასისკენ შეტრიალდა.

– მამა, შენთან არის ეიღაცა.

გიო ზანტად გამობრძანდა.

– სალამი ზურაბოვიჩ! ეს პლატონიჩმა მოგართვათ.

კაცი ყუთიკენ დაისარა, მაგრამ გიომ აღარ აცალა, ყუთს ფეხი ჭრა და კიბეზე გადააგდო. ყუთი სმაურით დაეხეთქა ძირს.

– საიდანაც მოიპარა, იქ მიუტანე! – გიომ გაოგნებულ კაცს ცხვირწინ მიუჯახუნა კარი.

სადარბაზო ყვითელი მანდარინებით არის მოფენილი...

... სასტუმროში გიოს სიდედრმა შემოისედა.

– ღმერთო შენ მიშველე! ამ წუთას ხელში არ მეჭირა?! – თავზე მოისვა სელი და ზურიკოს ჭკითსა, – აქ დავდე, გაზეთს ეკითხულობდი. არ გინასავს?

ზურიკომ თავი გაიქნია.

– ნინო, ჩემი სათვალე ხომ არ აგიღია?! – გასძახა მეორე ოთასიკენ ქალბატონმა ვერიკომ.

– ეგღა მაკლია! რად მინდა შენი სათვალე? – გაბრაზებით გამოსძასა ნინომ.

– საოცარია პირდაპირ... – ამოიოსრა ქალბატონმა ვერიკომ...

... გიო თავის ოთასშია. რკინის საწოლზე ზის, გრძელი შავი სატინის ტრუსების ამარა. ოთასს არაფერი მომატებია. გიო მწარე ფიქრებშია წასული.

კარმა გაიჭრიალა, – ოთასში ზურიკომ შემოისედა. მას კლარა შემოყვა. გიოს საწოლთან წყლით სავსე ჭიქა დაუდგა და ზურიკოს ხელით მამისკენ უბიძგა.

– მიდი, აკოცე მამიკოს!

ზურიკო მამას მიუახლოვდა. გაჩერდა. გიომ მიიზიდა, მაგრად მიკრა და სმაურით აკოცა ლოყაზე. ზურიკოს არ ესიამოვნა მამის კოცნა, დაიმანჭა. გიომ შეამჩნია ეს და ხელი გაუშვა.

– ძილი ნებისა! – გაასსენა კლარამ.

– ძილი ნებისა! – უთხრა ზურიკომ მამას.

გიომ თავი დაუქნია. კლარა და ზურიკო ოთახიდან გავიდნენ. გიო ისევ მარტო დარჩა...

... სასტუმრო ოთახში უცნაური რამ სდება: მუშებს აგური მოუბიდავთ და ახლა ოთახს შუაზე ტისრავენ. კედელი პირდაპირ ძვირფას პარკეტზე იგება. სსნარიანი გობი აქვე დგას. კალატომები სწრაფად მუშაობენ. ორნი არიან, სელის მუშებიც ორი ჰყავთ, კედელი სწრაფად მიიწევს ზემოთ.

მშენებლობას კლარა და ზურიკო შესცქერიან. ერთი აღშფოთებითა და შიშით, მეორე ბავშვური ცნობისმოყვარეობით.

ზურიკო სკამზე აძვრა, რომ როიალთან მდგარი კლარა დაინახოს და მამას სედავს. შემოვიდა, გაშეშდა. უყურებს შვილს და თითქოს ვერ სედავს.

მერე ნინო შემოვიდა, ნამტირალევი, თმააწეწილი. ზურიკო იცდის, როდის ატყდება ყვირილი და ჩხუბი, მაგრამ შუა ოთახში აშენებულ კედელზე უფრო უცნაურ სურათს სედავს: დედა მამას უახლოდება, მკერდზე დაადებს თავს და ტირის. მამა თავზე უსვამს სელს და მასაც ღაპა-ღუპით ცვივა ცრემლები.

– ჯერ ცოცსალია, – ამბობს გიო, – ჯერ ცოცსალია! ექიმები გადაარჩენენ, ნუ ტირი!

– რა გვეშველება, – მოსთქვამს ნინო, – რამე რომ მოუვიდეს, დავიღუპებით... მთელი ქვეყანა დაიღუპება, სოციალიზმი... შეიძლება ომი დაიწყოს... ნუთუ ვერ გადაარჩენენ, სამოცდაცამეტი წლისაა მხოლოდ.

– მოდი, შვილო! – ამჩნევს გიო ზურიკოს და მიასლოვებულს, გულში ჩაიკრავს.

ასე დგანან სამივენი. მტირალი მშობლების შემყურე ზურიკოც ატირდება...

გიო შეკრთება... უცებ ჩამოსვამს ძირს და უცნაური ნაბიჯით მიდის. გადის დერეფანში.

... ახსენდება შემოქმედის სასაფლაო. მიწაზე დაგდებული თვალღია კაცი. მისი ნათლია თვალებში უყურებს.

გიოს თოფი უჭირავს სელში...

გიო საბაზანოში შედის და კარს კეტავს. განწირული ნადირივით უცნაურად აბღავლდება და დაენარცსება იატაკზე.

სტის, ესეთქება ჭრელი მოგაიის იატაკს მისი სხეული...

... გაგაფსული მოღონიერდა. ქალაქის გარეუბანს ეს უკვე კარგად დაეტყო.

ერთ ტრიალ ადგილს მანქანების ესკორტი მიადგა. უკანა მანქანიდან გადმოცვენილმა თანამშრომლებმა წინა მანქანის ორივე კარი გააღეს. იქიდან ჯერ ზურიკო გადმოვიდა, მერე გიო. გიომ რამდენიმე თანამშრომელს პატივი დასდო: თითი გაუწოდა ხელის ჩამოსართმევად.

მოხუცი იურისკონსულტი საოცარი სიძულვილით შესცქერის ზურიკოს. მერე გამოერკვა, გაიბადრა, ბავშვს ეახლა და ხელზე აკოცა. თავზეც უპირებდა ხელის გადასმას, მაგრამ ისევ ნერვიული წიკი დაემართა და ზურიკომ მისი ხელი აიცილა.

გიო და ამალა დაბალი გორაკისკენ წავიდნენ. გიოს აღმართის დაძლევა უჭირს. გამოჩნდნენ მოსმარების მსურველებიც, მაგრამ გიომ გაღიზიანებულმა მოიშორა.

მიაღწიეს გორაკის თავს. აქ მეტყევე დახვდათ. გიოს მიესალმა და სტუმრებს ბარები დაურიგა. თანამშრომლებმა ორმოს თხრა დაიწყეს. ერთი ორმო ამოთხარეს, პირველი ორმო. მეტყევემ ფიჭვის ნერგი მიართვა გიოს. გიომ ნერგი ორმოში ჩაუშვა. ვიღაცამ მიწა მიაყარა, მეორემ დატკეპნა. ყველამ ტაში დაუკრა. ეს აპლოდისმენტები გიოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ დროს უეცრად ამოვარდნილმა ქარმა გიოს შლაპა მოსტაცა.

– არიქა, შლაპა!

ყველა შლაპას გაეკიდა. ასლად დარგულ ფიჭვთან მხოლოდ გიო და ზურიკო დარჩნენ.

გიომ შვილს შესედა, მისებურად გაუღიმა, მერე ნერგი ორმოდან ამოგლიჯა და თავის მანქანისკენ დაეშვა. ზურიკო უკან გამოუდგა...

... შავი მანქანა „ბავშვთა სამყაროსთან" გაჩერდა. გიო და ზურიკო ერთხანს ვიტრინასთან იდგნენ, იქ ექიმი „აიბოლიტი", დიდი მოძრავი თოჯინა, თავის პაციენტ ცხოველებს სიცხეს უზომავდა ვეებერთელა თერმომეტრით. გიოს მობეზრდა აიბოლიტის ცქერა,

ზურიცოს თითი გაუწოდა და უნივერმაღში შეიყვანა.

სათამაშოების სექციასთან მივიდნენ.

სექციის გამგემ გიო იცნო, გამყიდველთან მიიჭრა, რაღაც ჩასჩურჩულა, მერე გამობრუნდა და გიოს მიესალმა. გიომ არ უპასუხა. სექციის გამგემ გაიმეორა თავისი მანევრი, მაგრამ არც მეორედ მიიღო პასუხი. ისევ გამყიდველი გამოგზავნა.

გიო უინტერესოდ ათვალიერებდა პლუშის დათვებს, გაუგებარი ფორმის ძაღლებს, გუტაპერჩის თოჯინებს და სხვადასხვაგვარ ცხენებს: დიდს, პატარას, ბორბლებიანს და უბორბლოს.

გამყიდველი გაფაციცებით შესცქერის გიოს, ზურიცოს უღიმის, სხვა მუშტრისათვის არა სცალია.

– გიორგიო ზურაბოვიჩ, რას ინებებს თქვენი ვაჟკაცი? – ვერ უძლებს პაუზას გამყიდველი.

ზურიცომ პედლებიანი ცხენისკენ გაიშვირა თითი.

გამყიდველმა სათამაშო მიუგორა, მაგრამ გიომ თავი გაიქნია და ზემო თაროზე მიუთითა გამყიდველს. იქ ზუსტად ისეთი ცხენი იდგა.

– ახლავე, ბატონო! – გაიღრიჭა გამყიდველი და კიბე მოათრია.

აძვრა, ჩამოიღო ცხენი, ჩვარი გადაუსვა და პირველ ცხენს გვერდით მიუყენა.

გიომ კვლავ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და მოპირდაპირე მაღალ თაროზე შემდგარ ისეთივე ცხენზე ანიშნა გამყიდველს. იმან ახლა იქით წაათრია კიბე. მესამე ცხენი ჩამოიღო და პირველ ორ თავის ტყუპს მიუყენა გვერდით. გიომ ეს ეგზემპლარიც დაიწუნა და დაბნეულს, შუა თაროსკენ მიუთითა. გამყიდველმა კიბე მიადგა იმ ადგილს, მაგრამ მჭიდროდ მიდგმა ვერ მოახერხა, იატაკზე დაწყობილი კოლოფები უშლიდა ხელს. უკვე ღელავდა, ცსადი იყო, რომ საპატიო კლიენტი ამასსარავებდა. კიბის ზემო საფეხურზე აძვრა, უხერხულად გადაიწია სათამაშოს ასაღებად და კიბიანად გადაყირავდა.

გიორგი პირგაუხსნელად იცინოდა. ზურიცომ გაკვირვებით შეხედა მამას...

... ზურიკო და ნინო ოპერის თეატრისკენ მიაბიჯებენ. ზაფხულია. ნინოს წელში გამოყვანილი მწვანე კაბა აცვია და მწვანე პატარა ქუდი ასურავს. ზურიკოს ამჯერად თეთრი პერანგი აცვია და ზოლებიანი „ნიკერ-ბოკერი".

მოშორებით ერთი იმ შლაპიანთაგანი მიპყვება, ადრე რომ უთვალთვალებდათ სოლმე.

ნინო და ზურიკო ოპერის შენობაში შედიან...

... მიდის ზურიკო საგრიმიორის დერეფანში და რიგრიგობით აღებს კარებს. ჩანს, მას აქ კარგად იცნობენ: ერთ-ერთ ოთახში მეფისტოფელის ტანსაცმელში გამოწყობილმა მსუქანმა, ღაბაბიანმა ბანმა, მის დანახვაზე დაამღერა.

... მეორეში ქალმა ააწკრიალა ბულბულივით სმა.

... მესამეში ნასევრად შიშველმა ბალერინებმა შეპკივლეს, მერე კი მსიარულად შემოესვივნენ ამ ყურადღებით კმაყოფილ ზურიკოს.

– ზურიკო, გამარჯობა შენი, ბიჭო!

– დედა, რამსელა გაზრდილხარ.

– რა ლამაზი კაცი მოვიდა!

– ზურიკო შალიაპინი უნდა გამოსვიდე თუ ჭაბუკიანი?

... ზურიკო უკვე პარტერშია. აქედან დარბაზს ათვალიერებს. სცენაზე ბალერინა ტრიალებს. ზურიკო იარუსების მოოქროვილ ლოჟებს ასედავს.

ზევით ასულა. ასლა ზემოდან დასცქერის პარტერს.

სცენაზე მომღერალი ქალი ვარჯიშობს...

ზურიკო მოსატულ ვესტიბიულშია. დასვეული კიბით არბის და ჩამორბის.

მოჩუქურთმებული კარი შეაღო და თოჯინებით სავსე სარკეებიან პატარა ოთახში აღმოჩნდა. შვიდი, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩონგურებიანი თოჯინა წამოდგა, ზურიკოს თავი დაუკრეს, კვლავ დასხდნენ და „სულიკოს" სიმღერა დაიწყეს.

ტიროლელმა მწყემსმა ბიჭმა სალამური ააღერა. მეორემ ფინჯანიდან წვრილი მილით რაღაც შეისრუტა და საპნის ბუშტები

გამოუშვა.

ყველაზე დიდმა, ბაბთიანმა თოჯინამ, დედის ძახილით, დამოუკიდებლად გვერდით ჩაუარა.

... ზურიკო მამის ცივ ოთახშია, რკინის საწოლთან, მაგიდაზე გაფცქვნილი სახვის ბოლქვი დევს და დაჭრილი პური. ზურიკო მადიანად ილუკმება.

საწოლზე წელამდე გაშიშვლებული გიო ზის. ზურგზე წურბელები ახვევია. წურბელები თანდათან შავდებიან, იბერებიან და დაბლა ცვივიან. გიოს ექიმბაში ქალი დასტრიალებს. ქალი ალერსით უყურებს ზურიკოს.

სამზარეულოში ბებია სადილს ამზადებს. მაგიდაზე პური და ხახვის გაფცქვნილი ბოლქვი დევს. ზურიკო მადიანად ილუკმება.

ჩემი არწივისთვალება ბიჭი, გიყვარს სახვი და პური?

შუშაბანდში გამავალ ფანჯარასთან ლომბერის მაგიდაა მიდგმული. მაგიდასთან ბაბუა კონსტანტინე ზის, პასიანსი გაუშლია და რაღაცას ფიქრობს. ცხვირის წვერზე წვეთი ჭიდია. წვეთი იზრდება. ზურიკო ინტერესით შესცქერის ბაბუას ცხვირს.

წვეთი გაიზარდა, მოწყდა ცხვირს და პასიანსს დაეცა. ბაბუამ ცხვირსახოცი ამოიღო და ნაგვიანებად შეიმშრალა ცხვირი...

ზურიკომ ბაბუას ღამის წითელი, ნაქსოვი ქუდი მოაძრო, თავზე ჩამოიფხატა და გაუჩინარდა.

გაოგნებულ ბაბუას ჩიბუხი პირიდან გაუვარდა.

ზურიკო იცინის. ბაბუა სათვალეებს ზემოდან უყურებს.

... ქუჩაში ხელიხელჩაკიდებული ნინო და ზურიკო მიაბიჯებენ. დედა შვილს არიგებს:

– როცა გკითხავენ, ვისთან გინდა ცხოვრება, რას ეტყვი?

ზურიკო დუმს.

– დაგავიწყდა?

ზურიკო ჯიუტად დუმს.

– შენც მამაშენივით ღრჯო ხარ და უემური!

ზურიკოს ვითომ არც ესმის დედის სიტყვები.

– დამიგდე ყური! ეტყვი, მინდა ცხოვრება დედასთან, დედასთან,

გასაგებია?

ზურიკო ხმას არ იღებს...

... სამივენი ადვოკატის კანტორაში სხედან. ადვოკატი მკაცრი გარეგნობის წარმოსადეგი ქალია.

– თქვენ გაყრის წინააღმდეგი ხართ? – ეკითხება ნინოს ადვოკატი.

– მე ოჯახის დანგრევის წინააღმდეგი ვარ. ბავშვს მამა სჭირდება.

– და მაინც, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა მიზეზით შემოიტანა თქვენმა მეუღლემ ეს განცხადება?

– ეგ თქვენ კი არა, მეც არ ვიცი!

– ცოლი ხომ არ გღალატობთ? – ასლა გიოს მიუბრუნდა ადვოკატი.

– არა, ქალბატონო, არა! – ჩაერია ნინო, – მე ოპერის სოლისტი ვარ, ეს არ მოსწონს, ჩემი ცოლი მსახიობი როგორ უნდა იყოსო... არ კადრულობს მომღერალ ცოლს.

ადვოკატს ეღიმება.

– თეატრიდან გვიან რომ ვბრუნდები, სცენებს მიწყობს.

– გასაგებია, – ამბობს ადვოკატი, – გიორგი ზურაბოვიჩ, მაპატიეთ, მაგრამ მე ზოგჯერ ისე ვარ დაკავებული, რომ ორი დღეღამე შინ ვერ შევდივარ.

– მერე? – ეკითხება გიო გაყინული სმით.

– რა მერე?

– რა და შენც ბოზი ყოფილხარ, შენი ქმრის ადგილზე სახლში არ შეგიშვებდი.

– გთხოვთ წესიერად ილაპარაკოთ! – ქალმა ფანქარი დაკაკუნა მაგიდაზე, – ასეთი სიტყვებისთვის ასლა სამართალში შეგვიძლია მიგცეთ!

– წადი შენი! – შეუბღვირა გიომ და გავიდა...

რომელიღაც სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელის მოსაცდელში გიო შემოვიდა. არავის მისალმებია, არც მდივან ქალს, არც მოლოდინში მჯდომ სოლიდურ ამხანაგებს. ჩქარი ნაბიჯით

გაიარა მოსაცდელი და უცერემონიოდ შეაღო კარი.

– გიორგი ზურაბოვიჩ! – ესღა მოასერსა მდივანმა ქალმა.

ცოტა სანში კაბინეტიდან გამოვიდა ვიღაც გამსდარი, წესიერი ასალგაზრდა, ძალზე დაბნეული და შეშინებული, აღელვებული გვერდზე დადგა და მუქარით აბუტბუტდა.

კაბინეტიდან კი ყვირილის სმა მოისმა...

... გრძელთმიანი და სქელულვაშა მსუქანი კაცი გიოს აწყნარებს:

– დამშვიდდი, გიორგი, ჯერ ხომ არაფერი მომსდარა!

– შენთვის არაფერია, მე კი ცოლს ვკარგავ, ამსანაგო!

– რატომ უკრძალავ სიმღერას, ეს ხომ არ არის სწორი?!

– ჩემს ოჯახში რაა სწორი და რა არა, ეს მე ვიცი! რას ეჩხირებით ყველა, რა გინდათ? მმართებს რამე თქვენი?

– ქალბატონი ნინო ბრწყინვალე მომღერალია, შესანიშნავი მსახიობი. ყველა იმედით შეეცქერით მის მომავალს...

– კაცო, ქალი სახლში მინდა მე, სხვის სატაციმასხარაოდ კი არა!

– ნუ ცხარობ, გიორგი, ნუთუ საყვარელი ადამიანის ბედი არ გაწუხებს? მალე ლაურეატი გახდება, მთელი ქვეყანა გაიცნობს.

– შენი ცოლი გაიცნოს მთელმა ქვეყანამ! – იყვირა გიომ და მუშტი დაკრა მაგიდას.

მსუქან კაცს სახე გაუჭარხლდა, თვალები გადმოქაჩა.

– ამსანაგო გიორგი, შენ ცოლსაც დაკარგავ და პარტბილეთსაც.

– ჰაი, დედასა! ნუ გეონია თქვენი დრო მოვიდა. ვნახოთ კიდევ ვინ რას დაკარგავს!

გიო კაბინეტიდან გამოვარდა. გამსდარმა, წესიერმა ასალგაზრდამ ძლივს მოასწრო გზის დათმობა. გიო ფეთიანივით გავარდა მისაღებიდან...

... ოპერის სცენაზე „იოლანტას“ რეპეტიცია მიმდინარეობს.

ნინო იოლანტას თეთრ კაბაშია, მსახიობებსაც უკვე სპექტაკლისთვის გამზადებული კოსტიუმები აცვიათ.

სცენის მუშები დეკორაციებს აყენებენ. მათი ბრიგადირი ჩაქუჩის

ყოველი დარტყმისას შიშით გასცქერის რეკისორს, ჭაღარათმიან ბატონ არჩილს.

მომღერლები სმას „ინასავენ“ საღამოს პრემიერისთვის, მაგრამ ზოგჯერ, აგარტში შესულნი, თავდაუზოგავად მღერიან.

ბენუარის ლოჟაში ზურიკო ზის.

ბავშვისთვის გასაკვირი გულგრილობით ადევნებს თვალს რეპეტიციის მსვლელობას. მარტო მაშინ გამოცოცხლდება, როცა დედა დაიწყებს თავის არიას...

... გიომ ქამარი შეიკრა. გაფითრებულია და გაუპარსავი.

გარდერობის ქვედა უჯრა გასაღებით გასსნა, პირსასოცებსა და საცვლებს ქვემოთ რაღაც მონასა და ამოიღო. უჯრა აღარ შეუწევია, მაგიდასთან მივიდა. შეკვრა გასსნა. პისტოლეტი და სავაგნე იყო. პისტოლეტი დატენა, ჩახმახი შეაყენა და ისევ გადასწია. ვაგნები ხელის გულზე დაიწყო.

ხელის გულზე ვაგნებია, როგორც მაშინ...

უბის ჯიბეში ჩაიდო პისტოლეტი და ოთახიდან გავიდა.

დერეფანში კლარა საქმიანობდა.

გიომ იატაკის ტილოს გადააბიჯა და გზა განაგრძო.

– პური გაგვითავდა, – მიაძახა კლარამ.

გიომ არ უპასუხა, კარი გაიხურა...

... სადარბაზოს კიბე ჩაიარა. პირველი სართულის ბაქანზე, ბნელ კუთხეში, გამსმარი, წიწვებგაცვენილი ნაძვის ხე აგდია...

... თბილისის ქუჩაზე ტაქსი მიგორავს. მძღოლის გვერდით ზის გიო და უსტვენს. ისევ იმ თავის მელოდიას, უსმენოდ, შეუჩერებლად.

– შენ კაი გუნებაზე ხარ, აი, გეტყობა, – მწარედ უღიმის ტაქსის მძღოლი.

გიო ყურადღებას არ აქცევს.

– თუ ვერა ხარ? – ეკითხება მძღოლი.

გიო წინ იყურება.

– თუ ძმა ხარ, ნუ უსტვენ, ბარაქა მიაქვს.

გიო განაგრძობს სტვენას.

– იქნებ არც არაფერია, მაგრამ ძმურადა გთსოვ, გაჩერდი!

გიოს თითქოს არც ესმის ტაქსისტის სიტყვები.

– ყრუ სარ, ვიღაც ოსერი სარ? – სმას აუწია მძღოლმა, – შენ გეუბნებიან, ნუ უსტვენ!

გიო განაგრძობს სტვენას. მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა. დაგდებულ „მანტიროვკას" დაავლო სელი.

– გადადი მანქანიდან, თორემ თავს გაგისეთქავ! – თვალები გადმოქაჩა მძღოლმა და მართლაც დაარტყამდა, გიო რომ მანქანიდან არ გადასულიყო.

გიომ ბლოკნოტი და ქაღალდი მონასა და მანქანის ნომერს დაკვირდა.

– მიდი, ჩაიწერე, შე დამპალო! შლაპა დაგიხურავს და თავი დიდი ვინმე გგონია!

ტაქსი ადგილს მოწყდა. გიო შუა ქუჩაში იდგა და ნომერს იწერდა...

... ტრამვაი სალხითაა გაჭედილი. გიო გაჭირვებით შეძერა წინა ბაქნიდან. შლაპა მოძვრა, მგზავრების სსეულებს შორის ჩაიჭეჭყა. გიო გამალებით ეძებს თავის შლაპას, ძლივს იპოვნა და დაჭმუჭნული კელავ თავზე ჩამოიფსატა.

ქალაქელი ბავშვები ტრამვაის ახტებიან და მერე ისევ ქვაფენილზე ხტებიან. „ზადნით" ჩამოსტომას სწავლობენ. დაბალ ურიცაზე უფესო კაცი რახრახით მისდევს ტრამვაის და ბიჭებს მითითებებს აძლევს.

– სელს ეგრე რადა შლი? ჯერ მარჯვენა ფესი დგება, დურაკ, მარჯვენა! თან ცოტაც ჩაიღუნე! კარგია, ასლა პლაშჩატკიდან მიდი!..

გიომ რის ვაივაგლასით ამოიღო ჯიბიდან ქაღალდის ფული და კონდუქტორს გასძასა:

– ერთ ბილეთს რამდენი უნდა?

– კარგი რა, სოლიდნი კაცი ჩანსარ, რაებს შაყირობ, – სელი აუქნია წყენით კონდუქტორმა.

ტრამვაიმ მოუხვია და ხრიგინით დაეშვა დაღმართში...

... რეპეტიცია გრძელდება.

უფლისწული სთხოვს იოლანტას წითელი ვარდი მოუწყვიტოს, მაგრამ იოლანტა ბრმაა. იოლანტა მუდამ თეთრი ვარდის ბუჩქთან მიდის.

ზურიკო გამოცოცხლდა. წამოიწია ლოჟიდან. უნდა დედას წითელი ვარდის მოძებნაში მოეხმაროს. ამ დროს ზურიკო ხედავს მამას, რომელიც გვერდითა ლოჟაში შევიდა. გიომაც დაინახა შვილი.

გიომ ზურიკოს ლოჟაში შემოისედა. თითით მიიხმო შვილი. ზურიკო ლოჟიდან გავიდა, მამას წამოეწია.

ჭრელიატაკიან ვესტიბიულში მიაბიჯებენ.

– ვნახოთ რა, მამა, – ეუბნება ზურიკო, – სად მივდივართ?

გიომ განიერ კიბეზე ჩაიყვანა, ფეხზე წამომდგარ კარიკატურას აუარა გვერდი.

მამა-შვილი რუსთაველის პროსპექტზე გავიდნენ.

– აქ დამელოდე, – დაიხარა შვილთან გიო, – ახლავე მოვალ!

მერე წელში გასწორდა.

ბიჭი ოპერის შენობის წინა ნიშაში იდგა.

გიომ უყურა უყურა შვილს და თავისებურად, ბაგეგაუხსნელად გაიღიმა...

... როცა გიო ლოჟაში დაბრუნდა იოლანტასა და უფლისწულის დამოკიდებულება საცაა საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო.

გიომ ერთხანს სიმღერას უსმინა. მერე გულის ჯიბეზე მოიფათურა ხელი, პისტოლეტი ამოიღო, თეთრად განათებული თავისი ლამაზი ცოლი მიზანში ამოიღო...

ნინო მღეროდა, გიომ ვერა და ვერ მოასწრო ხელის დამორჩილება, – პისტოლეტის სამიზნე ზევით-ქვევით ირხეოდა. ნინოც უცებ ბურუსში გაეხვია, ყველაფერი გაბუნდოვნდა, საგნებმა კონტურები დაკარგა, მუსიკისა და სიმღერის სმები აირია.

გიოს სროლა უნდოდა, გიომ ისროლა, მაგრამ მისი ხელი უკვე ქვემოთ, იატაკისკენ იყო გაშვერილი, რადგან თვალთ დაუბნელდა და ეცემოდა.

გიო მთელი ტანით უკან გადაქანდა, სავერდის ფარდას ჩაებღაუჭა და განაგრძო სროლა.

მუსიკა შეწყდა, ორკესტრანტები წამოიშალნენ. მსასიობები დეკორაციებსა და კედელებს აეკვრნენ.

ბატონი არჩილი სავარძლებს შორის ჩამალულიყო.

გიო იატაკზე გულაღმა იწვა, ფარდისთვის ჩაეჭიდა სელი.

სალსი აჩოჩქოლდა, აყაყანდა...

...ბნელი ოთახი. ბუსარში ნაკვერჩხლები ღვივის.

ბურიკო საწოლზე ბის და ცსარე ცრემლით ტირის. ბებია ვერიკო თავს ევლება, მკერდზე იხუტებს, თვალებს უკოცნის.

– ნუ ტირი, ჩემო ბიჭო, ნუ ტირი.

ბებია ლოგინში აწვენს ბურიკოს, შუბლზე ადებს სელს.

– დედამ შეგაშინა, ბებიამ შეგაშინა, ბაბუამ შეგაშინა, ძაღლმა შეგაშინა, ვეფსვმა შეგაშინა, კიტრმა შეგაშინა...

ბურიკო მშვიდდება, აღარ ტირის.

– პამიდორმა შეგაშინა.

ბურიკომ გაიღიმასავით.

– და მაინც შეშინებული სარ...

ბურიკოს ისევ შეშფოთება დაეტყო.

– ბები, მეც მოვკვდები? – ჩუმად კითხულობს.

– არა, შვილო, სანამ შენ გაიზრდები, მთავრობა უკვდავების წამალს გამოიგონებს...

... გიოს სურათი, შავ ჩარჩოში, კედელზე კიდია.

ეს გიოს ოთახია. ის რკინისსაწოლიანი, ცივი ოთახი, ძია ელიზბარმა რომ დაუთმო. ამ ოთახის ფანჯრიდან დაინახა პირველად ნინო.

ქალბატონი ნინო ასლა აქაა, ძაძები აცვია, აქაა ციალაც, ისიც ძაძებშია.

ბურიკო კარის ბღურბლზე დგას და ამ ორ ქალს უყურებს. ქალები რაღაცას ეძებენ გიოს ოთახში.

– ტყუილად ავყევი შენს ფანტაზიას, – ეუბნება ციალას ნინო და კარადის უჯრაში იქექება.

პირდაპირ იატაკზე ყრია თეთრეული, საცვლები, წინდები. მაგიდაზე – ჯაყვა, ფოლაქები, ორდენები, რამდენიმე გილზა, საქაღალდეები.

– არ შეიძლება არ ჰქონოდა, არ შეიძლება! – საწერ მაგიდას ჩსრეკს ციალა, – მისი რანგის ხალხი სულ მილიონერებია. სხვა თუ არაფერი, მთელი საქართველოს სასურსათო ბარათები ებარა...

– მე არაფერი მინახავს და... უბრალო კაბის ფულზე მატირებდა და მაჩსუბებდა.

– მით უმეტეს, გადანახული ექნება, გლესური სიძუნწე... – ციალამ ერთი უჯრა მთლიანად გამოიღო და მაგიდაზე გადმოაპირქვავა.

– ეს რა არის? – სელში უჩვეულო ფორმის გასაღები უჭირავს.

– რა ვიცი, – ამბობს ნინო, – მგონი სამსასურის გასაღები უნდა იყოს.

– სამსასურის?

– ჰო, სამსასურის სეიფის...

...ზურიკო, ნინო და ციალა გიოს ყოფილი დაწესებულების დერეფანს მიუყვებიან. ზოგი შემხვედრი იცნობს ნინოს, თავაზიანად ესალმებიან.

ზურიკოს ყურადღება კედლის გაზეთმა მიიპყრო. რა წერია აქ, ამას ზურიკოსთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ზურიკო სედავს ფერადი ჟურნალიდან ამოჭრილ მერლინ მონროს გაღიმებულ სასეს და ვიწრო ბიკინით დაფარულ სსეულს.

– მობრძანდით, – მიეგებება მდივანი ქალი, – ვასტანგ მისაილოვიჩი გელოდებათ!

კარს გაულებს, გაატარებს სამივეს.

მათ შესასვედრად გიოს ყოფილი თანაშემწე წამოიმართება. იგივე კაცია, ტანდაბალი, მომელოტო, მაგრამ გამოსედვა აქვს სსვა, – თვითდაჯერებული, მოგულგრილო. ყოფილი თანაშემწე სელზე ემთსვევა ნინოს, ზურიკოს თავზე გადაუსვამს სელს, ციალას ზედაც

არ შესედავს.

– ნახეთ, ნახეთ, ჩვენ არც გვიცდია გასსნა. ზურაბოვიჩის ნივთები ხელშეუსებელია, – ამბობს თანაშემწე. სმაც ოდნავ გაუსხვაფერდა, სმაც თვითდაჯერებული კაცისა გაუსდა.

ნინო სელჩანთაში ეძებს გასაღებს, პოულობს, ყოფილ თანაშემწეს აწვდის.

– თქვენ თვითონ, თქვენ თვითონ! – ამბობს ის და რატომღაც უკან-უკან იწევს.

ნინო და ციალა სეიფს უახლოვდებიან. ნინო გაჭირვებით მოარგებს გასაღებს სეიფის ჭუჭრუტანას და ცდილობს გადაატრიალოს. არაფერი გამოსდის.

ასლა ციალა ებმება საქმეში. ციალა უფრო ენერგიულად ააჩსაკუნებს გასაღებს, მაგრამ ისიც ვერაფერს გახდება.

ნინო უმწეოდ გადახედავს ვახტანგ მისაილოვიჩს. ყოფილი თანაშემწე თავისი ყოფილი უფროსის მეუღლეს ცივად გაუღიმებს და სეიფს მიადგება. ჩვეული მოძრაობით გადაატრიალებს გასაღებს, მძიმე, სქელ კარს გამოაღებს და გვერდზე გადგება.

ციალას ერთი სული აქვს სეიფში შეძვრეს, მაგრამ ნინოს დააცლის.

ნინო შეისედავს რკინის კარადის სიბნელეში. ვერაფერს დაინახავს. მერე ხელს შეპყოფს, მოაფათურებს. რაღაც იპოვა...

ფოტოსურათი გამოიღო. დიდი ფოტოსურათია, მუყაოზე დაკრული. ეს თვით ნინოა, ასალგაზრდა, მომღიმარი, ლამაზი.

ზურიკომ შესედა დედის ფოტოს და მოეჩვენა რომ სეიფთან ინათა.

ციალამ ძებნა განაგრძო და იპოვა კიდეც. რაღაც ქაღალდში გახვეული. ფრთხილად გამოიტანა და მაგიდაზე გაშალა.

მძიეები იყო, ელიზბარის ნაქონი, ქარვის დაშლილი კრიალოსანი...

დიდი ოთახი, მაღალჭერიანი, ოდესღაც მუქშვინდისფრად შეღებილი, ოქროს ჯაჭვებით მოსატული, მაგრამ კარგა ხნის გაურემონ-

ტებელი. ავეჯი მძიმეა, ოთახის შესაფერისი: მუსის მოჩუქურთმებული კარადა, ფართე, ტყავგადაჭრული სავარძლები, დივანი, შავი „ბეკერი“ ბეთჰოვენის ბიუსტით, მეტრონომით, მუსიკალურ პეგასზე აბრძანებული კომპოზიტორების ტრადიციული ფოტოებით.

ზურაბი, გამსდარი, ორმოც წელს მიღწეული კაცი, დივნის სირბილეში ჩამჯდარა, ფლოსტებიანი ფესი ფესზე გადაუდევს და წიგნს ფურცლავს.

მეზობელი ოთახიდან ქალის სმა ისმის. ქალი გამებს მღერის, ვარჯიშობს.

– ჰა! – ამბობს ზურაბი და კითსულობს სმამაღლა, – „ადამიანის მიწიერი არსებობა იმის განმეორებაა, რაც მის გაჩენამდე მომსდარა და წარსულს თუ ჩაეწვდებით, ზუსტად წარმოვიდგენთ და დავინახავთ, რა გველის მომავალში“... გესმის, გია?

მაგიდის ქვემოდან ზურაბის ვაჟი, რვა წლის გიორგი, გია, გამოყოფს თავს. მამის შეკითხვამდე რბილ სპარსულ ნოსზე დაეყარა სათამაშოები და ერთობოდა.

– რა, მამა?

– რა და, ერთი მწერალი წერს, რომ ამ ცხოვრებაში ყველაფერი მეორდებაო, გაიგე? – ზურაბი კითხვას განაგრძობს, ეღიმება, – რაც იყო, არის, რაც არის, ის იქნება...

ბავშვი გამომცდელად უყურებს ქვემოდან. მერე გამოძვრება, მამასთან მივა და მუჭს გაშლის.

ბავშვის სელის გულზე ქარვის მძივებია.

ზურაბი ერთ მძივს აიღებს, სელში ატრიალებს...

... კედელზე ქალის პორტრეტი კიდია. ქალს ქარვის მძივები უკეთია, მხატვარს გულდასმით გამოუსატავს ყოველი მძივი...

... პატარა ზურიკოს წინ, ეს ოცდახუთი წლის წინათ მოსდა, სეიფის სქელი კარი იღება, ქალის ხელი ფათურობს სეიფში და მერე ქაღალდის პატარა ნასვევი გამოაქვს. ხელი შლის ქაღალდს, – იქ მძივებია, ქარვის მძივები, მარცვალ-მარცვალ დაშლილი.

... ზურაბი შვილს უყურებს. წიგნს გადადებს.

– გინდა ვითამაშოთ?

– მინდა, – უკვირს ბაეშვს.

– აბა, დამიჭირე!

ზურაბი დიდი ნაბიჯებით დააბიჯებს მაგიდის ეარშემო. გია მთელი სისწრაფით მისდევს, მაგრამ ვერ ეწევა.

ზურაბი ღიმილის დროს ბაგეს არ შლის, – ასეთი ჩვეულება აქვს...

... ზურაბი უნებლიედ გაჩერებულიყო. შვილი დაწეოდა და მისი შარვლისთვის წაევლო სელი. მეგობელი ოთასიდან კვლავ ისმოდა ქალის სიმღერა.

– დაგიჭირე, დაგიჭირე! – ალბათ, მერამდენეჯერ უმეორებდა გია.

– ჰო, – თქვა ზურაბმა, – დამიჭირე, ყოჩაღ!

– დავამთავროთ თამაში?

მამამ თავი დაუქნია. ქალის სმა შეწყდა. ზურაბი ისევ სავარძელში ჩაჯდომას აპირებდა, როცა მისმა ცოლმა თეამ გადაკვეთა ოთასი.

თეა აბაგანაში შევიდა, იმპალატორი აიღო, პირში შეისხურა და თბილი წყლით ყელის გამოწმენდა დაიწყო.

ზურაბმა აბაგანასთან გაიარა და რკინის კაუჭით ჩაკეტა აბაგანის კარი.

გიაც მოვიდა, აბაგანის კარი დაკეტილი რომ დასვდა, სამგარეულოში შეიხედა. მამა შაქარყინულს მიირთმევდა. გია გამობრუნდა და აბაგანის კარს კაუჭი მოსსნა.

გია ცივი ოთასისკენ მიდის. ფანჯარას მიეპარა, ფარდას გადასწევს.

აქეთ ჩანს ეგო და მეგობელი სახლის აივანი. აივნის ღია კარში გოგონა დგას. გიას სნისა იქნება. ისეთი ლამაგია, ისეთი ლამაგი, რომ იქაურობას ანათებს.

გაშტერებით უყურებს გია ამ განათებულ გოგონას, მერე ფარდას ამოეფარება, დაიმალება.

დასასრული.

შეგირდი

რამაზ გიორგობიანი,
ბადრი ჭოსონელიძე

1993

დიდი სამშენებლო ობიექტის ჭიშკარს თეთრი "ვოლგა" მოადგა. მანქანიდან მსუქანი კაცი და ვაჟა გადმოვიდნენ.

კაცი – წამოდი, ვაჟა.

ეზოს სიღრმეში ვიღაც მუშა არმატურას გულმოდგინედ ღუნავდა.

კაცი – გამარჯობა, ილო.

ილო – გამარჯობა.

კაცი – შეგირდი მოგიყვანე.

ილომ ვაჟას გულგრილად შესედა და მუშაობა განაგრძო.

კაცი – მაინცდამაინც ნუ გაქაფავ. სასლშიც აღრე გაუშვი.

კაცმა ცსვირსასოცით შუბლიდან მტვერი მოიწმინდა და ვაჟას მსარზე ხელი დაარტყა.

კაცი – აბა, შენ იცი. მე წავედი. ბიძაშენი მელოდება.

კაცი მანქანისკენ გაბრუნდა. ვაჟა შუშებჩამტვრეულ ფარდულთან დარჩა.

ეზოში რკინის არმატურა უსისტემოდ ეყარა. მოპირდაპირე მსარეს, აგურის დაბალ ღობესთან, დაჟანგული რელსები და დაშლილი ამწეს რკინები ერთმანეთში არეულიყო. ღობესთან ორთქმავალმა ქშუილით რამდენიმე სატვირთო ვაგონი გაათრია და დაკეტილ ჭიშკართან თეთრ კვამლში გაესვია. მთელ ამ მიდამოში არც ერთი ხე არ იდგა – რკინა, ბეტონი, ტალახი, ბოლი და მტვერი.

ილოს ფარდულიდან რკინის მსხვილი მავთულები გამოჰქონდა და ხის ხიჭვებიან მაგიდაზე დამაგრებული ბერკეტით და მარტივი კონსტრუქციის რკინის ყალიბის დასმარებით სტანდარტულ ოთხკუთხედებად გრეხდა. ეს იყო მსარბეჭიანი, ძლიერი მამაკაცი. ვაჟა

მის მკლავებზე გრძელი კუნთების თამაშს უყურებდა.

ილომ მტვრით ამოვსებული, უფერული, გველივით ელიფსური და ცივი თვალებით ვაჟას გამოსედა.

ილო – ჩვენი უფროსი ბიძაშენია?

ვაჟა – დიახ.

ილო – მერე, უკეთესი ადგილი ვერ გიშოვა?

ილომ არმატურას თავი მიანება, ქაღალდის ფუთიდან ბუტერ-ბროდი ამოიღო, მაწვნის ქილა შეანჯღრია, იქვე ქვაზე ჩამოჯდა და მადიანად შეუდგა ჭამას. ვაჟამ ვეღარ მოითმინა.

ვაჟა – რა უნდა გავაკეთო?

ილომ ვაჟას სპორტული ჩანთა შეათვალიერა.

ილო – სპორტსმენი ხარ?

ვაჟა – ფეხბურთზე დავდივარ.

ილო – იქაც ბიძაშენი გესმარება?

ვაჟა – ჩემ მაგიერ ითამაშებს, თუ რა?!

უკვე აშკარად მტრულად უპასუხა ვაჟამ. ილოს გაეცინა.

ილო – როგორ სწავლობ?

ვაჟა – ნორმალურად

ილო – ორჯერ ორი რამდენია?

ვაჟა ილოს სერიოზული სახით დაკვირდა.

ვაჟა – ოთხი.

ილომ გულიანად გადაიხარხარა. ვაჟა ნელ-ნელა შებრუნდა და ეზოს გასასვლელისკენ წავიდა. ილომ მშვიდად გააყოლა მზერა. ბოლოს ბიჭს გასძახა.

ილო – ეეი!

ვაჟა ქვიშის გროვასთან შეჩერდა. ილო წამოდგა. კედელთან მიყუდებული ნიჩბებიდან ერთი ამოარჩია, ვაჟას გადაუგდო და საკაცეზე და საცერზე ანიშნა. ვაჟამ ნიჩაბი აიღო, ქვიშაში შეარჭო და საცერს მიაყარა. მტვრის ბუღი დადგა.

ღამეა. ვერტმფრენიდან ეხედავთ მრავალსართულიანი სახლის განათებულ სახურავს. ახალგაზრდები ცეკვავენ და ვერტმფრენს უყურებენ.

ვერტმფრენი ცოტა სანში სახლს შორდება.

სასურავზე სმამაღალი მუსიკის ქვეშ ცეკვები გრძელდება. ბავშვთა ჯგუფები ასაკობრივად არის დაყოფილი. ვაჟა თანაკლასელებთან ერთად, რომლებიც განცალკევებით ტოკავენ, თავის დას უთვალთვალებს. ოთხი წლით უფროსი ნანა სილამაზით და ეშსით ყველასგან გამოირჩევა.

ნანამ თავმომწონედ ჩაუარა ბავშვთა ამ ჯგუფს.

ნანა – რაო, ლაწირაკებო?!

ვაჟას მეგობრებმა – თიკამ და ნიკომ, გაუცინეს. ნანა, შუა მოედანზე, თანატოლ ბიჭთან, კაკუჩასთან ერთად აცეკვდა, რამაც ვაჟას ეჭვი და გაღიზიანება გამოიწვია.

გიტარის აკომპანემენტით, სიმღერის თანხლებით, ტელეეკრანზე ვხედავთ ქართველ მეომრებს, რომლებიც ავტობუსით საომარი ველისკენ მიემართებიან. ბიჭებს ფანჯრებიდან ავტომატის ლულები გადმუშვერიათ. შეტაკებების, აფეთქებების და ომის სხვა სურათები ერთმანეთს ენაცვლება.

ვაჟას და ნანას დედა, ლილი, შეშფოთებით მიშტერებია ეკრანს.

სავარძელში მოკალათებულმა სათვალიანმა კაცმა წიგნი ტკაცუნით დასურა, წამოდგა და ტელევიზორი გამორთო. გოგი საოცრად ჰგავს თავის დას, ლილის.

ბინაში ვაჟა და ნანა შემოვიდნენ. ვაჟა დას ხელით მოათრევს. ნანა იცინის.

ნანა – რა სულელია ეს ბიჭი.

ვაჟა – მამა არ მოსულა?

დედა ფანჯარასთან მივიდა, ამოიოხრა.

ლილი – რა გვეშველება, არ ვიცი, ასე რომ აგვიანებს, გული მიღონდება ხოლმე... მეშინია...

გოგი – ნუ გეშინია, მაგას მარტო არ გამოუშვებენ, მანქანით წამოიყვანს ვინმე.

ნანამ საკუთარ ორეულს შეხედა სარკეში და ნაღვლიანი, თითქოს დანამულიც გაუხდა დიდი და ლამაზი თვალები, მაგრამ რაღაც

წამით მაინც გაუღიმა ორეულს.

ნანა – ვასიკო აწი კარგ ფორმაში გამოგვეცხადება.

ლილი – ვინ არის შენი ვასიკო?! ის კაცი მამაა თქვენი.

ვაჟა – გაკლია.

ნანა – შენ თვითონ გაკლია. როგორი ერთნაირები სართ სამივე.

გოგიმ გოგოს სათვალის ზემოდან ცნობისმოყვარეობით გასედა.

გოგი – შენ?

ნანა – მე მერილ სტრიპს ვგავარ.

ლილიმ, რომელიც ფანჯარასთან იდგა, ნანას გამოხედა და ღიმილით გამოაჯავრა.

ლილი – შეგიწუხდა გული. მერილ სტრიპს ვგავარ!

გოგი – არა, შენ უფრო ლამაზი ხარ.

ნანა – ძალიან.

გოგი – ძალიან, ძალიან... რაიმე ფირფიტა ხომ არ დაგვედო?!

ნანა – დაგვედო.

ნანამ კიდევ ერთხელ შეაელო თვალი საკუთარ ორეულს სარკეში.

გოგიმ რაღაც ფირფიტა იპოვა.

გოგი – ვაპ, როდემდე შემორჩენია ვასიკოს ეს ფირფიტა. ინსტიტუტის მერე, ჯარში გაწვევის წინ მე და მამათქვენი შემოვრჩით სუფრას. იმდენჯერ მოვისმინეთ, იმდენჯერ გავიმეორეთ... ეპ, რა დრო იყო... ლილი, შენ მაშინ იცნობდი ვასიკოს?

ქალმა მისგან ზურგშექცევით თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. გოგიმ ფირფიტა დადო. გაისმა მელოდიური, ძველი სიმღერა.

გოგი – მე მგონი, ვეტიროდით მე და ვასიკო ამის მოსმენისას... რა ვიცი, იქნებ ნასვამებიც ვიყავით...

ნანამ ტაში შემოჰკრა.

ნანა – ვაპ, მაშინაც უბერავდა ვასიკო?

დედამ წყრომით გამოხედა.

ლილი – ნანა!

ოთახში მეზობლის ქალმა, ცაცამ შემოიხედა. იგი დაახლოებით 30 წლისაა. ზედმეტად დახატულ-შეღებილს მოკლე, უღილო ხალათი ტანზე შემოუტმასნია და, რომ არ გაესსნას, კალთებს ხელით იჭერს.

ცაცა – არ მოსულა ჯერ, სომ?

ლილი – არ მოსულა, ცაცა... შემოდი.

ცაცა – არა, არა, სადილი მაქვს დადგმული.

ცაცა მაღალქუსლიანი ქოშების კაკუნით გავიდა.

გოგი ლილისთან მივიდა და მსარზე სელი დაადო. ცოტა სანს ასე დგანან და ბნელ ქალაქს გაჰყურებენ.

გოგი – დამშვიდდი ლილი, პატარა ბიჭი სომ არ არის...

იმავე წამს სადღაც ახლოს ავტომატის ჯერი ახმიანდა. ლილი შეკრთა, სწრაფად შემობრუნდა, სავარძელში ჩაჯდა და თავი სელებში ჩარგო.

ლილი – აღარ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია.

ჩაბნელებულ ლოჯიაში ტასტზე ვაჟა წევს. ქუჩიდან შემოსული ლამპიონის შუქზე თვალები უელავს. ყოველი მანქანის მუსრუჭების ხმაზე ლოგინში წამოჯდება სოლმე...

ნანას უკვე ძინავს.

მეზობლად, განათებულ საძინებელ ოთასში ლილი ნერვიულად მიმოდის. ბიჭს სან დედიკენ აქვს ყურადღება და ხანაც ფანჯარაში იცქირება. გარეთ წვიმს...

გასაღების ხმაზე ლილი შემოსასვლელში გავარდა. თავიდან ფესამდე გალუმპული ვასიკო უკვე დერეფანში იდგა. იგი მოჩვენებითი მრისსანებით უყურებს ცოლს.

ვასიკო – სად იყავი მთელი დღე. სად ეგდე და ეთრიე?

ლილიმ აბაგანიდან პირსახოცი გამოიტანა და თავზე მოასვია. ოთახში შევიდნენ. ლილი სველი ტანსაცმლის გასდაში ესმარებოდა.

ვასიკო – სულ მთვრალი უნდა იყო? გასდა შენი მუცელი. ოჯახი, ცოლი, შვილი შენთვის არ არსებობს. გადაყევი სომ ქალებს?!. მიპასუხე, რომ გეკითხები, – ხმას აუწია ვასიკომ.

ლილი – ჩუმად, კაცო, ვაჟამ შენს ლოდინში ასლა დაიძინა.

ვასიკო – მოდი ჩემთან.

ლილი – შეიძლება ბავშვს არც სძინავს.

ვასიკო – რაც არ იწვის, არ ანათებს, უჩინარად ლპება ნელა,

მოდი დამწვი, სიყვარულო, მიაშუქე სადაც ბნელა!

კაცი წამოდგა, ლოჯიის კარი მისურა და ლოგინში მძიმედ ჩაენარცხა.

ვაჟამ საბანი თავზე წაიფარა...

პურის მაღაზიასთან უშველებელი რიგი დგას. შიგნით ვიღაც გაკაპასებული ქალი მაგიდაზე ხელს ურტყამს და გაპყვირის.

ქალი – ურიგოდ რატომ უშვებთ, რატომ?!

მანქანასთან ხალხი ერთმანეთს პურს ხელიდან გლეჯს. მოხუცი კაცი თავს ზემოთ წიგნაკს იქნევს.

მოხუცი – ომის ინვალიდი ვარ, ომის ინვალიდი!

ახალგაზრდა – ნაწლავებს ხელში დაგაჭერინებ შე დამპალო.

გაწეწილი და გაოფლიანებული ლილი რიგიდან ძლივს გამოძვრა. მკერდზე სამი პური აქვს მისუტებული.

დილით ვასიკომ თვალები ძლივს გაახილა. მის საწოლს ქალიშვილმა ჩაუარა და ლოჯიაში გავიდა. ვასიკომ გამშრალი პირი დააწკლაპუნა.

ვასიკო – რა იყო, რა?! არ მაპატიოთ ახლა ერთი ქეიფი.

ნანამ ლოჯიაში მძინარე ძმას ხელი გაჭრა.

ნანა – დაგაგვიანდება.

გოგოს გრძელი, თითქმის გამჭვირვალე ღამის პერანგი ეცვა. იგი სამზარეულოში შეავიდა.

ვაჟა წამოჯდა, საწოლიდან ფეხები ჩამოყარა და ოთახში მამას გახედა. ვასიკომ ამოიხვნეშა და ინატრა.

ვასიკო – ერთი ბორჯომი.

ტრუსებისამარა ვაჟაც სამზარეულოსკენ გაეშურა. ნანა ჩაის წრუპავდა. ზანტი მზერა სადღაც ჭერსა და მოპირდაპირე კედელს შორის მიებჯინა. ძმის შემოსვლაზე არ განძრეულა, ჩუმად დაიწყო ლაპარაკი.

ნანა – შენსელა ბიჭმა თავს მეტად უნდა მიხედო. გარეგნობა კარგი გაქვს და ცოტა უნდა შეიფერო. მგიამ მითხრა, შენი ძმა

რა თმაგაბურძგნული დადის, ვერ დავარცხნითო?!

ვაჟა ერთ წამს დაეჭვდა კიდეც, მე მეუბნება თუ სხვასო. თვითონაც ახედა კედელს. საინტერესო ვერაფერი შენიშნა.

ლილიმ ბინის კარი გააღო და საკიდის ქვეშ ფეხსაცმელები გამოიცვალა.

სამზარეულოში ყველა ჩაცმული დაუხვდა. ვასიო ონკანიდან წყალს სვამდა. ვაჟა უკმაყოფილო სახით მაგიდასთან იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა. ნანა მონდომებით უვარცხნიდა ჯიუტ თმას. რადიოთი მოსასლეობას ლტოლვილებისთვის დასმარებისკენ მოუწოდებდნენ.

ლილიმ სელები დაიკაპიწა და მაგიდის გაწყობას შეუდგა.

ლილი – ძლივს გადავრჩი. დასოცა სალსმა ერთმანეთი...

ვასიო – ესენი ვერ მოიტანდნენ პურს?! თქვენსელა ყველაფერში ვესმარებოდი დედას.

ლილი ბიჭს მიუბრუნდა.

ლილი – დაანებე იმ მშენებლობას თავი, შვილო. შენი სელფასი ბევრს ვერაფერს შეგვმატებს, სწავლაში კი სელს გიშლის. ვასიო, უთსარი რამე. ზოგჯერ გაკვეთილებს აცდენს.

ვასიო – ნწუ, ნწუ. ნწუ.

ლილი – შენ ყველაფერი ფეხებზე გკიდია. სომ შეიძლება საშემოდგომო გამოჰყვეს და კლასში მეორე წლით ჩარჩეს.

ვასიო – საწყალი, როგორ დაიჩაგრება...

ლილი – ჩემი ძმა რომ არ გვეხმარებოდეს, რა გეეშველებოდა?!

ვასიო – დავიღუპებოდით...

ლილი – ნამდვილად.

ვასიო – იმიტომაც მოაწყო ვაჟა მშენებლობაზე შავ მუშად.

ნანა – ოოჰ, რა გააჭირეთ საქმე დილიდან?!

მან ვაჟას თავი მიანება, მით უმეტეს, რომ ბიჭი უძალიანდებოდა და სამზარეულოდან გავიდა.

ვასიოს ნაბახუსევზე სუმრობის სურვილი ჯერ არ გასვლოდა. შვილი დააბეზღა.

ვასიკო – ე, შეხედე, ხელები კი არ დაუბანია.

დედამ წარბები შეჭმუხნა.

ლილი – ადექი, ახლავე.

ვაჟას გაეცინა.

ვაჟა – გესუმრება...

ლილი – მომსედე, ბიჭო, რა ჩაგიცვამს ეს. ხომ გაქვს სუფთა პერანგი? დღეს დილით გაგიუთოვე.

ვაჟა კარაქიან პურს შეექცევა და ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის სადარბაზოს თვალს არ აცილებს.

ლილი – ვასიკო, უთსარი რამე.

ვასიკო – შენ ხომ ეუბნები.

ლილი – მირჩიე, რა ვქნა, რა ენაზე ველაპარაკო?!

ვასიკო – რა გადამაყოლე ქალო! ჩაიცვას რაც უნდა. ასალი პრობლემები გამიჩინე ახლა...

ლილი – ვაჟა, ახლავე ადგები და გამოიცვლი.

ვაჟა (ჯიუტად) – რომ დავბრუნდები, გამოვიცვლი...

ლილი (ხმამაღლა) – ვაჟა!

ვასიკო შეწუხდა.

ვასიკო – არ მოგბეზრდა?

ლილი – აბა, მითხარი მაშინ, მასწავლე, როგორ მოვარჯულო ეს ბავშვი?

ვასიკო – ბავშვი კი არა, მთელი ღამე ჭლექიანივით ასველებდა. უყნოსე ერთი. თამბაქოს სუნით არის გაჟღენთილი.

დედამ ცხვირი ვაჟას სახესთან დაატრიალა. ვაჟამ სიცილით თავი უკან გასწია.

ვაჟა – ვერ გრძნობ, შენს გასაღიზიანებლად რომ ლაპარაკობს?

მან ფანჯარაში თიკა დაინახა, რომელიც სადარბაზოდან გამოსულიყო, და სიმღერ-ყვირილით სამზარეულოდან გავარდა.

ვაჟა – ჭუჭყიანი ვარ, ჭუჭყიანი, ცხელი წყალი რომ მოვა, პერანგსაც მაშინ გამოვიცვლი.

ლილიმ ხელები უსუსურად ჩამოჰყარა. მერე გაეღიმა.

ლილი – რა უნდა ელაპარაკო. სულელია ამოდენა ბიჭი. წყლის

გაცხელებას რა უნდა?!

ვაჟა კიბეზე გიჟივით დაეშვა. "შვიდ საფეხურს ერთად თუ გადავასტი, თიცას ვუყვარვარ". სმამაღლა ფიქრობდა იგი.

სადარბაზოდან კისრისტეხით გამოვარდა და იქვე დაგდებულ მუყაოს ყუთს ფეხი მოუქნია. ძლიერი დარტყმისგან მტვრიან ასფალტზე გადაკოტრიალდა. კოლოფის ქვეშ აგური აღმოჩნდა.

ვაჟამ მუხლი იტკინა, მაგრამ სიცილის ხმაზე სწრაფად წამოხტა და ირგვლივ მიმოიხედა. გადაბრუნებული და დამწვარი მანქანის ჩონჩხთან უფროსი ბიჭები იდგნენ და ხარხარებდნენ. მათ შორის უფრო ტანადი კაკუჩა გამოირჩეოდა. გამოხუნებული მედესანტის შარვალი და ნახევრად გახდილი ქუსლჩაჭყლეტილი ფეხსაცმელი ეცვა.

კაკუჩამ სიგარეტის ცარიელი კოლოფი მსხვილი შუათითის ძლიერი დარტყმით გახვრიტა. ვაჟას დამცინავად უყურებდა.

კაკუჩა – ბიჭო, მოდი აქ.

ვაჟა კოჭლობით მიუახლოდა, კაკუჩამ შეათვალიერა. ვაჟა მშვიდად იდგა.

კაკუჩა – წადი, შენს დას უთხარი, კაკუჩამ თქვა, ჩამოვიდესო!

ვაჟა – სკოლაში მაგვიანდება.

კაკუჩა – რაღა დროს შენი სკოლაა, ვაჟკაცი არა სარ? ომში რატომ არ მიდისარ?

ბიჭებს კვლავ გაეცინათ.

კაკუჩა – გეშინია?

ვაჟამ ხმა არ გასცა.

კაკუჩა – იმ გოგოს რას დასდევ? შენხელა ბიჭები ტანცებს დასდევენ უკან.

ვიღაც ბიჭმა გაისუმრა...

ბიჭი – ის გოგო ტანცი ჰგონია...

ამან ისევ სიცილი გამოიწვია. ვაჟას არც კი გაღიმებია. იგი კაკუჩას პირდაპირ თვალებში უყურებდა.

კაკუჩა – ჰო, კარგი. წადი.

ვაჟა ნელა შებრუნდა, მერე ნაბიჯს აუჩქარა და კოჭლობით თიკას დაედევნა.

ვაჟას ფეხის ხმაზე და ქლოშინზე თიკამ გამოსედა და ღიმილით დაელოდა.

თიკა – ოჰ, ვაჟა?! ამ ბოლო დროს როგორ ერთდროულად გამოვდივართ სახლიდან, არა?!

ვაჟა – ჰო.

თიკა – ალბათ, შემთხვევით?

ვაჟა – ალბათ.

თიკა – ფეხზე რა მოგივიდა?

ვაჟა – არაფერი ისეთი...

თიკა – იჩხუბე?

ვაჟა – არა.

ვაჟა ერთი წამით შედგა. გულზე ხელი მიიდო. მერე გაიღიმა. თიკამ თვალები ეშმაკურად მოჭუტა.

თიკა – ვისი გულისთვის იჩხუბე?

ვაჟა – ვისი გულისთვის უნდა მეჩხუბა?

თიკა – მითხარი რა!

ვაჟა – კარგი, თიკა, რა უნდა გითხრა?

თიკა – შეყვარებული ხარ?

ვაჟას გაეცინა. ეტყობა, სიამოვნებდა ეს თამაში. ჩანთების ქნევით მიაბიჯებდნენ ტყვიებით დაცხრილულ, დაჩეხილ ჭადრებსა და ფანჯრებამომწვარ სახლებს შორის, ხალხით სავსე პროსპექტზე. თიკა ვაჟაზე მაღალი იყო. იგი ყოველ სიტყვაზე ბიჭისკენ ისრებოდა, ულიმოდა, ბავშვივით ელაპარაკებოდა. თითქოს ეალერსებაო.

ხალხის სიმრავლისგან ცალ მხარეს გადახრილ ტროლეიბუსს უკან ბიჭები ჩამოკიდებულიან. ბოგი სასურავზეც ბის. შიგნით ყაყანია – "გაიწიეთ წინ; შუაში სულ თავისუფალია; სად გავიწიო, კაცო, ამ ქალს თავზე ხომ არ დავაჯდები? ვაიმე, დედა, ბედ მაბოლზე დამაბიჯა, უჰ, უჰ"... – ისმის აქეთ-იქიდან.

ვასიკო წინა სკამთან გადასრილი დგას. წამდაუწუმ მუჯლუგუნებს სთავაზობენ, იგი დაძაბულად იღიმება და ყველაფერს ითმენს. მის წინ, სკამზე, ორი თოთხმეტიოდე წლის ბიჭი ზის. ფანჯარაში იცქირებიან და ვითომ ვერ ამჩნევენ განაწამებ დედაბერს, რომელიც მათხოვარივით შესცქერის და მათ დანამუსებას ცდილობს.

ვიღაც კაცმა თავი გამოიდო.

კაცი – რა არის, რას ჰგავს, ბიჭებო, ეს? უფროსს ადგილი არ უნდა დაუთმოთ?

ერთ-ერთმა ბიჭმა, რომელიც ფანჯრიდან მოშორებით იჯდა და ლოყები დასცდომაზე ჰქონდა, თავი ზანტად მოაბრუნა.

ლოყებიანი – კარგი რა, ბიძა, ვერ ხედავ, ცუდად არის, ვერ დგება. – მიუთითა მან თავის მეგობარზე. ვიღაც თმააწეწილი დედაკაცი ბიჭებს გამოესარჩლა.

დედაკაცი – იქნებ, მართლა ცუდად არის ბავშვი, ცოდოა.

ლოყებიანმა თავი უკან გადააგდო.

ლოყებიანი – ჰო, რა, ცუდად არის. სახლში მიმყავს.

ყველა გაჩუმდა. ვასიკო ლოყებიანს დაკვირდა, საყელოში ხელი წაავლო, წამოაყენა და წყნარად უთხრა.

ვასიკო – ეგ ცუდად არის, შენ ხომ არ ხარ ცუდად?

ბიჭი განზე გაიქაჩა, მაგრამ ვასიკოსგან ვერ განთავისუფლდა.

ლოყებიანი – რა გინდა, ბიძაჩემო? ხელი გამიშვი.

ვასიკო – გამოდი აქეთ და ქალბატონი დასვი.

ამ დროს ტროლეიბუსი გაჩერდა.

ლოყებიანი – ე, ბიჭო, წამო, ჩვენი გაჩერებაა.

ავადმყოფი სსარტად წამოდგა, ორივე ჭინთვით გაძვრა სალხში და ტროლეიბუსიდან ჩავიდნენ. ქვემოდან ლოყებიანმა საოცარი უტიფრობით თითი ვასიკოს მიუშვირა.

ლოყებიანი – ბიძაჩემო, ჩვენ კიდევ შევსვდებით. შენ, გეუბნები, შენ!

ტროლეიბუსის უკანა კარს ფეხს ურტყამდნენ – გაღებას ითხოვდნენ. თმაგაწეწილმა დედაკაცმა ჩაილაპარაკა.

დედაკაცი – თქვენი შვილი რომ ყოფილიყო, ასე მოექცეოდით?!

უეცრად ვიღაც სათვალიანმა კაცმა ხმამაღლა თქვა.

სათვალიანი – ეგრე უნდათ მაგ ლაწირაკებს. სულ თავზე დაგვაჯ-დნენ.

მეორე კაცმა თავისი აზრი ორჭოფულად გამოთქვა.

კაცი – არ ვიცი, ესენი კი იცავენ სამშობლოს, და!

გვერდით მდგომმა სათვალიანს ირონიით შესედა.

– სუკის აგენტი!

სათვალიანი – გიცნობ მე შენ. შენ თვითონ ხარ სუკის აგენტი.

კაცი – ჰოდა, ყველას რომ იცნობ, იმიტომ ხარ სუკის აგენტი.

სათვალიანმა სათვალე მოისსნა, ხალხის თავებს ზემოდან კაცს ორივე ხელით საყელოში ჩააფრინდა და გინებით, თავის დარტყმა უნდოდა, მაგრამ ვერ მისწვდა და თავი სხვას ჩაარტყა. ხალხი აჩოჩქოლდა. უწმაწური სიტყვებით ერთმანეთს დაერია. რადგან მოძრაობის საშუალება ნაკლებად ჰქონდათ, მთელი ტროლეიბუსი ერთიანი ორგანიზმივით აქეთ-იქით ქანაობდა.

მძღოლმა დაამუხრუჭა და ხალხი წივილ-კივილით წინ მიაწყდა.

ვასიუომ თანამედროვე, სამსართულიანი ოფისის კარის მოოქ-როვილ სახელურს მოქაჩა და შენობაში შევიდა.

ავტომატიანმა ახალგაზრდა მცველმა კითხვით შესედა.

ვასიუო – გოგი აქ არის?

მცველი – დაკრეკავ. რა ვუთხრა, ვინ კითხულობს?

ვასიუო – ვასიუო.

მცველმა ნომერი აკრიფა.

მცველი – ბატონი გიორგი უნდათ... ვასიუო...

მცველმა ყურმილი დაკიდა.

მცველი – მესამე სართულზე აბრძანდით.

ვასიუო – ვიცი.

გოგის ფართო და ნათელ ოფისში ბევრი ხალხი ფუსფუსებს, ქაღალდებით დარბიან, ტელეფონების ზარი და საბეჭდი მანქანების კაკუნი ისმის. რამდენიმე კომპიუტერი და ვიდეოტელევიზორი ერთდროულად მუშაობს.

თვითონ გოგი, რომელსაც იღლიის ქვეშ ქამრით დამაგრებული პისტოლეტი აქვს, მაგიდებს შორის დადის და რაღაც მითითებებს იძლევა, ტელეფონის ყურმილი მიაწოდეს.

გოგი – ჰო, სამოცი მილიონი? რამდენი თვითმფრინავიაო? აიღე... მაგუთი?.. სად? აიღე...

ახლა სსვა ტელეფონთან მიიხმეს.

გოგი – ჰო... კარგი სამი მილიარდის... კარგი... რამდენი? ორას სამოცი პლუს ოცი... ეს პლუსი აფუჭებს საქმეს... აიღე...

ვასიოს დანასვაგე სელის აწევით მიესალმა და თავის მაგიდასთან სკამგე ანიშნა.

ვასიო მაგიდასთან დაჯდა. პროსპექტების თვალიერება დაიწყო. უმეტეს მათგანგე სხვადასხვა სასის იარაღი და მათი ტექნიკური მონაცემები იყო აღბეჭდილი.

გოგი შორეულ მაგიდასთან ტელეფონგე საუბარს მორჩა და ვასიოსკენ გამოემართა.

გოგი – ჰა, რამ შეგაწუსა, ბიჭო? სახლში როგორ სართ?

ვასიომ კითსვაგე არ უპასუხა, პისტოლეტგე მიუთითა და გაუცინა.

ვასიო – ეს რა არის გოგი? აღრე ნონჩაკოთი დადიოდი..

გოგიმ პისტოლეტი ამოიღო, მაგიდაგე დადო და სვნეშით დაჯდა.

გოგი – აღრე ბავშვი ვიყავი. ჰა, შენ ისე არ მოსვიდოდი. თქვი, რა გინდა, არ მცალია...

ვასიომ სიტყვებს დაუწყო ძებნა.

ვასიო – ჩვენი რედაქცია დაიხურა, უმუშევარი ვარ...

ამ დროს ვიღაც თანამშრომელმა გოგის ორი პროსპექტი მიუტანა.

თანამშრომელი – ორი ტიპის ავტომატია...

გოგიმ ერთ-ერთ პროსპექტს თავისი კოტიტა თითი დაადო.

გოგი – აი, ეს... და, გამიგე, რა თანსა შეგეიძლია გადავრიცსოთ გვარდიაში.

თანამშრომელი – კი, ბატონო გოგი.

გოგი კვლავ ვასიოს მიუბრუნდა.

გოგი – ჰო?

ვასიკო – რამით დამასაქმე, გოგი. ვაჟა კი მუშაობს შენთან, მაგრამ.

გოგიმ ამოისვნეშა.

გოგი – ბიჭო, რედაქცია კი დაისურა, მაგრამ სხვა ჟურნალი და გაზეთი აღარ არსებობს? ბოლოს და ბოლოს წიგნი გამოეცი, შე კაი კაცო.

ვასიკო – ფურცლის და კალმისტრის მეშინია. ყველაფერს ფასი დაეკარგა. სხვებისასაც ვერ ეკითხულობ, არ მაინტერესებს, ვფიქრობ, რა დროს ეს არის, ქვეყანა ინგრევა... არ ვიცი... ფსიქიკურად ვერ ვარ. ძალიან დაძაბულია ყველაფერი... გოგი, დამეხმარე.

ვასიკო გაჩუმდა და გოგის მიაჩერდა. გოგი ჩაფიქრდა, ყამზე გადაწოლილი, მაგიდაზე თითებს ათამაშებდა.

გოგი – ვასიკო, აქ შენი საქმე არ არის, მეტად მოქნილი უნდა იყო, შენ კი ტყუილი არ გესერსება. ხომ სედავ, პირდაპირ გეუბნები ყველაფერს. ჩემი დის ოჯახს არაფერს დავაკლებ. შენი ქეიფისთვის სამყოფი ფულიც ყოველთვის გექნება, მომისმინე, მშენებლობაზე შენ ვერ იმუშავებ და დახლში ხომ არ დაგაყენებ? ბოლოს და ბოლოს, სიძე ხარ ჩემი, შე ძველო!

გოგიმ გაულიმა. მერე ყამზე გადაკიდებული კოსტიუმიდან საფულე ამოიღო, რამდენიმე კუპიურა გადათვალა, მაგიდაზე გადაიხარა და ვასიკოს ფული ხელში ჩაუდო.

გოგი – მოგიფიქრებ რამეს.

ვასიკო თავის ხელს დააშტერდა.

სანამ თეთრთოვლას ჯუჯასავით ფუმფულა საშა მასწავლებელმა დაფაზე რუკა გაკრა, კარი გაიღო და კლასში სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი მარგო და სკოლის კოჭლი დარაჯი მაკარი შემოვიდნენ. ბავშვები წამოიშალნენ. საშამ დაუპატიჟებელ სტუმრებს გაკვირვებით შეხედა. მარგომ გაგანიერებული ვენებით მოჩუქურთმებული გამხდარი ფეხი დ'არტანიანივით წინ წადგა, დოინჯი შემოიყარა და დარაჯს მიუბრუნდა.

მარგო – სად არის, მაკარ?

მაკარი – აგერ, ა!

მაკარმა ჭერისკენ თითი აიშვირა. რაღაცა ძალით ზემოთ მიკრულ და დამწვარ ასანთის ღერს თავის გარშემო ჭერი გაეჭვარტლა.

საშა – ეს მე არ მინახავს.

მარგო – ვინ ქნა ეს?

კლასი დუმდა.

მარგო – ვინ არის დღეს მორიგე?

ვაჟა ბლაგნით წამოდგა.

მარგო – ახლა წელი გტკივა და ჭერზე რომ ასტე და ასანთი მოუკიდო ყოჩაღი ხარ, არა?

ვაჟა – მე რა შუაში ვარ?

მარგო – აბა, ვინ გაკეთა?

ვაჟა – არ ვიცი.

მარგომ ისტერიულად იყვირა.

მარგო – მე მატყუებ, შე რეგვენო?

ვაჟამ ხმა არ გასცა. კლასი გაინაბა. ნიკამ, ვაჟას უახლოესმა მეგობარმა და ვაჟას თანამერსელმა, გასამსნევებლად მცლაგზე ხელი მოუჭირა.

ნიკა – რეგვენო, რა შუაშია, მას? ვაჟა პატარა ბიჭი სომ არ არის, რომ უყვირით?!

მარგო მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა – ტონი უცებ შეიცვალა და ვაჟას დაუყვავა.

მარგო – გამოდი, ბიჭო, შენთვის უკეთესი იქნება, აღიარე, შემეშალა-თქო, აბა, ასე კარგია? შენ ჩემი არ გესმის და მე შენი! დედაშვილურად თუ გავუგებთ ერთმანეთს, ამას არ აჯობებს?!

ამ ფარისეველობას ვაჟამ ვერ გაუძლო, მარგოს თვალები მოარიდა და თავი ჩაღუნა.

ამ დროს მაკარმა ასანთს გაჭრა და წუმწუმა ზევით აისროლა.

მაკარი – აი, ასე კეთდება ეს.

ბავშვებმა სიცილით ტაში დაუკრეს. მარგომ კვლავ იყვირა.

მარგო – ხელები მაღლა. მაღლა, მაღლა! არ დაუშვათ. მე თქვენ

გაჩვენებთ სეირს. მაკარ, ყველა გაჩსრიკე, ვისაც ასანთი ექნება სკოლას დავატოვებინებ... დაგალპობთ ამ კლასში.

ვაჟა ჩხრეკისას თიკას უყურებდა. გოგოც ულიმოდა. ვაჟას გასაკვირად, ასანთი არავის აღმოაჩნდა. სამაგიეროდ, სანთებელა და სიგარეტი, გოგოების ჩათვლით, თითქმის ყველას ჰქონდა, მაგრამ მარგო ასანთს ეძებდა.

კაბინეტში, დირექტორის გარდა, ფიზკულტურის ახალგაზრდა მასწავლებელი ანზორი, საშა, მარგო და სკოლის დარაჯი მაკარია. თავდასრილი ვაჟა კართან დგას.

მარგომ პაპიროსს მოუკიდა.

მარგო – მშვენიერი სკოლა გვქონდა, ბატონო. მასწავლებლები თავზე ვყვებით. არა, მაინც გამოერევა ერთი-ორი, სარეველა ბალახივით. ეკალივით აქვს თავი ამოყოფილი და შხამავს ყველაფერს გარშემო... დადიან ბანდიტებივით ჩაცმულ-დახურულნი, თმის ვარცხნილობას ხომ ნუ იტყვი, იცოხნებიან პირუტყვივით.

ანზორი – ეწევიან პაპიროსს...

მარგო – ანზორ, შენი ჭირიმე, თავი დამანებე.

ანზორს გაეცინა. მარგომ პაპიროსი საფერფლეში ნერვიულად ჩააქრო.

მარგო – მაინცდამაინც ქუჩის გაკვეთილებს ითვისებენ. აქედანაა, ჭერში ასანთს რომ ისვრიან და ლამისაა დედა შეგვაგინონ.

საშა – იქნებ დამნაშავე არ არის ეს ბიჭი?!

მარგო – სულერთია, უნდა დაისაჯოს. ერთი დაისჯება, სსვები ჭკუას ისწავლიან.

საშა – როგორ გეკადრებათ, ეს ხომ უსამართლობაა?! ასე შეიძლება მასწავლებელი სამუდამოდ შევაზიზღოთ.

ანზორი – მართალია.

საშა – რა მანქანებით აკრავენ იმ ასანთს ჭერზე მეც კი მაინტერესებს.

მარგო – რაღა გვიჭირს?! აგერ მაკარს უთხარი და ის გასწავლის.

საშა – თუ ყოველ წვრილმანზე რეგვენი და ბანდიტი ვეძახეთ,

მართლა ეგონება, ასეთი ვარო. ეს კი იმის ტოლფასია, რომ დავკარგავთ ადამიანს, ეგების, როგორმე კონტაქტი დავამყაროთ ამ ხალხთან. ეგების... არ ვიცი... მერე ისა... ჰო...

საშამ სათქმელი ვეღარ მოძებნა, ტომარასავით ღრმა შარელის ჯიბეები დაბნეულად მოიჩხრიკა, დაგლეჯილი ცხვირსახოცი ამოიღო და მთელი აღშფოთება ცხვირის მოსოცვას ჩააქსოვა.

დირექტორი, შუახნის, სასიამოვნო იერის კაცი, თავდახრილი ისმენდა, მერე კართან ვაჟას გვერდით მდგომ დარაჯს გასედა.

დირექტორი – შენ რა გინდა? წადი, შენ საქმეს მისედე.

მაკარი – მე, არაფერი, მე... კი, ბატონო...

მაკარი გავიდა. დირექტორმა მზერა ვაჟაზე გადაიტანა.

დირექტორი – მოდი აქ.

ვაჟა მიუახლოვდა.

დირექტორი – რა გქვია?

ვაჟა – ვაჟა.

დირექტორი – გამაგებინე ერთი, თუ ძმა სარ, რას სჩადისარ? გესმის? სულელი სარ?

ვაჟამ ხმა არ გასცა.

დირექტორი – მავნებელი ხარ თუ ბრიყვი?

ვაჟამ ფეხი მოინაცვლა.

დირექტორი – ამხელა კაცი როგორ უნდა დაგსაჯო, ხომ ხედავ. შენხელა ბიჭები სიცოცხლეს არ იშურებენ, შენ კი ბავშვივით ასანთით თამაშობ.

ვაჟამ ფანჯარაში გაიხედა. დირექტორი ცოტა ხანს უხმოდ უმზერდა.

დირექტორი – ხომ ხედავ, რა ღლეშია რუსთაველი. ჩვენი სკოლა დაგვიწვეს და დაგვინგრიეს. შენნაირი ყოჩაღების გაკეთებულია ეს. ეს ქოხმახიც გინდათ გადაწვათ?

დირექტორი, პასუხის მოლოდინში, ვაჟას მიაჩერდა. ეტყობა, რომ საოცრად გაღიზიანებული და გაბრაზებულია, მაგრამ თავს იკავებს.

დირექტორი – არ გიფიქრია შენს ცხოვრებაზე? რა უნდა გამოხ-

ვიდე, რა კაცი დადგე, თუ ყალთაბანდობა გირჩევნია.

ვაჟა პირმოკუმული იდგა, დირექტორი სსვებს მიუბრუნდა.

დირექტორი – რა უნდა გამოვიდეს ამისგან?! ცოტა სანში ბნელ ქუჩაზე დამსვდება და დანას გამიყრის.

საშა – იქნებ დამნაშავე არ არის?

დირექტორი – ბატონო საშა, თქვენ მიბრძანდით, კლასს მისედეთ.

საშა – იქნებ ასანთი...

დირექტორმა მკაცრად მოუჭრა.

დირექტორი – მიბრძანდით, მე თვითონ გავერკვევი.

დერეფანში საშა მასწავლებელს ბავშვები შემოესვივნენ.

– რა ხდება მას?

– დირექტორმა რაო?

– სკოლიდან გარიცსავენ, მას?

საშა – სკოლიდან არავინ არ გარიცხავს, მაგრამ მე ის მაწუსებს, რომ თქვენში ერთ-ერთი ლაჩარია. სითამამე არ ეყო, თავისი დანაშაული ეღიარებინა და ახლა, მის მაგიერ, ვაჟამ უნდა აგოს პასუხი.

ნიკამ საშას შლაპა მიაწოდა, საშამ დაიხურა.

ნიკა – მას, სულ წავალთ სკოლიდან. ათასი კაცი შემოდის ამ სახლში. ვაჟას თავი დაანებონ.

საშა – მეც მაგას ვამბობ.

ნიკა – ჰოდა, ეგრე.

პროსპექტზე საშა მასწავლებელი და ვაჟა მოაბიჯებენ. ისინი დამწვარ და დანგრეულ შენობასთან გაჩერდნენ. საშამ ამოიოხრა.

საშა – მთელი სიცოცხლე ამ სკოლაში გავატარე. აქ დავიწყე სწავლა და აქ გავხდი მასწავლებელი... ნეტავი მე დავმწვარიყავი და ამას არაფერი დამართოდა. თითქოს გული ამომაგლიჯეს მკერდიდან.

გგა განაგრძეს. ვაჟა მოუსვენრად ცმუკავს, ქუჩის საათს უყურებს.

საშა – ნურაფრის ნუ გედარდება, მთავარია, რომ მართალი ხარ... ნუ მიაქცევ ყურადღებას. შეიძლება, ერთი-ორჯერ შეგვეშა-

ლოს, მერე რა? ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვინდა გაგება.

ვაჟა – დიას.

ვაჟას გაეღიმა.

საშა – მე, პირადად, ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი. მე შენი მჯერა, ვაჟა.

საშამ ვაჟა ეჭვით შეათვალიერა.

საშა – ჭერი შენ ხომ არ დაგიწვავს?

ვაჟას გაეცინა.

ვაჟა – არა, მას. შეიძლება წავიდე? მეჩქარება. ნასვამდის.

ვაჟა გაიქცა. საშა მარტო დარჩა.

სასლი, რომელშიც ვაჟა ცსოვრობს, მრავალსართულიანია. ამ სახლის ბრტყელი სასურავი იმ ფუნქციას ასრულებს, რაც ადრე ეზოს ეკისრებოდა – გაფენილია სარეცსი, გოგონები კლასობანას თამაშობენ, ბიჭები წრეში ჩამჯდარან და კარტით ერთობიან, იქვე ფული უყრიათ. უკრავს მაგნიტოფონი, რამდენიმე წყვილი ცეკვავს, ყმაწვილები იარაღში ჩამჯდარი ახალგაზრდა კაცის გარშემო დგანან და მის ამუნიციას აფასებენ.

– პისტოლეტია.

– ნაგანია, ბიჭო.

– ბარაბნიანს რევოლვერი ჰქვია.

– ნა-გა-ნი! "ლიმონკა" რომ აგიფეთქდეს, არ გეშინია?

– ასაფეთქებელი ამოღებული ექნება.

ბოგი ფრთხილად, რომ არ გადაუვარდეთ, ბურთსაც კი თამაშობს.

ვიღაც ქალს სსვენიდან შლანგი აქვს გამოყვანილი და გასურებულ სასურავს რწყავს.

ცაცა შეგლონგში მის, ხალათი გადახსნილი აქვს, ბრეტელები ჩამოწეული და თვალდასუჭული მგის აბაგანებს იღებს.

იქვე, მოაჯირს ნანა მიყუდებია და ქალაქს გადასცქერის, რომელიც ამ სიმაღლიდან მთლიანად მოჩანს.

სასურავგე დაღლილი ვაჟა ამოვიდა. თვალებით ნანა მოძებნა, მასთან სწრაფად მივიდა და ბოსტნეულით სავსე ბადე-ხელჩანთა წინ დაუდო.

ვაჟა – გასაღები სომ შენ გაქვს? მერე სასლში ჩაიტანე. ეს შაქრის და ზეთის ტალონებია, სასლმმართველობიდან წამოვიღე. დედას მიეცი. მე სამსასურში გავრბივარ.

ვაჟა ჩქარი ნაბიჯით გაშორდა და სასურავიდან ჩავიდა.

ცაცამ გვერდი იცვალა. შიშველი ფესები უფრო მეტად გამოუჩნდა.

კაკუჩა, რომელიც კარტის მოთამაშეებთან ჩაცუცქულიყო, წამოდგა და რეზინის ღეჭვით ცაცასკენ გაემართა, ცაცას შეშლონგთან ჩაიცუბა, ხალათი შიშველ მუხლებზე გადააფარა და ფოლაქების შეკვრა დაუწყო.

ცაცა ირონიით უყურებს. კაკუჩაც ღიმილით თვალებში მისჩერებია. ცაცამ წამოიწია, ჩასსნილ პერანგში ხელი ჩაუყო და შიშველ მუცელზე მოუფათურა.

ცაცა – მე გიცრავ ფოლაქებს? გეკითსები, მე გიცრავ?

ამ დროს ვიღაც პატარა ბიჭმა ქალს შლანგი გამოსტაცა და კაკუჩას წყლის ძლიერი ჭავლი მიუშვირა. კაკუჩა წამოსტა, ნანას ხელები ჩაავლო და წინ აიფარა. ნანამ წივილ-კივილი მორთო.

ბიჭების ჯგუფს ერთი წაბლისფერთმიანი გამოეყო. ბიჭს შლანგი გამოართვა და წყლის ჭავლი ნანას მოაშორა. ეს ვანიკოა. კაკუჩამ ბიჭი თვალით გაზომა. ვანიკოც უყურებს, მათ შორის რაღაც დაიძაბა, უცებ ვანიკომ წყალი ცაცაზე მიუშვა, ცაცამ იყვირა.

ცაცა – რას შვები, ბიჭო?!

მერე სიცილი აუტყდა, მკლავები გაშალა და წყალს მკერდი მიუშვირა.

ცაცა – ცოტა ზემოთ დამასხი... ასე, ა, ყოჩაღ შენ.

დამწვარი სკოლა გარედან უკვე თითქმის მთლიანად შეკეთებული და შელამაზებულია. ვაჟა და მისი ოსტატი ილო მეოთხე სართულზე მუშაობენ. ილო, როგორც გვახსოვს, მეტი რომ არ ვთქვათ, სასიამოვნო შესახედავი არ არის. ჭუჭყიანი, თავზე მტვრიანი ბერეტით, მაღალი და მოუხეშავი, ეტყობა, ძალიან ღონიერია, დოლის ჯოხებივით თავში გასიებულ, მრგვალ თითებზე, კომბოსტოსავით დახეთქილი შავი ფრჩხილები აქვს.

ისინი ელექტროგაყვანილობისთვის კედლებში ღარებს აკეთებენ. ვაჟა სწრაფი და ზუსტი მოძრაობით მავთულებს ჩამრთველს უერთებს და სპეციალურ ბუდეში ამაგრებს.

ბევრდით ოთახში მეორე ბრიგადა პირდაპირ იატაკზე დომინოს თამაშობს. ერთ-ერთი მათგანი, ახალგაზრდა იასონი, წამოდგა, ვაჟას და ილოს გამოხედა. ვაჟა ჩამრთველებიდან მძიმე ყუთს დაეჯაჯგურა. იასონმა ილოს შეუბღვირა.

იასონი – ხელთათმანები ვერ მიეცი? ხელები ვინდა გაიფუჭოს?

ილომ ყუთი უსმოდ დაიიღლიავა და ოთახიდან გავიდა. იასონმა ვაჟას თავისი ხელთათმანები გაუწოდა.

ვაჟა – არ მინდა, გმადლობთ.

იასონი – აიღე, უფროსი რომ გეუბნება, აქ მორჩით?

ვაჟა – დიახ.

იასონმა ოთახი მოათვალიერა, მძიმე კიბე მსარზე მოიგდო და შემდეგ ოთახში გაიტანა. ვაჟა უკან გაპყვა.

ვაჟა – გმადლობთ.

იასონი – არაფრის. რა გქვია? დამავიწყდა.

ვაჟა – ვაჟა.

იასონი – ჩემო ვაჟა, ბიძაშენს რომ ვთხოვო, აქვე სასადილოში მომაწყვე-თქო, გამიცეთებს?

ვაჟა შეიშმუშნა.

იასონი – ბიძაშენი ჩვენი უფროსი არ არის?

ვაჟა – დიახ.

იასონი – მებუფეტად რომ მომაწყოს... რა უნდა ამას?

ვაჟამ ხმა არ გასცა.

იასონი – შენ რომ უთხრა?

ვაჟას შეეშინდა.

ვაჟა – არა, მე ვერ ვეტყვი.

იასონი – ბიჭო, მე კი არ ვამბობ, ახლავე-თქო.

ვაჟა – არა, იცით...

იასონმა მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრა.

იასონი – კარგი, მერე ვილაპარაკოთ. ეე, ჯერ რამდენი დროა

წინ. ვატყობ, დავძმაკაცდებით... შესედე ილოს.

ფანჯრიდან დაბლა ტროტუარზე ჯისური მოჩანდა, სადაც ილო ბოთლიდან "პეპსის" სვამდა.

იასონი – დიდი უემური ვინმეა. ბიჭები კვაზიმოდოს ვეძასით. შენ მაგის ნუ შეგეშინდება, თუ რამე გაწყენინა, მე მითსარი, ეგ თუ ისვენებს, შენ ვერ დაისვენებ?! წადი გაიარ-გამოიარე.

იასონმა კვლავ დაჭრა მსარზე სელი და დომინოს მოთამაშეებს დაუბრუნდა.

ვასიკო დასლთან წიგნებს ათვალიერებს. დანტეს შავ ყდაში ჩასმული ტომი აიღო. შურით და დიდი სურვილით შეათვალიერა.

ვასიკო – რა ღირს?

გამყიდველი – ასორმოცდაათი.

ვასიკომ წიგნი დასლზე დადო.

ვასიკო, ეგრეთ წოდებულ, ნასატების გამოფენას ათვალიერებს ფოსტის შენობასთან. ერთი ნასატი მოსწონს, მაგრამ ფასს არც კითსულობს.

სასინკლესთან, ქუჩაში, ჯიბეებში სელებჩაწყობილი ვასიკო დგას და უსაქმოდ აქეთ-იქით იყურება.

თითქმის ყველა სესთან ნაგავი ყრია. ცელოფანის პარცებს ძაღლები და კატები ერთად ქექავენ. ვირთსამ გაირბინა და ერთ-ერთი სახლის სარდაფში ჩაძვრა.

ხალხით გაჭედილმა ტრამვაიმ ჩამოიარა.

ვასიკოს სასინკლედან შუშაზე ვიღაც კაცებმა დაუკაკუნეს. ვასიკომ ჯიბეები ამოიტრიალა და აჩვენა, ფული არ მაქვსო. სასინკლედან ხელები დაუქნიეს, მოდი, მოდი, ჩვენ გვაქვსო.

სასინკლეში ბუღი დგას. ხინკალს ერთქლი ასდის. სიგარეტს ეწევიან. კათხებში ქაფიანი ლუდი ისხმება. დასლიდარს ქაბაბს და ხინკალს ხელიდან ართმევენ. მოაიერთის თეფშზე ერთი ან ორი ხინკალია. მაგიერებს შორის კარგად ჩაცმული ასალგაზრდა კაცი დადის და იხვეწება.

კაცი – ფული მაჩუქეთ, რა!

ხუთმანეთიანებს და თუმნიანებს სელში უკუჭავენ. აქ შეიარაღებული ხალხიცაა.

კუთხეში ორი მამაკაცი რაღაცაზე დავობს. ერთმა პისტოლეტი ამოიღო და მეორეს ემუქრება.

მამაკაცი – გაგისვრიტავ შუბლს, გაიგე! გაგისვრიტავ შუბლს.

ამ სცენას ერთი-ორმა მოსედა, დანარჩენნი ყურადღებას არ აქცევენ.

ვასიკო სამ მეგობართან ერთად უკვე შემარხოშებულია. თანამესუფრენი სხვადასხვა ასაკის არიან, მაგრამ ეტყობათ, ერთ წრეს ეკუთვნიან – გალოთებულ ხელოვანთა და ინტელიგენტთა წრეს. ერთ-ერთი მათგანი, გაჩეჩილწვერიანი, ჩამოსიებულქუთუთოებიანი ვატო, ალკოჰოლისგან ჩასლეჩილი სმით ლაპარაკობს.

ვატო – ქვეყნიერება დაღუპვისკენ მიექანება. ეს ყველაფერში იგრძნობა... ფიზიკურად ვგრძნობ ამას. დედამიწა, ჩვენთან ერთად ტრიალით მიჰქრის უფსკრულისკენ... დიდი ბათქი, ცეცხლი და უბედურება მოსდება ცოტა სანში და ამისკენ ჩვენ თვითონ ვუბიძგებთ – სელს ვკრავთ ჩვენი ამორალური ბრასვებით, ჩვენი აგრესიულობით. არა, არსებობენ წმინდა ადამიანებიც, მაგრამ სულერთია, მაინც ყველა ერთად დავიღუპებით – ცუდებიც და კარგებიც. ჩვენ ერთ ფაეტონში ვსხედვართ და ქვესკნელისკენ მივექანებით. ამიტომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. აპოკალიფსის წინ მაინც მოვეფეროთ, დავამშვიდოთ, სიცოცხლე გავუადვილოთ... ცოდვები შევუნდოთ ერთმანეთს... გაუმარჯოს სიყვარულს, ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარულს, ადამიანურობას.

ჭიქები მიუჭასუნეს, არაყი გადაჭრეს და სინკალი დააყოლეს.

ვატო – უპ, რა ხინკალია, ბიჭო!

სასინკლეს ფანჯარასთან ნანა და ვიღაც ახალგაბრდა სანდომიანი ბიჭი შეჩერდნენ. ღიმილით საუბრობენ. ნანამ ბიჭს საყელო გაუსწორა. ბიჭმა შუბლიდან თმა გადაუწია.

ვასიკო გაკვირვებული უყურებს თავის ქალიშვილს. სხვებიც ამ წყვილს ადევნებენ თვალს.

ვიღაც – ეს ვანიკოა, ჩემი მეგობლის შვილი. კარგი ბიჭია.
სხვა – გოგოსაც არა უშავს.

ღამეა. ვაჟა ლოჯიაში ტახტზე წევს და ბალიშზე მიყუდებული მისჩერებია დედას, რომელიც ქსოვს. ვაჟა ხელში ქარვის მძივს მარცელავს.

ვაჟა – დედა.

ლილიმ თავი არ აწია.

ლილი – დაიძინე, აწი მოვა მალე. შენ დაიძინე.

ვაჟა – ნანა?

ლილი – ცაცამ მითხრა, მე დამირეკაო, კინოში შევდივარ და არ ინერვიულოსო.

ვაჟა – ხომ შეიძლება, კინო ორსერიანი იყოს.

ლილი წამოდგა, ტელევიზორი ჩართო. მერე ვაჟასთან მივიდა და ჯემპრის მკლავი მიაზომა.

დიქტორი – ნაპოვნია უცნობი მამაკაცის გვამი; მისი ვინაობა დადგენილი არ არის. როგორც გამოირკვა, იგი ინფარქტით გარდაიცვალა და დიდხანს ეგდო ქუჩაში. ბანდიტებმა დრო იხელთეს და მამაკაცი სრულად გაძარცვეს. ზედა საცვალიც კი არ დაუტოვეს...

ეკრანზე ვსედავთ პროგექტურას და მაგიდაზე გაშიშვლებულ ცხედარს.

დიქტორი – მიმდინარეობს ძიება. თუ ვინმე ამოიცნობს გვამს, მოგვაკითხეთ სანაპიროზე, სასწრაფო დახმარების პუნქტში.

ლილი შეშფოთებით აკვირდება გარდაცვლილს. ამ დროს ქუჩიდან ავტომატის კაკანი და მის პასუხად აფეთქების ხმა გაისმა. ლილიმ ხელები ყურებზე იტაცა.

ლილი – ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. დაიძინე, – უთხრა მან ოდნავი გაღიზიანებით შვილს და ლოჯიის კარი გაისურა.

დიქტორი – ... ახლა სპორტი და ამინდის შესახებ.

ვასიკო უკვე შემოსასვლელში იყო და კარიდან გასაღების გამოძრობას ამაოდ ცდილობდა. ცოლის დანახვაზე გასაღებს ხელი უშვა.

ვასიკო – სულ მთვრალი უნდა მოდიოდე სასლში?

ლილიმ სმა არ გასცა, გასაღები გამოაძრო და კარი მისურა. ვასიკო ოთახში შებანცალდა.

ვასიკო – სად არიან ჩემი ძვირფასი შვილები?

ვაჟა ლოჯიაში იდგა და მამას წყნარად უღიმოდა.

ლილი – ვაჟა, დაიძინე, დაწექი.

ვასიკო – რა უნდა დაიძინოს, არყით არის გამომსყდარი. თავბრუ ხომ არ გესვევა, შვილო, გული ხომ არ გერევა?

ლილიმ პერანგი თავზე გადააძრო, საწოლზე მიაწვინა და ფეხსაცმლის გახდას შეუდგა. ვასიკოს თვალები უკვე დაესუჭა და ძილბურანში ბურტყუნებდა.

ვასიკო – ფაეტონით მივექანებით ადამიანისკენ.

უცებ ლოგინზე წამოჯდა.

ვასიკო – ნანა სად არის?

ლილი – დაიძინე, კინოშია.

ვასიკო – ეგეც ჩემსავით მთვრალი მოვა.

იგი უეცრად მოეშვა, საწოლზე მოწყვეტით დაეცა და ხვრინვა ამოუშვა.

დილაა. ვაჟა სამგარეულოში საუბმობს და ფანჯარაში მოპირდაპირე სახლის სადარბაგოს უყურებს. ლილი ჭურჭელს რეცხავს. სამგარეულოს კარში პერანგისამარა ნანა გაჩერდა და გაიმმორა.

ნანა – დედა, მოდი, ლეკვი ვიშოვნოთ სადმე ან თევზები, აკვარიუმი ვიყიდოთ.

ნანა პასუხს არ დაელოდა და ოთახში შევიდა. ვაჟას გაეცინა.

ვაჟა – სულ აურია ამ ბოლო დროს.

ვაჟამ დედას გადახედა. ქალს თხელი მსრები უთრთოდა. ვაჟამ ვერ მოითმინა, მიუახლოვდა და ბეჭზე აკოცა. გაღიმებულმა ლილიმ გამოსედა. სველი ხელი ამოისვა თვალებში. ამით სახეც გაიწყლიანა.

ლილი – შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა.

ამ დროს ვაჟამ დაინახა თიკა, რომელიც თავისი სახლის სადარბაგოდან გამოვიდა და წავედის ყვირილით სამგარეულოდან თავქუდ-

მოგლეჯილი გავარდა.

"დინამოს" სტადიონის სათადარიგო მოედანზე ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. მწვრთნელი, შუასნის ჯმუსი, ფეხებგაღუნული კაცი მინდვრისკენ ყვირის.

მწვრთნელი – საით აწვდი, ზაურ?.. ეი, კოსტა, შენ თვითონ, შენ თვითონ... თფუი...

ლურჯ სპორტულ კოსტიუმში კარგად ჩანს მისი ულამაზო კუნთები, თავზე, ასევე სპორტული, ფუნჯიანი ჩაჩი ახურავს.

მოედნისკენ აქოშინებული ვაჟა მორბის.

მწვრთნელმა უკმაყოფილოდ გასედა, თითი დაუქნია.

მწვრთნელი – მოი აქ!

ვაჟა – გისმენთ!

მწვრთნელი – სულ უნდა აგვიანებდე, ბიჭო?! მიდი, კოსტა შეცვალე.

ვაჟამ სასწრაფოდ გახდა დაიწყო. მწვრთნელი მეავე სახით უყურებს. ვაჟა მოაჯირს გადაასტა.

მწვრთნელი – ჰმ, გისმენთ!

ირონიით გაიმეორა მწვრთნელმა.

იმავე წამს ბურთი ვაჟას მიაწოდეს. მან ფესებშუა გაატარა. უკან დადარაჯებული ფეხბურთელი მოტყუვდა, გაცურდა და ბალასზე მთელი სიგრძით გაიშალა. ვაჟამ ბურთს მარჯვნივ გაჭრა და წაქცეულსა და მეორე ფეხბურთელს შორის გაძვრა. მეორე ფეხბურთელს ძლიერად მოქნეული ფესი ბურთზე აუცდა, წონასწორობა დაკარგა და იქვე ჩაიმუსლა. პირველი ბიჭი წამოსტა და ვაჟას ძლიერად პანჩური ამოარტყა. გუნებაგაფუჭებული ვაჟა ადგილზე გაქვავდა. ბურთი სსვებმა გაიტაცეს. ვაჟამ სათადარიგოთა სკამისკენ გაისედა. მწვრთნელმა დამცინავი მზერა მოარიდა.

მწვრთნელი – ჰმ, გისმენთ! დოყლაპია. რა უნდა გამოვიდეს ამისგან.

დამწვარი ყოლის განასლებული შენობა.

სადარბაზოში რკინის სოლით და მძიმე ჩაქუჩით სართულსა და სართულს შორის ჩაცემენტებული იატაკის გასვრეტა ძნელი საქმეა. ვაჟა ერთ ასეთ სვრელს აკეთებს, ოფლშია გასვითქული, მაგრამ სიამოვნებით მუშაობს – სანდასან ჩაქუჩს გვერდზე გადადებს, მკლავებზე კუნთებს ისინჯავს და ჯაფისგან აკანკალებულ ხელებს ღიმილით უყურებს.

ქვედა სართულზე ილო უკაკუნებს. ვაჟა უნებურად ცდილობს რიტმში მოხვდეს, ჩაქუჩი რიგრიგობით დაარტყან.

ვაჟას გვერდით იასონმა ჩაიმუსლა.

იასონი – ერთად წავიდეთ.

ვაჟა უცებ მისვდა, რომ ეს წასვლა ბიძამისს ეხებოდა.

ვაჟა – არა, მაპატიეთ. მე არ შემიძლია. დიდი ბოდიში.

იასონმა უყურა, უყურა და თავში ხელი მაგრად წამოარტყა.

იასონი – ეჰ, წადი, შენი დედაც...

ილო, რომელიც შეუმჩნეველად მათ სართულზე ამოსულიყო, იასონს საყელოში სწვდა და კედელზე მიაჭყლიტა. იასონს სული შეუგუბდა. შიშისგან თვალები გაუფართოვდა, ილომ თავისი შემშარავი თითი ცხვირის წინ კარგა სანს უქნია.

ვაჟამ მოლარეს ხელფასი გამოართვა, რიგიდან გამოვიდა და ფულის დათვლა დაიწყო. მასთან ბიძამისის მდივანი ქალი მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა.

მდივანი – ვაჟა, მერე ბიძაშენთან მიდი. გეძახის.

კაბინეტში ბიძამისის პირდაპირ იასონი იჯდა. გოგი ბიძიამ მძიმე თვალები ვაჟას მიაპყრო და იასონზე ანიშნა. ვაჟამ იასონს გადასედა. გოგიმ სმას აუწია.

გოგი – თუ ამდენი შეგიძლია, რაღა ჩემთან აგბაენი, მოაწყვე შენ თვითონ საქმე.

იასონი სარკასტული ღიმილით წამოდგა, ქუდი თავზე მოიგდო და კაბინეტიდან გავიდა.

გოგიმ სიგარეტი ჩააქრო, ამოისვნეშა.

გოგი – ბიჭო, რა უფლებით პირდები სსვებს ჩემს მაგიერ სამსასურში მოწყობას?

ვაჟა – არავის დაეპირებივარ.

გოგი – მისმინე. უკვე ამსელა კაცი სარ. პასუხისმგებლობის გრძნობა არ უნდა გაგაჩნდეს? შენ ჩემგან ოდესმე საყვედური მოგისმენია?

ვაჟა – არა.

გოგი – იცი, რომ მიყვარსარ. ამიტომ ვღელავ შენზე. რა გაინტერესებს ამ ცხოვრებაში. რა მიზანი გაქვს? თუ უბრალოდ, დილით უნდა ადგე, პირი დაიბანო, მერე დაწვე და დაიძინო? ეს არის მთელი შენი ცხოვრება? რა უნდა გამოვიდეს შენგან, გააზრებული გაქვს შენი მომავალი?

ვაჟამ ფესი მოინაცვლა.

გოგი – ხომ სედავ როგორი ცხოვრებაა, სომ სედავ რა დღეშია დედაშენი, როგორ წვალობს.

ვაჟამ დაღლილი თვალებით შეხედა და ოდნავ გაუღიმა.

ვასიკო რედაქტორის კაბინეტში მის. რედაქტორი მისი სნის კაცია.

რედაქტორი – ყველაფერი მესმის. ვიცი, ძალიან გიჭირს, მაგრამ ყველა შენ დღეშია. ამის გამო შენი საქმე სომ არ უნდა მიაფუჩეჩო? ვასიკო, მე შენთვის ვლაპარაკობ. კი ბატონო, დავბეჭდოთ ასეთი სახით, გინდა?

ვასიკომ გაურკვევლობის ნიშნად სელები გაშალა.

ვასიკო – არა, ასე დამადლებული რად მინდა?

რედაქტორი – შენი გმირი თოთსმეტი წლისაა და ინფარქტით კვდება. მართალი გითსრა, ასეთი რამ ლიტერატურაში არ შემსვედრია და თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ამ ინფარქტამდე სომ უნდა მივიდეს. რამ მოკლა ეს ბიჭი? არაფერი ხდება მის ცხოვრებაში ისეთი, რომ ინფარქტით გარდაიცვალოს. შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ეს ნაწარმოები ოცი წლის წინ იყოს დაწერილი. აი, ჩვენი გაძაღლებული დრო რომ იყოს. ეს სისასტიკე და დაუნდობლობა

რომ აჩვენო, მაშინ მართლა შეიძლება ამ კარგ ბიჭს რამე დაემართოს. მამამისის ლოთობაც ხომ შეიძლება დღევანდელი ცხოვრების აუტანლობას გამოეწვია?! წიგნი ხომ უნდა გაიყიდოს, ვასიკო? თქვენ კი, უმეტესობას, არავითარი ძარღვის ჩადება არ გსურთ. მთელი მსოფლიო სექსზე, მკვლელობებზე, ომების აღწერაზეა გადასული. სულისშემძვრელი ამბავი უნდა იყოს, კაცმა თვალი რომ ვერ მოსწყვიტოს.

რედაქტორმა ნაბეჭდი ფურცლები ააფრიალა.

რედაქტორი – ეს სულ წყალია. უკვე სხვა დროა, ვასიკო. ყველა კომერციაზეა გადასული.

ვასიკო – გასაგებია.

რედაქტორი – რა არის გასაგები?

ვასიკო – წავიღებ და კიდევ ვიმუშავებ.

რედაქტორი – დროზე მოიტანე, დროზე. ასლა მომავალი წლის გეგმას ვადგენთ. შეეცადე ერთ თვეში ჩაეტიო.

ვასიკომ მაგიდიდან საქაღალდე აიღო. დაფიქრებით გადაფურცლა და ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. რედაქტორმა ყურადღებით შეათვალიერა იგი.

რედაქტორი – მე რა შემიძლია? თუ გინდა ერთი თვით სელშეკრულებას დაგიდებ. სელფასს აიღებ.

ვასიკოს ნაღვლიანად გაეღიმა.

ვასიკო – მადლობელი ვიქნები.

ვაჟამ კარი გააღო და დაიღლიავებული თევზებიანი აკვარიუმი ოთახში შეიტანა, მაგიდაზე დადგა.

ნანა სადღაც წასასვლელად ემზადებოდა. აკვარიუმის დანახვაზე ტაში შემოჰკრა და გადაიკისკისა.

ნანა – რა სულელი ხარ, ბიჭო.

ვაჟა – შენ არა თქვი, აკვარიუმი ვიყიდოთო?

ნანა – ჩემი მმრუნველი ძამიკო!

ნანამ ვაჟას ლოყაზე აკოცა და აკვარიუმზე თევზებს თითით დაუკაკუნა, მერე ჩანთა მხარზე მოიგდო, სარკეში თავი შეათვალიერა

და კარი გაიხურა.

ვაჟა ფანჯარასთან მივიდა.

ქუჩებში, სსვადასსვა სახლების სადარბაზოებთან, შავებში ჩაცმულ ხალხს მოუყრია თავი. ზოგან პანაშვიდია, ზოგან – გამოსვენება. ისმის ტირილის და გოდების ხმა.

ჩვეულებრივი პატარა საპარიკმახერო. მოხუცი სელოსანი ჰამო ვაჟას კისერზე თმას· უსწორებს და თან თავის ახალგაზრდა კოლეგას, რომელიც ცარიელ სავარძელში ჩამჯდარა და უსაქმობისგან საკუთარ ულვაშს იკრეჭს, ტრაბახით ესაუბრება.

ჰამო – მე კარენოი თბილისელი ვარ. ბაბუაჩემის ბაბუაც აქ დაიბადა.

ახალგაზრდა – ვაა.

ჰამო – ჰო, ჰო.

ჰამო ვაჟას თავს ღონივრად დააწვა.

ჰამო – კარგი, ბიჭო, გააჩერე თავი... მე შვიდი ძმა მყავს.

ახალგაზრდა – ვიცი, ჰამო-ჯან.

ჰამო – ყველა წავიდა. ზოგი – ნიუ-იორკში, ზოგი – პარიზში, ზოგი – სოხუმშია, გაიგე შენ?!

ახალგაზრდა – ვიცი, ჰამო-ჯან.

ჰამო – მე და დედაჩემი კარენოი ვართ. დედაჩემი დღესაც ჩიხტიკოპში დადის. ამბობს, მე არსად წავალ, მე კარენოი თბილისელი ვარ, ჩემი სტალიცა თიბილისიაო, გაიგე შენ?!

ახალგაზრდა – ვიცი, ჰამო-ჯან.

ჰამო – ჰოდა, თიბილისს მეც დავიცავ, მტერი თუ მოვიდა. ჩემი ბიჭი უკვე გვარდიაშია, გაიგე შენ?!

ჰამომ სუნამოიანი ბოთლი აიღო სელში.

ვაჟა – არ დამისველო.

მაშინ ჰამომ სავარცხლით ბამბა დაგლიჯა და ვაჟას თავზე გადაუსვა.

ვაჟა სარკეში ქუჩის ერთ პატარა მონაკვეთს ხედავს. პირდაპირ მისკენ მომავალი ეოგონა გამოჩნდა. სარკეში ნამდვილად ისე ჩანდა,

რომ ვაჟას ეჯასებოდა. ბიჭი სასტად დარჩა, როცა ნანა იცნო. ასე შელებილი და ამგვარი ვარცსნილობით არასოდეს გამოსულა ნანა სასლიდან. ზომაზე მოცლე, გამომწვევად გაღეღილი კაბა და შავი ბაღე-წინდებიც ეუცხოვა. ვაჟას სასე უფრო მოეღუშა – ნანა მარტო არ იყო. მას კაკუჩა ასლდა. მთელ ქუჩაზე სმამაღლა, მოურიდებლად, უსემად ლაპარაკობდნენ.

ნანა საპარიკმასეროს კართან ტაჩერდა. კაკუჩა შიგ შემოვიდა.

კაკუჩა – სალამი ლოვიკ. ჰამო-ჯან, ერთი ოდეკოლონი მამე.

კაკუჩამ სუნამო შეისსურა და თმის მონდომებით ვარცსნას შეუდგა. ვაჟა არც შეუმჩნევია. ვაჟა ცდილობდა ნანას თვალში არ მოხვედროდა. გოგო ქუჩაში იდგა და ძმისთვის სრულიად უცსო მზერით აქეთ-იქით იყურებოდა.

კაკუჩა – დიდი მადლობა.

კაკუჩა გავიდა. ვაჟამ წინსაფარი მოიგლიჯა, ფული მაგიდაზე დაყარა და საპარიკმახეროდან გავარდა.

ქუჩაში უცებ შეჩერდა. რომ არ შეჩერებულიყო, ნანას და კაკუჩას გვერდით აღმოჩნდებოდა. კაკუჩას გოგოსთვის ხელი გადაესვია და ისე მიაბიჯებდნენ. ვაჟა მალულად გაჰყვა. წყვილმა ბნელ, ვიწრო ქუჩაზე შეუსვია. ვაჟამ სასლის კუთსესთან მიირბინა, მაგრამ კაკუჩა და ნანა ვერსად დაინასა.

ვაჟამ რამდენიმე პატარა ქუჩა შემოირბინა. ერთ ადგილას ჩისში აღმოჩნდა და უკან გამობრუნდა. სიბნელეში წყვილები ესვეოდნენ ერთმანეთს. ყველაფერი ირეალურ სამყაროს დაემსგავსა.

პატარა პარკში ვიღაც მოგვერივით ბიჭი ლამაზი ქალიშვილის შეჩერებას ცდილობდა. ქალიშვილი სელიდან უსსლტებოდა და გარბოდა. მაშინ ბიჭმა გინებით, ძლიერი პანჩური ამოარტყა. შეშინებული ქალიშვილი უმწეოდ გაჩერდა. მერე შემობრუნდა, ბიჭს ხელები კისერზე შემოაჭდო და ჩაესუტა – აღარ დამარტყაო.

ვაჟას ნანა და კაკუჩა მოელანდა. მათკენ გავარდა, მაგრამ ისინი მანქანაში ჩასხდნენ და ვაჟამ მსოლოდ ძარაზე ხელის მირტყმა მოასერსა. ვაჟამ იყვირა.

ვაჟა – ნანა!

მანქანა გაუჩინარდა.

ვაჟა ტროტუარზე ჩამოჯდა. მერე ვიღაცის მზერა იგრძნო. მაღალმა ქალმა გვერდით ჩაუარა.

ვაჟა – ცაცა?

ქალმა ცივად შეაბრუნა თავი და ბილიკს გაუყვა. ვაჟა გამოუხიზლდა.

ვაჟა – ცაცა!.. ცაცა!

ქალმა ნაბიჯს აუჩქარა და ისიც სიბნელეში შთაითნქა.

კარი ბიჭს დედამ გაუღო.

ლილი – რა მოხდა, რა ამბავია?

ვაჟა ზარს თითაულებლად, გაუთავებლად რეკავდა.

ვაჟა – არაფერი. ნანა სასლშია?

პასუხს არ დაელოდა. დერეფანში გავიდა და ტახტზე დაჯდა. ლილი გვერდით ჩამოუჯდა. გაოფლილ შუბლზე სელი გადაუსვა.

ლილი – რა მოგივიდა, ვაჟა? ირბინე?

ვაჟამ თავი დაუქნია და უცებ ისე თქვა, ისე თქვა. ისე აღმოაჩინა ახალი რაღაც, რომ თვითონაც გაუკვირდა.

ვაჟა – დედა, გული მტკივა.

ლილი – რაა?

ვაჟა – გული მტკივა, აი, აქ, მარცხნივ.

დედის ხელი მკერდზე მიიდო. ლილის გაეღიმა.

ლილი – რა დროს შენი გულია.

იგი წამოდგა, კარადიდან წვეთები გადმოიღო, სამგარეულოში წყლით გააზავა და ვაჟას დაალევინა. მერე მსარზე ხელი გადასვია.

ლილი – დაიღლებოდი, შვილო, აბა, რა დროს შენი გულია... კიდევ გაწუსებს?

ვაჟა – არა.

ლილი – აღექი, ლოგინს დაგიგებ. მოისვენე.

ვაჟა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

ვაჟა – არ მოსულა ნანა?

ლილი – ცაცამ დარეკა, კინოში შევდივართო.

ვაჟა – ცაცამ?

ვაჟას ფერი ეცვალა. ერთი წამით, მანქანის შუქის გაელვებაზე, დაინახა, ვიღაც ბიჭები მალულად ბორბლებს მოაგორებდნენ.

ვაჟა შემობრუნდა. აკვარიუმთან მივიდა. თევზები რატომღაც აფორიაქებულიყვნენ, შუშის კედლებს აწყდებოდნენ, გამოსავალს ეძებდნენ.

ვაჟა – ასლავე მოვალ.

ვაჟა გავარდა. დედამ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო – კარი გაჯასუნდა.

ვაჟა გარბის. მის პარალელურად მისრიალებენ მანქანები, ტროლეიბუსი, რომელსაც ასწრებს კიდევაც. ისმის სროლის სმა.

აი, ის სასლიც, რომელიც უნდა, მეოთხე სართულზე მისთვის საინტერესო ფანჯარაში შუქია.

კიბე გიჟივით აირბინა და აქლოშინებულმა კარს სელი ჭრა.

ოთახში სამსედრო ფორმაში გამოწყობილი გოგი დგას და ზეზეულად ვახშმობს. ეტყობა, წასვლა ეჩქარება. გაკვირვებულ გოგის ჩაეცინა.

გოგი – კიდევ შენ ხარ, ბიჭო? აღარ დამანებებ თავს?

ვაჟა ნელ-ნელა მშვიდდება.

გოგი – იქ ომია, გაიგე, შეუშვი შენ ტვინში, იქ ნამდვილი ომია. რამდენჯერ გითხარი, შენისთანა ცსვირმოუსოცავი ლაწირაკები მალულად რომ მირბიან და თავისი უცოდინარობის, გამოუცდელობის გამო იღუპებიან, ამიტომ არის ჩვენი საქმე კარგად.

... რამე სომ უნდა გამოვიდეს შენგან?!

ვაჟა დაიბნა.

ვაჟა – არა, მე...

გოგი განრისსდა.

გოგი – ერთსელ და სამუდამოდ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. მეორედ აღარ გამაგონო, თორემ მაგრად მიგტყეპავ. წადი ასლა

სახლში, შენთვის არ მცალია.
ვაჟამ თვალი აარიდა და კარისკენ მორჩილად გაემართა.

შტაბში ტელეეიზორთან ახალგაზრდა მეომრები ომში დაღუპულ თანატოლთა სურათებს უსმოდ უცქერენ. კომენტატორი თითოეულის ბიოგრაფიას ყვება. ბიჭები გასუსულები უსმენენ, თურმე ზოგს სიცოცხლის წინ დაბადების დღე ჰქონია და ზოგსაც იმ დღეს შვილი შესძენია.
შტაბში ჩქარი ნაბიჯით გოგი შემოვიდა. ბიჭები წამოიშალნენ, ხელის დაქნევით ადგილებზე დააბრუნა. ერთ-ერთმა უპატაჟა.
ჯარისკაცი – ბატონო გოგი, თქვენი მეგობარი გელოდებათ.
გოგი – ვინ? ვასიკო?
ჯარისკაცი – არ ვიცი.

გოგიმ მოსასდელში გაიხედა. სავარძელში ვასიკოს ეძინა. გოგიმ გააღვიძა, ვასიკო მთვრალი იყო.
გოგი – წამოდი ჩემთან, კაბინეტში.
ვასიკო წამოდგა და პირდაპირ მიასალა.
ვასიკო – იარაღი მომეცი, ომში უნდა წავიდე.
გოგი სახტად დარჩა. მერე შებრუნდა და ლაპარაკით კაბინეტისკენ წავიდა.
გოგი – შენ და შენი შვილი გამაგიჟებთ, ხომ იცი.
ვასიკო – რატომ?
გოგი – ყოველდღე აქ არის კართან ატუზული. იარაღი მომეცი და საომრად გამიშვიო.
ვასიკო – ვაჟა?
გოგი – ჰო, ვაჟა, ვაჟა. რა გაგიკვირდა? ისიც შენსავით სულელია. ეგ-ღა მაკლია, თოთხმეტი წლის ბავშვები სასაკლაოზე გავუშვა.
ვასიკო ბანცალით მიყვებოდა.
ვასიკო – მე უფროსი ვარ. მე ბავშვი არა ვარ. მე უნდა გამიშვა.

კაბინეტში შევიდნენ.

გოგი – დაჯექი.

ვასიკო მის საპირისპიროდ დაჯდა.

გოგი – ბიჭო, ხომ იცი, შენი აღელვება არ შეიძლება. სანამ იქ ჩასვალ, გზაში ნერვიულობისგან მომიკვდები, ომში, ბრძოლაში მკვდარი სულები რაში მჭირდება მე?! არ არის შენი საქმე. მომიჭირე მარჯვენა ხელი.

ვასიკომ ძალიან მოინდომა მაგრად ჩასჭიდებოდა.

გოგი – თითებს ძლივს ამოძრავებ. ძალა არ გაქვს, ძალა. ამ სმას ხომ სულ გადაყევი. გინდა, მეორედ ჩაგექცეს სისხლი?

გოგი – ჩემგან რა გინდა? დამანებე თავი. წადი სასლში, გამოიძინე. ოჯახს მისედე, ვანიკო, გასძახა მან მოსაცდელში, კაბინეტში მებრძოლი შემოვიდა.

ეს ის ბიჭია ვასიკომ სასინკლედან თავის ნანასთან ერთად რომ დაინახა, ვასიკომ იცნო იგი.

გოგი – წაყევი, მანქანა გაუჩერე. სახლამდე მიიყვანონ.

ისინი შტაბის შენობიდან გამოვიდნენ. ბიჭმა, ვასიკო რომ არ წაქცეულიყო, ხესთან დააყენა, თვითონ კი მანქანის გასაჩერებლად უკაცრიელი გამგირის შუაგულში დადგა.

ვასიკომ თავი ვერ შეიმაგრა – იქვე ხესთან ჩაჯდა. ვანიკო მიუბრუნდა, ხელკავი გაუკეთა და გვერდით ამოიყენა.

მანქანა გამოჩნდა, ვანიკომ ავტომატი აუწია და ვასიკო რომ ჩაჯდა, მძღოლს უთხრა.

ვანიკო - სახლამდე მშვიდობით მიიყვანე. ნომერს დავიმახსოვრებ.

ვასიკო - რა გქვია, ბიჭო, შენ?

ვანიკო - ვანიკო.

ვასიკო - მე შენ მინასიხარ, ვანიკო, გიცნობ.

ვანიკო - მეც გიცნობთ.

ვასიკომ მთვრალი ღიმილით გაუღიმა. მანქანა დაიძრა. ვანიკო ქუჩაში მარტო დარჩა.

ბნელ ქუჩაზე ქუსლების კაკუნით ნანა მოაბიჯებს. სადარბაზოსთან

შეჩერდა. პარიკი მოიხსნა. თავის გაქნევით თმა გაიშალა. იმავე წამს ხელში ვიღაც სწვდა. ნანამ შეჰკივლა. მის წინ ვაჟა იდგა.

ვაჟა – სად იყავი დღეს?

ნანამ გვერდი აუქცია.

ნანა – შენ მაკლისარ კიდევ.

ვაჟამ უკნიდან მოქაჩა, პარიკი სელიდან გამოგლიჯა, გადააგდო და უყვირა.

ვაჟა – სად იყავი?

ნანა უცებ შეტრიალდა ძმისკენ. ვაჟას დაძაბულ სახესა და მზერაზე შეშინდა და ამოილუღლუღა.

ნანა – ამხანაგთან ერთად ვიყავი კინოში.

ვაჟას დის მორჩილი, დამფრთხალი თვალების შემსედვარეს, ცრემლები მოაწვა. უეცრად წამოიკივლა.

ვაჟა – ნანა! მითხარი, სად იყავი?.. ვისთან ერთად?..

ნანაც ატირდა. ძმას მკერდში თავით მიეხეთქა.

ვაჟა – ნანა... ნანა...

თავზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა და დასთან ერთად ვაჟაც ტიროდა.

დილით ლოჯიის ფანჯრებიდან სვეტებად დაეშვა მზის სხივები, ჩაიღვარა და სასიამოვნო, ლამაზი გახდა ყველაფერი.

ამ კვირა დღეს ვაჟას გვიან გაეღვიძა. წამოდგა და ისე, რომ არავის გაეგო, დის ოთახში გაიჭყიტა. ნანას მშვიდად ეძინა. სკამზე ფაქიზად ეწყო მისი ტანსაცმელი.

სამზარეულოს კარი მიკეტილი დაუხვდა. ის იყო უნდა შეეღო რომ თითქმის ჩურჩულით ნათქვამს მოკრა ყური – "ვაი ჩვენი ბრალი, ესღა გვაკლდაო". მამის შეშფოთებულმა ხმამ გაყინა ბიჭი. მერე დედის ტირილით ნათქვამიც მოესმა.

ლილი – თავი მაქვს მოსაკლავი. თავი მაქვს მოსაკლავი.

დედის ჩუმმა, მაგრამ ნერვიულმა წამოტირებამ კარი შემოაღებინა. დედ-მამის გარდა სამზარეულოში ვაჟას უძინარი და თვალებამოღამებული გოგიც დაუხვდა, რამაც ცოტა არ იყოს, გააკვირვა.

ვაჟა – რა სდება?

უფროსებმა ბიჭს ასედეს. ყველას დათრგუნული სასე ჰქონდა. ლილიმ ნაძალადევად გაუღიმა.

ლილი – არაფერი, შვილო. წადი, დაწექი, კვირა დღეს მაინც გამოიძინე.

სამზარეულოში პერანგისამარა ნანამ შემოიხედა. სიტუაცია შეაფასა. შეეტყო, როგორ გაღიზიანდა გოგის დანასვაზე.

ნანა – სასამართლოს მიწყობთ?! თქვენთან ხომ არაფრის თქმა, მოყოლა არ შეიძლება!

გაბრაზებულმა ნანამ სამზარეულო გადაკვეთა, პერანგშივე გავიდა შემოსასვლელიდან სადარბაზოში და კარი მოიჯასუნა.

გაოგნებულმა ვაჟამ მშობლებს გადასედა.

ვაჟა – რა მოსდა, გამაგებინეთ?

ლილიმ წაიტირა.

ლილი – შენ მაინც იყო უფროსი, ერთად უფრო მიეხედავდით ამ ამბავს..

ვაჟა – რა ამბავს?

კარზე დარეკეს. ვაჟა გასაღებად წავიდა. სადარბაზოში ცაცა იდგა. ვაჟას დანახვაზე თვალები მოარიდა, გვერდი აუარა და სამზარეულოში შევიდა. ვაჟა შეჰყვა.

ცაცა – ყველაფერი ვიცი, ხალხო. ნანამ მითხრა, დაამშვიდე, თორემ სულ გაგიჟდებიანო. რა მოგივიდათ, რა მოხდა ასეთი?! ვის არ მოსვლია?!

ლილის ცრემლები ჩამოსდიოდა.

ლილი – სსვაგან ხომ არსად მოსდებოდა ასე. ჩვენი, ჩვენი ოჯახია დაწყევლილი.

ცაცა – არა თქვა ეგ. ყველა ოჯახში დუღს თითო ქოთანი სიმყრალე, მაგრამ ბევრი მალავს, ბევრი... აგერ, ნაცნობ ექიმთან მივიყვან და უცებ უმტკივნეულოდ გაუკეთებს აბორტს. კაციშვილი ვერ გაიგებს და იცხოვრეთ ისევ ტკბილად.

ლილიმ შეშფოთებით შეხედა ვაჟას. ცაცა მისვდა, რაღაც ზედმეტი წამომცდაო და ხმა გაკმინდა. ვასიკო თავჩაქინდრული იჯდა.

ვაჟამ იგრძნო, როგორ გაესვია ყველაფერი ბურუსში. მაგიდას რომ არ დაყრდნობოდა, დაეცემოდა. მერე დალაგდა, გამოიცვეთა სამშარეულო და ყველა საგანი. მცერდში მტკივნეულად გაქცრა, სელი მიიდო.

ვასიკომ სმადაბლა თქვა.

ვასიკო – შვილს მე თქვენ არ დაგაღუპინებთ.

გოგი – გავიგოთ, ვინ არის ის ბიჭი, იქნებ როგორ არის საქმე?!

ვასიკო – არ მაინტერესებს.

ვაჟა, რომელიც უნებურად ხელში პურის დანას ათამაშებდა, გამოერკვა და ეს წვეტიანი იარაღი სსვებისგან მალულად ჯიბეში ჩაიცურა.

გოგი – მომისმინე, ვასიკო. ყველაფერი კარგად იქნება. დაველაპარაკოთ ბიჭს. ვინ არის, გავიგოთ. იქნებ უყვარს ის ბიჭი?!

ვასიკოს თვალები გაუმკაცრდა და ხაგგასმით თქვა.

ვასიკო – არ მაინტერესებს, ვინ არის ის ბიჭი!

ვაჟა სამშარეულოდან გავარდა.

გოგი ვაჟას მხოლოდ ქუჩაში დაეწია. მკლავში სელი წააელო და თავისკენ შემოაბრუნა.

გოგი – სად მირბისარ?

ვაჟა – მოვკლავ.

გოგი – ვის, ბიჭო?

ვაჟა – კაკუჩას.

გოგიმ ვაჟას თითები ძლივს გაუსსნა და პურის დანა გამონებში მოისროლა.

გოგი – გაგიჟდი?! წამო, ერთად ვნასოთ.

გოგი, ასაკის მიუხედავად, მშვენიერად მირბოდა. მსოლოდ ოდნავ ქმინავდა.

გოგი – რა ხნისაა?

ვაჟა – ვინ?

გოგი – ის ბიჭი.

ვაჟა – რა იყო?

გოგი – ქურდი ბიჭია?

გაეღიმა გოგის. ვაჟასაც ჩაეცინა.

ვაჟა – ძველბიჭობს.

სულ ცოტაც და სკოლაც გამოჩნდა. ეზოში კაკუჩა ვიღაც ძაღლიან ბიჭს ელაპარაკებოდა. დიდ დოგს წითელი ენა გადმოეგდო და აქეთ-იქით იყურებოდა. პატრონს იკი საყელურით ეჭირა.

გოგი – რომელია?

ვაჟა – მაღალი.

გოგიმ კაკუჩას შეაელო თვალი და გასძახა.

გოგი – მოდი აქ!

ძაღლიანმა ხელი მიიდო, მეო? გოგიმ კაკუჩას ანიშნა.

კაკუჩა – მეე?

გოგი – შენ, შენ... რაო. რა ჰქვიაო?

ვაჟა – კაკუჩა.

გოგი – სახელი კაი ჰქონია.

გოგიმ მათთან მისულ კაკუჩას ხელი გაუწოდა.

გოგი – გამარჯობა, შენი.

კაკუჩა – გამარჯობათ.

გოგი მარჯვენას არ უშვებს. პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

გოგი – ვმოყვრდებით?

კაკუჩა – რაა?

ბიჭმა ხელი დაქაჩა. გოგის მაგრად ეჭირა.

გოგი – ეს ნანას ძმაა, ხომ იცნობ?

კაკუჩა – მერე, რა? ხელი გამიშვი, ბიძაჩემო.

გოგი – რა მოხდა თქვენში, შენსა და ნანას შორის?

კაკუჩამ უფრო მაგრად დაიქნია მარჯვენა, არაფერი გამოუვიდა და სმას აუწია.

კაკუჩა – ხელი გამიშვი, კაცო!

გოგი – უნდა შეირთო!.. არ ვარ მე შენი კაცო!

კაკუჩა – მიდი, რა, კაცო... ეგ ჩემი საქმეა. შენ ვინ გეკითხება?!

გოგიმ მარცხენა სახეში სტკიცა. ამას ვაჟა ნამდვილად არ ელოდა. ძაღლიანი ბიჭი მათკენ დაიძრა. კაკუჩამ ისე გახედა,

ეტყობა, სულ არ უნდოდა მისი სიასლოვე და მოწმობა.

კაკუჩა – სადარბაზოში შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ.

გოგი – წამო.

თვითონ გოგი გაუძღვა ისე, რომ ხელი არ გაუშვია. კაკუჩამ უკან მოიხედა და ძაღლიანს გაუღიმა, აქ მომიცადე, ასლავე მოვალო. ცოტა სანში სადარბაზოდან კაკუჩას ხმა გაისმა.

კაკუჩა – რა გინდა, კაცო, ჩემგან? ის შენი ნანა პატიოსანი სომ არ გგონია?!

ისევ მოხვდა ყურის ძირში. ეს ტკაცუნიც ექოდ მოედო იქაურობას. ვაჟა უხმოდ იდგა, კედელს აკვროდა. სელი გულზე ჰქონდა მიდებული. სულ გადაუარა ბრაგმა, ბოღმამ.

სადარბაზოში კაკუჩა ცდილობდა მშვიდი ტონით აეხსნა.

კაკუჩა – ბიძაჩემო, ჩემთან ეგეთები არ გაგივა, არ შეგრჩება, რა. შენ აგრეზე არა სარ, მე რა კაცი ვარ.

სწორად გამოიცნო, მომხვდება ამ სიტყვების მერეო და მარჯვენა ლოყაზე თავისუფალი ხელი აიფარა. ერთში კი შეცდა, გოგიმ მარჯვენა უცებ აუშვა და დაუცველ მსარეს გააწნა სილა.

კაკუჩამ სადარბაზოს ბაქნიდან საფეხურებზე აიწია და ხელშეუხებლობა მოულე დროით გაინაღდა.

კაკუჩა – მოიცა, კაცო, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება? მომისმინე, როგორც გინდა ისე გეწყინოს, მაგრამ რა ვქნა, მართალს გეუბნები, სსვასთან იცხოვრა და რაღა მე შევირთო.

ვაჟას ყველაფერი მშვენივრად ესმოდა. სასე მთლიანად ოფლით ჰქონდა დაცვარული.

გოგიმაც დაიწყო კიბეზე ასვლა. კაკუჩას ორივე ხელი წინ წაეწია, თითქოს ამით აპირებდა კაცის შეჩერებას.

კაკუჩა – მე გუწინწინ გავიგე, ფეხმძიმედ არისო, ჩემგან რა გინდა ბიძაჩემო?!

ვაჟა უკვე ვერაფერს ხედავდა. ზედა სართულიდან კაკუჩას გაურკვეველი ლაპარაკი ისმოდა. შემდეგ უეცრად ყვირილი მორთო.

კაკუჩა – ბიჭი! ბიჭი! გამოუშვი ძაღლი, ძაღლი გამოუშვი!

ძაღლი ლამაზად გამოქანდა. ვაჟა მსოლოდ ღია ხახას და წითელ ენას არჩევდა. ძაღლს სადარბაზოსკენ არ გაუსედავს, ვაჟასთან ჩაცუცქდა და ხელი აულოკა. კაკუჩა ყვიროდა.

კაკუჩა – ბიჭი, ძაღლი, ძაღლი გამოუშვი!

ამ სმაზე ერთი კი დაჰყეფა ძაღლმა და პატრონს მშვიდად დაუბრუნდა.

კაკუჩა – რა გინდა, კაცო, ჩემგან? ხელი გამიშვი...

კაკუჩამ თავის განთავისუფლება მოახერხა და კიბეზე შლიგინით დაეშვა. რაც უფრო ქვევით მიიწევდა, უფრო უმატებდა მუქარიან ყვირილს და დედის გინებას.

კაკუჩა – არ შეგარჩენ. ხომ დაგიმახსოვრე, დედას...

ქუჩაში გამოვარდა. ვაჟასთან ერთი წამით შეჩერდა. თვალებიდან სიბრაზის ცრემლებს აფრქვევდა. ვაჟას საოცარი გაბოროტებით შეაგინა და გაიქცა.

ღამეა. ვასიკო და ლილი თავის ოთახში წვანან. არც ერთს არ სძინავს. ლილი ქმარს თითებით ფრთხილად შეეხო.

ლილი – მომკიდე რა ხელი.

ვასიკომ გაუღიმა, ცოლის ხელი დაიიღლიავა. ლილი მიუჩოჩდა, მიეხუტა. ცოტა ხანს გატრუნული იყო. მერე ნაღვლიანად იკითხა.

ლილი – როგორ ვიცხოვროთ, ვასიკო? რა ვქნათ?

ვასიკომ ნერწყვი ჩაყლაპა, ცოლს თავზე მოეფერა. შუბლზე აკოცა.

ვასიკო – მაინც მეყვარება ჩემი გოგო.

ლილი – სალხი რას იტყვის?

ვასიკო – რაც უნდა ის თქვან... ჩემი შვილიშვილი უნდა დაიბადოს. ყველაფერი კარგად იქნება. დამშვიდდი.

ლილი – იცი, ფხიზელი სულ სხვა ადამიანი ხარ. მთვრალი რომ ხარ, ხანდახან მეშინია ხოლმე შენი.

ვასიკოს გაეცინა.

ვასიკო – ჩემი?

ლილი – ჰო, ჰო, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ იცვლები სიმთვრალეში. ვიფიქრე, ნანას მოკლავს-მეთქი და მე უფრო სასტიკი

აღმოვჩნდი.

ქალაქის პატარა, მყუდრო სასაფლაო. დაბალი ჭიშკრის მიღმა კიპარისების სეივანია. ქალაქის სმაური აქამდე არ აღწევს. ფოთლების შრიალი, ჩიტების გაუბედავი შეჭიკჭიკება და ღრმა სიჩუმეა. კიპარისებს შორის ვიწრო ქვაფენილია. ტირიფის ქვეშ – შავი მარმარილო, ჩინური ვარდი, ყურძნით მოჩუქურთმებული თეთრი ქვა, მუქი მწვანე, მკვრივი მოლი არყის სის თეთრ ჩარჩოში... მთელი ოჯახი გოგისთან ერთად საფლავთან შეკრებილა. სანთელი დაუნთიათ. ღვინოს მიწას აპკურებენ.

ისმის ვასიკოს სმა.

ვასიკო – რაც უფრო ღრმად შედისარ ამ ბაღში, მით უფრო მეტად გიმიდავს, გითრევს. აქ დარჩიო გეჩურჩულება. აგერ, მამაშენის გვერდით დაწექი, თვალები დასუქე და დაისვენეო. ყველა შენიანი აქ არის – დედა, მამა, ბებია, ბაბუა – მათი სიყვარული, კეთილი თვალები, ფერია ხელები. მამის თამბაქოს სუნი, დედის სურნელი, სათამაშოებით აბრჭყვიალებული ნაძვის სე, პირველი თოვლი და პირველი აყვავებული ალუბალი შენს ფანჯარაში. ზღაპარი, ბავშვობის ზღაპარი. ილუმია, ოცნება. ყველაფერი აქ არის, აი, ამ ბათქაშჩამოცვენილი, უბრალო ქვის ღობის შიგნით, სარეველა ბალასით დასეთქლი მიწის ქვეშ, აქ არის შენი ადგილი და შენც მიაბიჯებ, უახლოვდები სულ უფრო სწრაფად და სწრაფად, მაგრამ არის კიდევ დიდი აზრი და ინსტიქტი – შვილი! შენი სისხლი და სორცი, რომელმაც უნდა განაგრძოს დასრულებელი გზა შენი გენებისა. მან უნდა შეუნარჩუნოს სიცოცხლე თავისი წინაპრების თვისებებს. ისინი ელიან, რომ განმეოდებიან შენში, შენს შვილში. არ დაეკარგებათ სიტყვა და საქციელი, აზრი და ხასიათი, ის, რისთვისაც წვალობდნენ, ფიქრობდნენ, იტანჯებოდნენ. სელმეორედ აღარ უნდა წარმოიშვას ცოდვა. გრძელი, განელილი გზის სკოლამ ნაყოფი უნდა გამოიღოს...

კვლავ საძინებელი. ლილი ქმარს ჩასუტებია. ორთავეს ტკბილად

სძინავს.

ვასიკო – ... და ბოლოს და ბოლოს მოვა თაობა საღი, კეთილშობილი, დიდბუნოვანი, მოსიყვარულე, მიმტევებელი...

შემოდგომაა. ქალაქი ნაწვიმარია. ფოთლები გაყვითლებულა. ხალხს შედარებით თბილად აცვია...

ოთახში ტასტმე ნანა ზის და ჯემპრის ქსოვას ამთავრებს. მას მუცელი უკვე საკმაოდ ეტყობა.

მაგიდასთან ვასიკო მუშაობს. რაღაცას თარგმნის. ლექსიკონს ფურცლავს, რუსულ, ინგლისურ, ქართულ სიტყვებს ერთმანეთს უთანხმებს.

სამზარეულოში ფანჯარასთან ვაჟა დგას. მოპირდაპირე სახლში თიკას ბინის ფანჯრებს უყურებს. იქ ეტყობა წვეულებაა. ვაჟა თაეის მოცეკვავე თანაკლასელებს სედავს.

კარგე რეკავენ. ვაჟა მიდის და კარს აღებს, მის წინ, სადარბაზოში თიკა დგას.

ვაჟა მივიდა და ჩაეხუტა. თიკამ სელები ნაზად მოხვია, ვაჟამ მის ღუნღულა ეკეტში სასე ნეტარებით ჩარგო.

ვაჟა სამზარეულოდან თიკას ფანჯრებს გასცქერის.

ვაჟა შემობრუნდა. ოთახში შევიდა. კარადა გამოაღო, რამდენიმე წყვილი ტანაცმელი გადმოიღო.

მამამ გასედა.

ვასიკო – ვაჟა.

ვაჟა – რა იყო?

ვასიკო – სად მიდისარ?

ვაჟა – თიკასთან, დაბადების დღეზე.

ვასიკო – წადი ჯერ პური მოიტანე. შიმშილით ვკვდები.

ვაჟა – დედაა წასული.

ვასიკო – ეს დედა რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ, –

ჩაიბუტბუტა მან და მუშაობა განაგრძო.

ნანამ ჯემპრი შეათვალიერა და ვაჟას მიუბრუნდა.

ნანა – წამო, მიიზომე.

ისინი საძინებელ ოთახში გავიდნენ. ვასიკომ შემოსასვლელი კარის სმა გაიგო და იყვირა.

ვასიკო – მაჭმევს ვინმე თუ არა?! გამიხმა კუჭი.

ლილი – ახლავე, ახლავე, –

გამოსძახა უკვე სამზარეულოში შესულმა ლილიმ.

ვასიკომ გაიზმორა, კალმისტარი მოისროლა, ადგა, ტელევიზორი ჩართო და სანამ გახურდებოდა, სამზარეულოში გავიდა. ლილი სუფრას აწყობს...

ვასიკო – დაბადების დღეზე მიდის და ფრჩხილები არა აქვს დაჭრილი. – დააბეზღა მან შვილი. ლილიმ იყვირა.

ლილი – ახლავე დაიჭერი ფრჩხილები.

საძინებლიდან ვაჟას ხმამაღალი ოხერა გაისმა. თავისი ოხუნჯობით კმაყოფილი ვასიკო ოთახში დაბრუნდა და ტელევიზორის ეკრანს გაკვირვებით მიაშტერდა.

ტელევიზორით ვანიკოს აჩვენებდნენ. იგი ავტომატს ისროდა. მერე ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადაირბინა.

დიქტორი – თქვენ ხედავთ, რა სიმამაცით მიიწევს იგი ფრონტის წინა ხაზისკენ. მრავალ ადგილას დაჭრილმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ მიატოვა მან თავისი მეგობრები. იმ დღეს ვანიკოს ოცდაერთი წელი შეუსრულდებოდა...

ოთახში ნანა და ახალ ჯემპრში გამოწყობილი ვაჟა დაბრუნდნენ: ნანამ მამას ჯემპრზე ანიშნა.

ნანა – ხომ ლამაზია?

ვასიკომ ტელევიზორი სასწრაფოდ გამორთო.

სახინკლე. დახლთან ხალხი ირევა.

ვასიკო ვატოსთან ერთად მაგიდასთან დგას. მან არაყი გადაჭრა, ლუდი დააყოლა და ცარიელი კათხა გადმოაპირქვავა. იგი საკმაოდ შეგარსოშებულია.

ვასიკო – ცივილიზაცია სპირალისებურად ვითარდება. აი, ეს კათსა კონუსად რომ წარმოვიდგინოთ... წვერი რომ ჰქონდეს, ცივილიზაცია ძირიდან, ასე სპირალივით ესვევა, ესვევა და ბოლოს, თავის პიკს უნდა მიაღწიოს... სერპანტინივით... მაგრამ ჩვენთან, სადღაც შუაში... ვთქვათ, აი, აქ, სპირალი გაწყდა, ჩაირღვა და ისევ გვის დასაწყისში აღმოვჩნდით... თავიდან უნდა ვაშენოთ... თავიდან უნდა დავიწყოთ განვითარება... დრო დაიკარგა...

თიკასთან წვეულებაა. ვაჟა სხვებისგან განცალკავებით ბუფეტს მიყრდნობია. მის გვერდით, დაბალ, მრგვალ მაგიდაზე მარწყვის ტორტი დევს. ვიდეომაგნიტოფონია ჩართული, რამდენიმე წყვილი ცეკვავს. ზოგი სიგარეტს აბოლებს, ზოგიც ბუტერბროდებით გაწყობილ მაგიდასთანაა შეკრებილი. ვიღაც გოგონა ტელეფონით გაუთავებლად ლაპარაკობს.

ვაჟასთან ქარვის ყვითელი ბურთულებისგან შემდგარი პატარა მძივით სელში თამაშით თიკა მივიდა და ეშმაკურად შეეკითხა.

თიკა – შენ სომ არ იცი, ვინ ჩამიგდო ჩანთაში ეს მძივი?

ვაჟა – არა.

თიკა – ეს ტორტი როგორ გისდება!

თიკამ ტორტს ერთი მარწყვი ამოაცალა და მსუნაგურად გადაყლაპა. მერე ვაჟას ღიმილით წასჩურჩულა.

თიკა – დღეს მეტყვი?

ვაჟა – რა გითხრა?

თიკა – ვინ გიყვარს?

ვაჟას გაეცინა.

ვაჟა – კარგი რა, თიკა, არ მოგბეზრდა?!

თიკას ვიღაცამ დაუძახა. მან მძივი ვაჟას შეაჩეჩა.

თიკა – შემინახე, რა!

ვაჟასთან შამპანურით სავსე ორი ჭიქით ნიკა მივიდა.

ნიკა – ხომ არ დალევ?

ვაჟამ ჭიქა გამოართვა.

ნიკა – ავტომატი ასიათასზე მეტი ღირს. ჩემი მეგობელი

მონადირეთა კაეშირშია. სალსს ავარჯიშებს. სვალ დილით ბიჭები ვიკრიბებით. მივიდეთ, ტირში გეასროლინებს.

ვაჟა – კარგი.

ნიკა – ნანა როგორ არის?

ვაჟა – დღე-დღეზე ველოდებით.

ნიკა – გისარია?

ვაჟა – მეშინია.

ნიკა – ბიჭი რომ გაჩნდეს, ალბათ, ვაჟას დაარქმევს.

ვაჟას გაეღიმა.

სამშობიარო სასლის ვესტიბიულში ლილიმ და ცაცამ ფესმძიმე ნანა შემოიყვანეს. უკან თეთრსალათიანები მოსდევენ. ბოლოს გოგიც შემოვიდა.

ლილი ნანას ამშვიდებს.

ლილი – ნუ გეშინია, დედიკო, ნუ გეშინია.

ნანა – მამას დაურეკეთ, გააგებინეთ.

ცაცა – თქვენ აქ დარჩით, ბატონო გოგი. დაგველოდეთ.

ლილი – გოგი, ვასიკოს დაურეკე. იქნებ მივიდა უკვე სასლში.

გოგიმ იქვე კედლის ტელეფონიდან ყურმილი ჩამოსსნა.

ვასიკოს ბინა. ტელეფონი გამუდმებით რეკავს.

სამშობიარო სახლი. ლილი და ცაცა მისაღებიდან გამოვიდნენ. ლილიმ გოგის ყურმილი გამოართვა და თვითონ დაიწყო ნომრის ყრეფა.

გოგი – დააწვინეს?

ლილიმ თავი დაუქნია.

ცაცა – სად რეკავ?

ლილი – ვაჟა თიკასთან არის დაბადების დღეზე.

ლილიმ ტელეფონს ცოტა ხანს უსმინა და კვლავ ყრიფა ნომერი.

ლილი – სულ დაკავებულია.

თიკას ბინა. ტელეფონთან კვლავაც ის გოგონა ყბედობს.

წვეულება ხმამაღალი მუსიკის ქვეშ გრძელდება.

ოთახის ერთ კუთხეში რამდენიმე გოგო გაცრიალებულ პარკეტზე ლიმონათის ბოთლს გრიხინით ატრიალებს.

– ვაჟა, ვაჟა, – ხელი დაუქნიეს გოგოებმა.

ვაჟა – არა, მე არ მინდა.

– როგორ, თიკას არ აკოცებ?

თიკამ ვაჟას გაუღიმა.

თიკა – მე არ მაკოცებ?

ვიღაცამ სმა დაინაგა,

– შეყვარებულია და რცხვენია.

ვაჟა თიკას მიუახლოვდა, ლოყაზე აკოცა და ვალის მოსახდელად, ბოთლი დაატრიალა. ბოთლი თიკას დაუპირისპირდა. ბიჭები სიცილით იატაკზე გაგორდნენ.

– შეყვარებულია, აბა, რა!

– ნახე, ვეღარ კოცნის.

– დედა, როგორ გაწითლდა!

ვაჟა – გაეწითლდი არა, ის...

მოულოდნელად ნიკა ჩაერია.

ნიკა – აბა, თუ არ ხარ შეყვარებული, გვანახე, ჯიბეში რა გიდევს.

ვაჟა – რა მიდევს?!

ნიკა – გვანახე, კაცო, ხომ არ ხარ შეყვარებული? ჰოდა, გვანახე რა გიდევს ჯიბეში.

მისთვის გაუმართლებელი ფუქსავატობით შეუჩნდა ნიკა.

ვაჟამ ჯიბეები ამოიტრიალა და თიკას მიერ შეჩეჩებული და სრულიად მივიწყებული ქარვის ყვითელი მძივი ამოათრია.

თიკა ვითომ განცვიფრდა.

თიკა – ვაი, ჩემი მძივი!

ბავშვები გადაბჟირდნენ. ვაჟამ კარგა ხანს გაოგნებულმა უცქირა მძივს. მერე თიკას და ნიკას გადახედა და ნაძალადევად გაუღიმა.

ამასობაში უნებურად ტორტი გადმოაყირავეს. რამდენიმე ბიჭი

მუხლებით იატაკზე გასრიალდა და თავისი საღი, თეთრი კბილები ფუმფულა ტორტის შუაგულში ჩაასო. ჟრიამულით ყველა მათ შემოესვია.

ვაჟამ არეულობით ისარგებლა. ბნელ დერეფანში გაძვრა. სელების ფათურით საკეტი გახსნა და კარი ჩუმად გაისურა.

სადარბაზოში პირველ სართულზე კაკუჩა იდგა.

ვაჟა ძლიერი დარტყმისგან კიბის ქვეშ დაყრილი ძველი დამტვრეული ყამების გროვაზე დაენარცხა. გონს რომ მოეგო, წელში მოხრილი და სახვეე ხელებაფარებული თავს იცავდა. კაკუჩა მუშტებს მუცელში უბათქუნებდა.

ვაჟამ ხელი ჭრა. ცოტა ხნით მოიშორა. იქვე დაბლა მოიძია და დამტვრეული სამფეხა ყამი კაკუჩას ესროლა. კაკუჩამ თავის გაწევა ძლივს მოასწრო. ვაჟა კვლავ დაისარა. მის ხელში რკინის გრძელი სოლი აღმოჩნდა. ორივე ხელით ჩაბღუჯა და კაკუჩასკენ ყვირილით გაექანა.

იმდენად მოულოდნელი და საშარელი იყო ვაჟას საქციელი, იმდენად წააგავდა მკვლელის მოქმედებას, რომ კაკუჩაც განწირული ყვირილით სადარბაზოდან გავარდა. გამეტებით მოქნეული რკინის სოლი კედელში ღრმად ჩაესო და ბათქაში ამოანგრია. ვაჟას მთელი სხეული უთრთოდა. გახეთქილი, გასიებული ტუჩიდან სისხლი სდიოდა.

ქუჩაში გამოვიდა. რამდენიმე კვარტალი ბანცალით, ჩაფიქრებულმა გაიარა. ვიღაც წყვილი გააჩერა.

ვაჟა – ბოდიში, სიგარეტი ხომ არ გექნებათ?

კაცმა ეჭვით შეათვალიერა, მაგრამ სიგარეტი მაინც გაუწოდა. ასანთიც სთხოვა. კაცმა გაბვიადებული თავაზიანობით მოუკიდა.

ვაჟა – გმადლობთ.

კაცი – არაფერს.

კაცმა ქალს გადახედა, ვაჟასკენ ხელი გაიშვირა და დაცინვით თქვა.

კაცი – რა უნდა გამოვიდეს, ასლა, ამისგან?!

ვაჟამ ცოტა კიდევ იარა. გამზირზე გავიდა. სკოლის ჩაბნელებული შენობის წინ გაჩერდა. სიგარეტი მოქაჩა. გააბოლა. უცებ თავი ცუდად იგრძნო. სიგარეტი გადააგდო. გულზე სელი მიიდო. სახე ტკივილისგან დაემანჭა. სშირ-სშირად დაიწყო სუნთქვა. იქვე სესთან ტროტუარზე ჩამოჯდა. მშენებლობის ჯიხურთან ქუჩის ძლივს მბეუტავ ნათურას თვალი გაუშტერა. სინათლეზე უამრავი მწერი ირეოდა.

ექიმმა ქალმა ახალდაბადებულს დუნდულებზე ხელი მიარტყა. ბავშვი აჭყავდა.

გატანჯულმა ნანამ გაიღიმა.

თიკას ბინა. ტელეფონი რეკავს. ყურმილი თიკამ აიღო. ნელ-ნელა სახე შეეცვალა, გაებადრა.

თიკა – რას ამბობთ, ლილი დეიდა, რა ბედნიერებაა. მომილოცავს. ნანას მოულოცეთ ჩემს მაგიერ. ახლავე ვაჟას დავუძახებ.

თიკამ, მაგნიტოფონის სმა რომ დაეფარა, იყვირა.

თიკა – ბიჭია, ბიჭი, ვაჟა, ნანას ბიჭი შეეძინა, ვაჟა! სად არის ვაჟა?

ყველა მსიარულად აჩოჩქოლდა.

– ვაჟა, ვაჟა.

– აქ არ იყო ასლა?!

– სად არის? დაუძახეთ!

ბავშვები სადარბაზოდან გამოცვივდნენ. ლაბადებს გზადაგზა იცვამენ, ქუჩაში გარბიან.

მთვრალი ვასიკო ღიღინით მოაბიჯებს.

პატარა სკვერში ვიღაც კაცი პირაღმა გდია. ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭები მისევიან. ხელიდან საათი წააძრეს. კოსტიუმი გასადეს. ჯიბეები ამოუტრიალეს და გაიქცნენ.

ვასიკო ღიღინით გზას აგრძელებს.

ქუჩაში ვაჟას მეგობრები მორბიან.

ნანას ბავშვი გვერდით მიუწვინეს და მან თითი შუბლზე გადაუსვა.

ვაჟა ხესთან ზის.

უეცრად ირგვლივ ყველაფერი განათდა. სკოლაში დენი ჩართეს და მთელი შენობა აკაშკაშდა. ამ ბნელ გამზირზე სასლი ნაძვის სესაეით აკიაფდა.

ქუჩაში ვაჟას მეგობრები მორბიან.

გიტარის აკომპონიმენტით, სიმღერის თანსლებით, ჩვენ ვსედავთ ავტობუსს, რომლითაც გოგი თავის მეომრებთან ერთად ბრძოლის ველიკენ მიეშურება.

გზატკეცილზე ავტობუსის გამონაბოლქვში გასვეული ვაჟა მარტო რჩება. ბოლი ნელ-ნელა იფანტება.

შინაარსი

დამწვარი რუკა 5
კრიალოსანი 83
შეგირდი 144

რამაზ გიორგობიანი

კრიალოსანი

შემდგენელი მაია გაჩეჩილაძე

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

დაიბეჭდა სტამბა „საქართველოს მაცნე“-ში
თბილისი, გ.რობაქიძის ქ. №8ª